პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაოლიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
23 იანვარი შაბათი 2010
№017 (13005) ფასი 60 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარიერის საუკეთესო შედეგი

# ელენე გედევანიშვილი

# ელენე მეოთხეა

ევროპის ჩემპიონატი

» გვერდი 13



## ნიკა ჩხეიძე
# ჩვენზე იქ სიტყვაც არ თქმულა...

საფეხბურთო სამყარომ ტოტალიზატორების გავლენისგან თავი უნდა დაიცვას

ინტერვიუ ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორთან

» გვერდი 2

# კალაძეს მილანური დერბისთვის ამზადებენ?



2006 წლის აპრილში მილანმა დერბი კალაძის ამ დარტყმის წყალობით მოიგო

## ფავალიძე მეტად ლეონარდო კახას ენდობაო...

ევროთასები

» გვერდი 5-7



ალექსანდრე კოტრიკაძის

# განსხვავებული და თავისუფალი



ინტერვიუ გიორგი სიჭინავასთან

» გვერდი 10-11

EXCLUSIVE

გიძინა ბარათაშვილი წარმოგიდგენთ
იძ. ამერიკაში...

## დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალურ თემაზე...

## ნიკა ჩხეიძე
# ჩვენზე იქ სიტყვაც არ თქმულა...
## საფეხბურთო სამყარომ ტოტალიზატორების გავლენისგან თავი უნდა დაიცვას


ნიკა ჩხეიძე

უეფაში გაიმართა მორიგი სემინარი, რომელზეც სკანდალური თემა განიხილეს - თანამედროვე ფეხბურთის კავშირი ტოტალიზატორებთან. ბევრ კონკრეტულ და მნიშვნელოვან საიდუმლოს აეხადა ფარდა. ვფიქრობთ, ეს შესავალი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ სემინარში მონაწილე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის ნიკა ჩხეიძის ნაამბობით დაინტერესდეთ...

**- როგორც შევიტყვეთ, უეფამ სემინარი გამართა თემაზე - „ბრძოლა ჩაწყობილი თამაშების წინააღმდეგ"...**

- დიახ, სემინარი ნიონში, უეფას ოფისში გაიმართა. მისი ინიციატორები იყვნენ უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი, გენერალური მდივანი დევიდ ტეილორი და სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელი დიტერ ლიმაზერი. თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეხვედრას ევროპული საფეხბურთო ოჯახის ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო.

**- რაიმე კონკრეტულმა ფაქტმა ხომ არ განაპირობა ამ სემინარის ჩატარება?**

- საერთოდ, მიშელ პლატინის არჩევის შემდეგ უეფა ამ თემით საგანგებოდ დაინტერესდა. ფაქტია, რომ ჩაწყობილი თამაშების თემა ყველგან აქტუალურია და თვალის დახუჭვას ალარავინ აპირებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, უეფა თავის წევრ ქვეყნებს მითითებებს უგზავნის და აქტიურ კონსულტაციებსაც მართავს.

**- ხომ არ დაასახელეს რომელიმე თამაში?**

- ბევრი რამ დააკონკრეტეს... ძალიან მიხარია, რომ ჩვენ არ დაგვასახელეს...

**- ამ მხრივ რომელი ქვეყნები ლიდერობენ?**

- საკმაოდ ბევრი ქვეყანაა, სადაც სერიოზული მდგომარეობაა - ალბანეთი, სომხეთი, რუსეთი, ფინეთი, ესტონეთი, გერმანია, ბელგია, ხორვატია...

**- ...და მათ შორის არ არის საქართველო?!**

- მერწმუნეთ, უეფაში ყველაფერი იციან, ორგანიზაციის შიდა სამსახურები კარგად მუშაობენ და ზუსტ ინფორმაციებს ფლობენ. ასე რომ, მათ ჩვენზე უკეთ უწყიან, ვინ რას წარმოადგენს.

**- ჩაწყობილი თამაშები მართლაც რომ ფეხბურთის ავადმყოფობად გადაიქცა...**

- 1923 წლიდან ინგლისში ამოქმედდა საბუქმეიკერო კანტორები, რომლებიც ფეხბურთის მატჩების შედეგებზე ფსონებს იღებდნენ. მაქინაციები და ჩაწყობები სწორედ აქედან იღებს სათავეს, თანამედროვე ფეხბურთში კი ეს ყველაფერი აზიიდან მოდის.

**- კონკრეტული ფაქტი თუ მოიყვანეს?**

- ითქვა, რომ ჩინეთისა და მალაიზიის საბუქმეიკერო კანტორებმა ევროპაში გაიდგეს ფესვები. პლატინი ამ პროცესების გაკონტროლებასა და იზოლირებას ცდილობს.

**- თუ დასახელდა თანხა, რომელიც დღეს მოქმედ საბუქმეიკერო კანტორებში ტრიალებს?**

- უზარმაზარი თანხა ტრიალებს. მარტო ჩინეთისა და მალაიზიის საბუქმეიკერო კანტორების შემოსავალი 80 მილიარდი დოლარია!

**- 80 მილიარდი?!**

- დიახ, და სხვათა შორის, შედარებაც მოიყვანეს - ტოტალიზატორის შემოსავალი „კოკა-კოლის" ანალოგიურ მაჩვენებელს 10-ჯერ აღემატება! ეს იმდენად შთამბეჭდავი მონაცემია, შეუძლებელია, უეფა ტოტალიზატორების შემოტევის შეჩერებაზე არ ფიქრობდეს. ამიტომაც გაიმართა სემინარი. საფეხბურთო სამყარომ ტოტალიზატორების გავლენისგან თავი უნდა დაიცვას.

**- ეს თანხა ვინ დათვალა?**

- უეფა ტოტალიზატორებს ინტერპოლის დახმარებით აკონტროლებს. თუმცა ეს იმხელა შემოსავალია, ამ ბიზნესის სრულად გაკონტროლება ძალიან ძნელია. პლატინი ამიტომაც ცდილობს, საბუქმეიკერო კანტორების წინააღმდეგ რაც შეიძლება ქმედითუნარიანი მექანიზმი აამუშაოს.

**- ეტყობა, უეფა და ინტერპოლი საქართველოს ვერ აკონტროლებენ, თორემ აქ რომ ხდება...**

- არა მგონია, არ იცოდნენ აქ რაც ხდება. უეფა უამრავ მატჩს იძიებს და ჩვენ რომ ლიდერებში არ დაგვასახელეს, ძალიან გამიხარდა. ამა თუ იმ თამაშით მხოლოდ მაშინ ინტერესდებიან, როცა მასზე ფსონის მიღებას საბუქმეიკერო კანტორები მოულოდნელად წყვეტენ. ეს იმდენად მასშტაბური გამოძიებაა, 9 ათასი ადამიანია ჩართული. ისინი მოამარაგეს საგანგებო კომპიუტერული სისტემით, რომლითაც მეტ-ნაკლებად შესაძლებელია ჩაწყობილი თამაშების დადგენა. საგამოძიებო ჯგუფი ეროვნულ ფედერაციებთანაც თანამშრომლობს.

**- საინტერესო იქნებოდა კონკრეტული ფაქტების დასახელება...**

- ოთხი წლის წინ, ჩინელების ორმა ჯგუფმა ბელგიაში ორი პატარა ქალაქის გუნდი იყიდა და წაიდა თამაშების ჩაწყობა - დროის მცირე მონაკვეთში 50 მილიონი დოლარი მოიგეს და მოულოდნელად გაუჩინარდნენ. ბევრი ეძებეს, მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნეს. სხვათა შორის, ფინეთში მომხდარი ამბებიც ჩინელებს დაბრალდათ...

**- უეფას პრეზიდენტად არჩევამდე მიშელ პლატინი ამბობდა, ფეხბურთს ტოტალიზატორებს ჩამოვაცილებო. რამდენად რეალურია ამ უზარმაზარი საერთაშორისო მაფიოზური ჯგუფების იზოლაცია?**

- ყოველ შემთხვევაში, ამ ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა უკვე დაიწყო. ყველაზე ცუდი ის არის, რომ სენი უკვე ასაკობრივ ნაკრებებსაც შეეყარათ - ჩაწყობილი თამაშები 17, 19 და 21-წლამდელებშიც დაფიქსირდა. დიდ ყურადღებას აქცევენ მწვრთნელებს, რომლებიც გუნდიდან გუნდში ეგრეთ წოდებული „თავისი ფეხბურთელებით" მოგზაურობენ...

**- ...მაგრამ ჯერჯერობით საშველი არ არის, მანიპულაციები გრძელდება...**

- მთლად ასეც არ არის საქმე, ჩაწყობილი მატჩების მონაწილეებს მკაცრად სჯიან. ამიტომაც დაიწყო უეფამ გარიგებების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი. კონკრეტულად დასახელდა უეფას თასზე მაკედონიური „პობედასა" და დანიის ერთ-ერთი გუნდის შეხვედრა. მატჩის ჩაწყობის ფაქტი რომ დადგინდა, მაკედონიური კლუბის პრეზიდენტი დაიჭირეს. ერთ საინტერესო დეტალსაც გეტყვით: უეფას 65 ათასი მოთამაშის დოსიე აქვს - ვინ რას წარმოადგენს, ვინ ჰყავს მენეჯერად, რამდენი აქვს ხელფასი და ასე შემდეგ. ჩაწყობილი თამაშების პოტენციურ მონაწილედ ითვლება გუნდი, რომელიც ფეხბურთელებს ხელფასს დროულად ვერ უხდის.

**- აი, ამ შემთხვევაში კი ნამდვილად ექნებათ ქართული კლუბების სია. ჩვენთან ხომ ბევრია ისეთი კლუბი, რომელიც ხელფასებს თვეობით ვერ არიგებს...**

- უეფასთვის ყველა ფაქტი ცნობილია. თუმცა, ვიმეორებ, საქართველოზე იქ სიტყვაც არ თქმულა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ანჟიმ შეკრება დაასრულა, ქართველები შანსებს აფასებენ

მახაჩყალის „ანჟიმ" პირველი მოსამზადებელი ეტაპი დაასრულა და მწვრთნელმა ფეხბურთელები ორდღიან შვებულებაში გაუშვა. გუნდის ქართველმა ლეგიონერებმა ისარგებლეს ამით და თბილისში ჩამოვიდნენ. ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და სამ მათგანს გავესაუბრეთ... რუსეთის ჩემპიონ ყაზანის „რუბინიდან" „ანჟიში" გადასულმა მეკარე ნუკრი რევიშვილმა მახაჩყალელთა შემადგენლობაში პირველი შეხვედრები უკვე ჩაატარა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები გოლკიპერი საკუთარი თავით უკმაყოფილოა და იმედოვნებს, რომ საუკეთესო ფორმაში მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შევა. მომავალი თაობის მეკარეებს შორის ის გამორჩეულად ნიჭიერია და ბუნებრივიცაა მისი მდგომარეობით დაინტერესება. აქამდე ყაზანის „რუბინში" ის, ფაქტობრივად, სკამზე იჯდა და ეროვნულ ნაკრებშიც ამიტომ აღარ იწვევდნენ... რევაზ ბარაბაძე მოედანს წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და აზერბაიჯანულ „ყარაბახთან" შეხვედრაში დუბლიც შეასრულა... რაც შეეხება ზურაბ არზიანს, ის „ანჟის" ერთ-ერთი საყრდენი ფეხბურთელია. 22 წლის საყრდენმა ორი სეზონის განმავლობაში კლუბში დამკვიდრება და თავის გამოჩენა მოახერხა...

## ნუკრი რევიშვილი
### არა მგონია, სკამზე დამსვან

**- როგორც იქნა, ყაზანში უთამაშებლობის შემდეგ, „ანჟიში" თავის გამოჩენის საშუალება გაგიჩნდათ...**

- ეს იყო პირველი შეკრება. სულ რაღაც ორი შეხვედრა გავმართეთ და ჯერ ფორმის აღდგენაზე ლაპარაკი ნაადრევია. ვგრძნობდი, ჯერ შესაძლებლობის 30 პროცენტიც ვერ გამოვავლინე. ასეც უნდა იყოს, სეზონისთვის მზადება ხომ ახალი დაწყებული გვაქვს. სხვათა შორის, მოსამზადებელი ეტაპის დასაწყისში ყოველთვის ასე მემართება, მაგრამ კარგი შეკრება გავიარეთ, მალე ახალს ვიწყებთ და ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

**- როგორ ფიქრობ, კონკურენტის სკამზე დასმას მოახერხებთ?**

- რომელი ვიქნებით ძირითადი შემადგენლობის მეკარე, ჯერ ძნელი სათქმელია. ამას შეკრების ბოლოს ომარ თეთრაძე გადაწყვეტს. ისე, ჩემი კონკურენტი ილია აბაევი კარგი მეკარეა. თუმცა არა მგონია, ის განმეორდეს, რის გამოც ყაზანის „რუბინი" დავტოვე - მწვრთნელი მხოლოდ ერთ მეკარეს რომ ათამაშებდა. წესით, „ანჟიში" თავის გამოჩენის შანსი ორივეს უნდა მოგვეცეს. ახლა ასეც იყო - ანთალიაში მეც და აბაევმაც ორ-ორი შეხვედრა ჩავატარეთ.

## რევაზ ბარაბაძე
### საშინელ დატვირთვებს გავუძელი

**- ტრავმის შემდეგ დატვირთვებს როგორ შეეგუეთ?**

- უმძიმესი დატვირთვები გვქონდა, მაგრამ მუხლი არ მტკენია და ეს ყველაზე მეტად მახარებს. ამ ორი კვირის განმავლობაში, თავს უკეთესობა შევატყვე. თუმცა ტყუილი არ მიყვარს - ახლა საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ ვარ. 24 იანვარს თურქეთში ისევ ორკვირიანი შეკრებისთვის მივემგზავრებით და კონდიციების გასაუმჯობესებლად დიდი დრო მაქვს.

**- თქვენი დარჩენა საბოლოოდ გადაწყდა?**

- დიახ, ეს საკითხი გადაწყვეტილია. „ანჟისთან" ისედაც ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებდა...

**- ერთი წელია მახაჩყალელებთან არ გითამაშიათ. როგორ ატყობთ, გუნდი გაძლიერდა?**

- „ანჟი" ისეთი შეცვლილია, ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ეს სხვა გუნდია, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ბირთვიდან რამდენიმე მოთამაშე დარჩა. ალბათ, კიდევ უფრო გავძლიერდებით.

**- აზერბაიჯანულ გუნდებთან ორი მატჩი წააგეთ. რუსული პრემიერლიგის კლუბისთვის ეს, წესით, მიუღებელი შედეგი უნდა იყოს...**

- ძალიან დიდი დატვირთვები გვქონდა, ტყეში ათ კილომეტრს დავრბოდით და ამის შემდეგ ვატარებდით საკონტროლო შეხვედრებს. ასე რომ, შედეგებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით და ნურც თქვენ მიაქცევთ.

## ზურაბ არზიანი
### ქეცბაიამ მნახა, მაგრამ... კარგად ვერ ვითამაშე

**- „ანჟის" დღევანდელი შემადგენლობით პრემიერლიგაში დარჩენას რეალურად მიიჩნევთ?**

- პირველი შეკრების შემდეგ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. თუმცა აუცილებლად გავძლიერდებით. როგორც ვიცი, ჩეხეთიდან რამდენიმე სერიოზულ მოთამაშეს ვიმატებთ. სწორედ ისინი დაგვეხმარებიან პრემიერლიგაში დარჩენაში.

>> მე-3 გვერდზე


ნუკრი რევიშვილი


რევაზ ბარაბაძე


ზურაბ არზიანი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რასისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი

# ასათიანისა და მოდებაძის წინააღმდეგ

## მინუს ჯოხაძე, პლუს კობახიძე

დღეს „ზესტაფონი" მოსამზადებელი შეკრების გასავლელად კიდევ ერთხელ უცხოეთში მიემგზავრება, ამჯერად ესპანეთში. იმერლები ბოლო დღეებია თბილისში არიან და პირენეებზეც დედაქალაქიდან გადაფრინდნენ.

**გია გეგუჩაძემ** თითქმის იგივე შემადგენლობა წაიყვანა ესპანეთში, ვინც ანთალიაში ჰყავდა. თუმცა სიაში მცირედი ცვლილებაა და ამაზე ქვემოთ. მანამდე კი ზესტაფონელთა იმ კონტინგენტს გაგაცნობთ, რომელიც პირენეებზე გაემგზავრა:

მეკარეები - **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, კახა მეშველიანი;**

მცველები - **უჩა ლობჟანიძე, გიორგი ხიდეშელი, კარენ მაკარიანი, გიორგი ონიანი, ზაალ ელიავა, გიორგი კაჭკაჭიშვილი, დავით მჭედლიშვილი, მამუკა კობახიძე;**

ნახევარმცველები - **ნიკა კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია, შოთა გრიგალაშვილი, თორნიკე აფციაური, ლევან კორღალიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი მიქაბერიძე;**

თავდამსხმელები - **ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, რატი წინამძღვრიშვილი.**

როგორც ხედავთ, სიაში აღარაა თავდამსხმელი **გიორგი ჯოხაძე**. როგორც გავიგეთ, ჯოხაძემ ზესტაფონელთა გუნდის ხელმძღვანელობას თავი ვერ მოაწონა. ამჯერად იმერელთა სიაშია მცველი **მამუკა კობახიძე**. 1992 წელს დაბადებული ფეხბურთელი „საბურთალოში" ასპარეზობდა. „ზესტაფონში" მისი ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილია. კობახიძე ამ დღეებში იმერელთა კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს. მისი ხელშეკრულების ხანგრძლივობა ჯერჯერობით ცნობილი არაა.

ყვირილისპირელები ესპანეთში, ცნობილ კურორტ მალაგასთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ესტეპონაში, სასტუმრო „ესტეპონა პალასში" დაბინავდებიან. იმერლები პირენეებზე 4 საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ. „ზესტაფონი" 26 იანვარს ვენის „აუსტრიას" დაუპირისპირდება. ორი დღის შემდეგ, **ირაკლი მოდებაძის** ზაპოროჟიულ „მეტალურგს", 29-ში ვარშავის „ლეგიას" ეთამაშება. დასკვნით მატჩს კი 1 თებერვალს **მალხაზ ასათიანის** მოსკოვურ „ლოკომოტივთან" გამართავს. 2 თებერვალს ზესტაფონელები სამშობლოში გამოემგზავრებიან, 7-ში კი წლის სეზონს „ლოკომოტივთან" საშინაო მატჩით განაახლებენ.

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ

გია გეგუჩაძე

# ის უცხოელები ჩვენებს ნამდვილად ვერ სჯობდნენ

**ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ლიდერ რუსთავის „ოლიმპის" მთავარი პრეტენდენტი „ზესტაფონი" მზადების დასკვნით ფაზაში გადადის. იმერლები ჯერ სამშობლოში ემზადებოდნენ, მერე ანთალიური შეკრება გაიარეს, შინ რამდენიმე დღით დაბრუნდნენ და ახლა ესპანეთში მიემგზავრებიან მოსამზადებელი შეკრებისთვის. სეზონის განახლებამდე დიდი დრო აღარ დარჩა და შესაბამისად, პირენეებზე ზესტაფონელებს მზადების დასკვნითი ნაწილის გავლა მოუწევთ...**

**0:5 ყაზახურ „ტობოლთან", 3:3 თურქეთის ქვედალიგოსან „პურსაკლარსფორთან" და ბოლოს 2:1 მოგება დნეპროპეტროვსკის „დნიპროსთან". ეს სამი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს ზესტაფონელებმა ანთალიაში. საინტერესოა, თუ როგორ აფასებს თურქეთში მომზადების ეტაპს იმერელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე. რა აზრისაა ახალწვეულებზე, ტესტირებაზე მყოფ უცხოელ მეკარეებზე, მომდევნო, ესპანურ შეკრებას რა დატვირთვას ანიჭებს. ერთი სიტყვით, ამ და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ „ზესტაფონის" თავკაც გია გეგუჩაძეს დავუკავშირდით.**



გია გეგუჩაძე

**- ჯერ ზოგადად შეაფასეთ ანთალიური შეკრება. შემდეგ კი კონკრეტულ თემებზე ვისაუბროთ...**

- ჩვენ გეგმის მიხედვით ვაგრძელებთ მუშაობას. თურქეთში ფიზიკურ კონდიციებზე, საერთო ფიზიკურ გამძლეობაზე გავაკეთეთ აქცენტი. შემიძლია გითხრათ, რომ დაგეგმილი შევასრულეთ.

**- რა თქმა უნდა, კარგია, როცა დაგეგმილი სრულდება. მაინც, რას გულისხმობთ ამ დაგეგმილში?**

- ანთალიაში საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გავწიეთ. ფეხბურთელებს საკმაოდ დიდი ფიზიკური დატვირთვა ჰქონდათ. ფიზიკური მომზადების მხრივ რაც დაგეგმილი გვქონდა, შევასრულეთ. საკონტროლო მატჩები სწორედ ამ დიდი დატვირთვების ფონზე ჩავატარეთ. ფეხბურთელების უმრავლესობამ კარგად გაართვა თავი ამ ამოცანების შესრულებას. მართალია ტრავმებმაც შეგვიშალა ხელი, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს დაბრკოლებაც დავძლიეთ.

**- ტრავმებმა ვინ შეაფერხა?**

- გიორგი ხიდეშელსა და გიორგი ონიანს ჰქონდათ ტრავმები, მაგრამ სერიოზული არაფერი ყოფილა. მათ მცირე პერიოდი გაუცდათ, მერე კი დაჩქარებული, ფორსირებული წესით გააგრძელეს მზადება და დაკარგული პერიოდიც აინაზღაურეს.

**- თურქეთში სამი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეთ. ბოლო მატჩს თუ არ ჩავთვლით, პირველი ორი თამაში ცუდი შედეგით დაასრულეთ. ყაზახურ „ტობოლთან:" 0:5 წაგება და თურქეთის ქვედალიგოსან „პურსაკლარსფორთან" 3:3 ფრე, რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნო შედეგია... ამას რით ახსნით?**

- გეთანხმებით, მაგრამ ეს მზადების პერიოდია, ამ შეკრების დროს შედეგზე არ გაგვიკეთებია აქცენტი. ჩვენი მთავარი ამოცანა ფიზიკური კონდიციები და საერთო გამძლეობა იყო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არასასიამოვნოა, როცა თუნდაც ამხანაგურ შეხვედრაში დადებით შედეგს ვერ აღწევ... „ტობოლთან" თამაში ჩვენთვის პირველი მატჩი იყო და მზადების მე-6 დღეს გავმართეთ. რა თქმა უნდა, იმ ეტაპისთვის ჩვენი ფეხბურთელების კონდიციები საკმაოდ შორს იყო სასურველისგან. ეს თამაშიც დიდი და საშუალო დატვირთვების ფონზე ჩავატარეთ, ისევე როგორც დანარჩენი ორი შეხვედრა.

**- „დნიპროსთან" მოგება ყველასთვის სასიამოვნო იყო...**

- ეს მატჩიც ჩვენი მზადების განუყოფელი ნაწილია და ცალკე, განზოგადებულად მისი განხილვა გამართლებული არ იქნება. ეს შეხვედრაც დატვირთვების ფონზე ჩავატარეთ. დაძაბული შეხვედრა იყო, ვაგებდით, მაგრამ ბოლოს მაინც შევძელით სასურველი შედეგის მიღწევა.

**- თურქული შეკრებისას ორი უცხოელი მეკარე ათამაშეთ. სლოვენიელი ნემანია იოზიჩი და ბრაზილიელი ელტონ გომეს დოს სანტოსი უკან გაისტუმრეთ. ალბათ, თქვენი გუნდის მეკარეებს ვერ სჯობდნენ და ამიტომ...**

- კი, ვნახეთ ორი მეკარე, რომლებიც აგენტებმა შემოგვთავაზეს. პირველ რიგში, გვინდოდა იმ საფეხბურთო ბაზრისთვის გადაგვევლო თვალი, რომელიც ანთალიაში იყო. მინდოდა გვცოდნოდა, თუ რისი იმედი უნდა გვქონდეს და რისი - არა. მეკარეების გარდა მოედნის მოთამაშეებიც უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ეს არ მოხერხდა. რაც შეეხება იმ უცხოელ გოლკიპერებს, ჩვენი გუნდის მეკარეებს ნამდვილად ვერ სჯობდნენ და უარი ვთქვით.

**- თურქეთში გადაწყდა და ორ ახალ ფეხბურთელთან, მცველ დავით მჭედლიშვილთან და ნახევარმცველ გიორგი მიქაბერიძესთან კონტრაქტები გააფორმეთ. მათზე რას გვეტყოდით?**

- ამ მოთამაშეებზე მანამდეც ვფლობდით გარკვეულ ინფორმაციას და ამიტომაც წავიყვანეთ შეკრებაზე. მათ ანთალიაში კარგად წარმოაჩინეს თავი და დავიტოვეთ კიდეც. ამ ორი ფეხბურთელის გარდა, გადავწყვიტეთ, რომ „საბურთალოს" თავდამსხმელი, 1992 წელს დაბადებული მცველი მამუკა კობახიძეც დავიმატოთ და ესპანურ შეკრებაზე მასაც წავიყვანთ.

**- პირენეებზე კიდევ ხომ არ გამოჩნდებიან თქვენს გუნდში პოტენციური ახალწვეულები?**

- არა, ესპანეთში მზადების დასკვნითი ეტაპი გვაქვს და იქ ახალ ფეხბურთელებს აღარ ველოდებით. ამ პერიოდს უკვე ტაქტიკა-სტრატეგიისთვის, კომბინაციებისა და სხვა ტაქტიკური ელემენტების დასახვეწად, სწრაფ გამძლეობასა და სხვა კომპონენტებზე სამუშაოდ გამოვიყენებთ.

**- ანთალიასთან შედარებით, პირენეებზე უფრო უკეთეს გუნდებთან მოგიწევთ ამხანაგური მატჩების ჩატარება...**

- დიახ, ეს მზადების ჩვეული გეგმის ნაწილია. გვინდა სეზონის განახლებას 80 %-ით მზადყოფნაში შევხვდეთ. საამისოდ კი ესპანური შეკრება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**დავით ცაგაძე**

დინამო

# დინამოს მეტეოპრობლემები

თბილისის „დინამო" უკვე მეექვსე დღეა თურქეთში იმყოფება და ანთალიაში ემზადება. გუშინ კი **კახა კაჭარავას** გუნდმა პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა - „დინამოს" მეტოქე უკრაინის თასის მფლობელი, პოლტავის „ვორსკლა" იყო. თუმცა იმის დიდი ალბათობაც იყო, რომ ეს სპარინგ-შეხვედრა საერთოდ არ ჩატარებულიყო: გუშინ მთელი დღის განმავლობაში ანთალიაში ძლიერ წვიმას ქარიშხალი „ენაცვლებოდა" და უამინდობის გამო უამრავი საკონტროლო მატჩიც გადაიდო. თუმცა ურთულესი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, „დინამოს" და „ვორსკლას" ხელმძღვანელებმა საკონტროლო შეხვედრის ჩატარება მაინც მიზანშეწონილად მიიჩნიეს. მიზეზი კი ფეხბურთელთა ფიზიკური კონდიციების შენარჩუნება იყო. თბილისის „დინამომ" პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით ისპარეზა: **ლორია - თომაშვილი, გ. კაშია, კრსტესკი, ჩიკვილაძე - ედნილსონი, შ. კაშია - კახელიშვილი, მერებაშვილი, კოშკაძე - ვაწაძე.**

აი, მეორე ტაიმში კი „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა საკუთარი გუნდის შემადგენლობა ძირფესვიანად შეცვალა: **შეყრილაძე - კაკუბავა, გეთიაშვილი, ჩადუნელი, მარკოვიჩი (ოთარაშვილი) - ნემსაძე, ფირცხალავა (თექთურმანიძე) - ლექვთაძე, ქანთარია, ჯუისი - აკირემი (სიხარულიძე).**

როგორც შეამჩნევდით, „დინამოს" შემადგენლობაში ერთმა პოტენციურმა ახალწვეულმა ისპარეზა: 24 წლის **ვლადო მარკოვიჩმა**. წარმოშობით სერბი ფეხბურთელი ამპლუით მარცხენა მცველია და ბოლოს მაკედონიის „პობედაში" თამაშობდა. მაკედონიის ჩემპიონატის პირველ წრეში მარკოვიჩმა 14 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.



ვლადო მარკოვიჩი

რაც შეეხება „დინამოს" და „ვორსკლას" მატჩს, ამ საკონტროლო შეხვედრას... ფეხბურთი ძნელად თუ ეთქმოდა - იმდენად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. თავად განსაჯეთ: პირველ ტაიმში „დინამოს" გოლის გატანის ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ **ალექსანდრე კოშკაძის** დარტყმული ბურთი, მეტოქის კარში რომ უნდა შევარდნილიყო... წყალმა გააჩერა!

საბოლოოდ, მატჩი ფრედ, 0:0 დამთავრდა. წესითა და რიგით, „დინამომ" მორიგი საკონტროლო მატჩი ხვალ უნდა ჩაატაროს; თან მეტოქედ, არც მეტი, არც ნაკლები, უეფას თასის მოქმედი მფლობელი დონეცკის „შახტარი" უნდა ჰყავდეს. თუმცა, უამინდობის გამო, არ არის გამორიცხული, რომ „დინამოს" საკონტროლო მატჩების განრიგში გარკვეული კორექტივებიც მოხდეს.

**გია ტუხაშვილი**

# ანჟიმ შეკრება დაასრულა, ქართველები შანსებს აფასებენ

« მე-2 გვერდიდან

**- პირადად თქვენ, მზად ხართ პრემიერლიგაში სათამაშოდ?**

- სეზონის დასრულებამდე სამი თვით ადრე წელი ამტკივდა და აღარ მივარჯიშია. კარგა ხანი ვმკურნალობდი და დიდი დრო გამიცდა. თუმცა ახლა ნორმალურად ვივარჯიშე და არანაირი გართულება არ მქონია. პრემიერლიგაში თამაშს შევძლებ, რუსულ მოთხოვნებს უკვე შევეგუე, ბევრი რამ ვისწავლე, განსაკუთრებით, ომარ თეთრაძისგან. ისეთ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, ფეხბურთში ბევრს რომ ნიშნავს, თუმცა ამას ყველა მწვრთნელი არ აქცევს ყურადღებას. ჯერ 22 წლის ვარ, გაცილებით მეტი უნდა ვისწავლო და თამაში დავხვეწო.

**- ყველა საკონტროლო შეხვედრაში არ გითამაშიათ...**

- სამი მატჩიდან ორი ჩავატარე - „შტუტგარტერ კიკერსთან" ძირითადში ვიყავი, „ყარაბახთან" კი მხოლოდ ბოლო 25 წუთი ვითამაშე. ზედმეტი წონა მქონდა და ბუნებრივია, ჯერ ძირითადში ვერ მათამაშებდნენ.

**- მესამე საკონტროლო შეხვედრა კახა ცხადაძის გუნდთან გამართეთ. როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ბაქოს „ინტერმა"?**

- ძალიან კარგი გუნდია და ამიტომაც მოგვიგეს. სხვათა შორის, გიორგი ლომაიასა და დათო ოდიკაძის თამაში მომეწონა ძალიან...

**- როცა ომარ თეთრაძეს ვკითხეთ, საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის სასურველ ფეხბურთელად ვის დაასახელებდა, თქვენც გახსენათ. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას ხომ არ აპირებთ?**

- ორი აზრი არ არსებობს, საქართველოს თუ დავჭირდები, მოქალაქეობას აუცილებლად დავიბრუნებ. ჩემთვის ნაკრებში მოხვედრა ყველაზე დიდი ოცნებაა. თუმცა ანთალიაში ჩვენს ერთ-ერთ შეხვედრას თემურ ქეცბაიაც დაესწრო და გულახდილად რომ ვთქვა, კარგად ვერ ვითამაშე. ჯერ ფორმაში არ ვარ და მწვრთნელს რომ მოვეწონო, საამისოდ ბევრი შრომა დამჭირდება. ასე რომ, პასპორტის დაბრუნებაზე მას მერე ვიფიქრებ, როცა საკითხი რეალურად დადგება დღის წესრიგში. ახლა კი ამას აზრი არ აქვს, არა მგონია, ნაკრებში მიმიწვიონ...

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე

# ჩეხები ლა მანგაში

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის ინტენსიურად ემზადება ჩეხეთის 17-წლამდელთა ნაკრები, რომელიც, როგორც იცით, ჯგუფში ქართველთა მეტოქე იქნება. ჩვენი ჯგუფის მასპინძელ ჩეხებს სპეციალისტები ფავორიტად მიიჩნევენ, ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ბრძოლას 25 მარტს სწორედ მათთან დაპირისპირებით ვიწყებთ.

ჩეხეთის ნაკრების ამჟამინდელი ფორმის შესახებ წარმოდგენა თებერვლის პირველ რიცხვებში შეგვექმნება, როცა გუნდი 4 თებერვალს ლა მანგას საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. ამ დღეს მისი მეტოქე დანია იქნება. 6 თებერვალს ჩეხები ჰოლანდიას შეხვდებიან, რომელთანაც 30 მარტს ელიტრაუნდის ბოლო ტურშიც ელით ბრძოლა. 8 მარტს ჩეხთა მეტოქეები ლა მანგაში ნორვეგიელი 17-წლამდელები იქნებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ამბები

### სამტრედია ულაზარეთოდ

ცუდი პროგნოზი არ გამართლდა და „სამტრედიას" თავდამსხმელის, **ზაურ ხაჭიპერაძის** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. მასთან ერთად, რამდენიმე დღეში განაგრძობს ვარჯიშს ასევე მსუბუქად დაშავებული გუნდის ახალწვეული **დემურ სამსეიშვილი.** „სამტრედია", რომელმაც ურეკული შეკრება უკვე დაასრულა, შემდეგ ამხანაგურ მატჩს 27 იანვარს ჩაატარებს „ბათუმთან".

### სინჯები გრძელდება

ლუცკის „ვოლინში" სინჯებზე მყოფმა **თემურ შონიამ** უკრაინული კლუბის შემადგენლობაში მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. „ვოლინმა" ახტირკის „ნეფტიანიკი" 3:0 გაანადგურა, მაგრამ ამჯერადაც ამ საქმეში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა ნაკლები წვლილი შეიტანა. შეგახსენებთ, შონიამ წინა ორ ამხანაგურ მატჩში თავი საგოლე პასებით გამოიჩინა. ახტირკელებთან იგი ძირითად შემადგენლობაში გაამწესეს და 81-ე წუთზე შეცვალეს.

### კანკავას 90 წუთი

**ჯაბა კანკავა** ნელ-ნელა უახლოვდება ოპტიმალურ ფორმას, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ „დნეპრის" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ ბესონოვმა** იგი კორეულ „გიონგამთან" საკონტროლო მატჩში შეუცვლელად ათამაშა. შეხვედრა, რომელიც თურქეთში გაიმართა, ფრედ, 2:2 დასრულდა. კანკავამ ერთი რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. შეგახსენებთ, თურქულ შეკრებაზე „დნეპრს" არ გაჰყოლია **ბექა გოცირიძე.** ქართველი თავდამსხმელი მოედანს მალე დაუბრუნდება, თუმცა დიდი დატვირთვებისთვის ჯერ მზად არაა.

### ასათიანის შეუცვლელია

მოსკოვის „ლოკომოტივმა" მორიგი ტესტ-მატჩი „ტომთან" ჩაატარა და 0:2 დამარცხდა. **მალხაზ ასათიანმა** რკინიგზელთა დაცვის ცენტრში შეუცვლელად ითამაშა. „ლოკომოტივი" შემდეგ შეხვედრას დღეს გამართავს, მისი მეტოქე ავსტრიული „მატერსბურგი" იქნება.

### რუბინელებს ვალებს უსტუმრებენ

ყაზანის „რუბინის" ფეხბურთელებისთვის სახელფასო დავალიანების გასტუმრება დაწყებულია. **ლაშა სალუქვაძე, დავით კვირკველია** და მათი თანაგუნდელები სამი თვის დავალიანებას მიიღებენ.

### ბელგიას ყარაბახი ვამჯობინეო...

*„თურქეთში, უკრაინასა და ბელგიაში გადასვლაც შემეძლო. ყველაზე რეალური ბელგიური ვარიანტი იყო, მაგრამ ქვეყნის შეცვლა არ მოვისურვე და ბელგიას „ყარაბახი" ვამჯობინე, რადგან მისი შეთავაზება ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა"*, - უთხრა აზერბაიჯანულ პრესას „ბაქოდან" „ყარაბახში" რამდენიმე დღის წინ გადასულმა **გიორგი ადამიამ.**

### ახალი ქართველი განძასარში

სომხურ „განძასარში" ქართველი ნახევარმცველი **ნოდარ ნოზაძე** ისინჯება. მან უკვე მიიღო მონაწილეობა „შირაქთან" 2:0 მოგებულ საკონტროლო შეხვედრაში. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ „განძასართან" კონტრაქტი მცველმა **დავით ხანიშვილმა** გააახანგრძლივა.

### გრიშიკაშვილი მიკაში რჩება

**სოსო გრიშიკაშვილმა** „მიკასთან" ხელშეკრულება ერთი წლით გააგრძელა. ვეტერანმა ქართველმა მეკარემ სომხური კლუბის შემადგენლობაში წინა სეზონში 19 მატჩი ჩაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



სოსო გრიშიკაშვილი

## ბაია

# გუგუჩია, ლომია, ქირია და... აფრიკელი მატია

## კოტდივუარელი ბაიაში კარგად ჩაეწერა

ზუგდიდის „ბაიამ" მორიგი საკონტროლო მატჩი ბოლნისის „სიონის" სარეზერვო შემადგენლობასთან ჩაატარა და 4:1 გაიმარჯვა. თავდაპირველად ბოლნისელები დაწინაურდნენ და პირველი ტაიმი მათივე გამარჯვებით დასრულდა. შესვენების შემდეგ ზუგდიდელები გონს მოეგნენ და მეტოქის კარში ოთხი ბურთი გაიტანეს. გოლები **გუგუჩიას, ლომიას, ჩისამბა ლუნგუსა** და **ქირიას** ანგარიშზეა.

ბაია: **სომხიშვილი - გ. ქირია, კვესიეშვილი, აქუბარდია, აფაქიძე - რ. ონიანი, სიხარულია, გუგუჩია - ჩისამბა ლუნგუ, ბაკარანძე, შ. ლომია.** შეცვლაზე შევიდნენ: **ზარქუა, ნ. შონია, კ. შონია, ეხვაია, ხუციძე, მატია.**

**მატია** კოტდივუარელი თავდამსხმელია და ჯერჯერობით, ზუგდიდურ გუნდში გასინჯვაზეა. როგორც „ბაიას" კონსულტანტმა **სოსო ჭედიამ** გვითხრა, მას დარჩენის კარგი შანსი აქვს. ფიზიკურ მომზადებაში მოიკოჭლებს, მაგრამ საკმაოდ ტექნიკურია – ასე დაგვიხასიათა ჭედიამ მატია.

„სიონთან" შეხვედრა „ბაიამ" სამი თავდამსხმელით ჩაატარა და რაკი ამ ტაქტიკამ შედეგი გამოიღო, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ჭედია მომავალშიც მიმართავს.

მომდევნო მატჩებს „ბაია" იმ ექვსი ფეხბურთელის გარეშე ჩაატარებს, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თურქულ შეკრებაზე მიჰყვებიან. ესენი არიან **თორნიკე ზარქუა, ლუკა გუგუჩია, ზვიად სიხარულია, მაკარ აქუბარდია, ირაკლი ეხვაია** და სანაკრებოდ პირველად გაქართველებული უცხოელი **ჩისამბა ლუნგუ.**

24 იანვარს ზუგდიდელები ამხანაგურ შეხვედრას პირველლიგელი „ბათუმის" წინააღმდეგ ჩაატარებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## სიონი

# მელქაძის ჰეთ-თრიკი

ბოლნისის „სიონისა" და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების სპარინგ-მატჩის მთავარი მოქმედი გმირი **გიორგი მელქაძე** იყო. „ვიტ ჯორჯიადან" „სიონში" ახლად გადასულმა ნახევარმცველმა მეტოქის კარში სამი გოლი გაიტანა.

„სიონის" მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა,** რომელმაც წინა დღით ზუგდიდის „ბაიას" სათადარიგოები დაუპირისპირა, მოედანზე ამჯერად ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობა შეუშვა და თამაშის მსვლელობისას მხოლოდ ერთი ცვლილება განახორციელა.

„სიონის" შემადგენლობა ასეთი იყო: **ბობლიაშვილი - კობაური, ქემოკლიძე, დიდავა, რაქვიაშვილი - გ. მელქაძე, გ. დეკანოსიძე, ლ. ნოზაძე, შენგელია - გ. მაისურაძე (ისიანი), უგულავა.**

შეხვედრის პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და 2:2 დასრულდა, შესვენების შემდეგ კი ბოლნისელებმა იმძლავრეს და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს. მელქაძის გარდა, 17-წლამდელთა კარი **შენგელიამ** და **უგულავამ** დალაშქრეს.

„სიონს" კიდევ ერთი ახალწვეული ჰყავს - 1991 წელს დაბადებული თავდამსხმელი **გიორგი მაისურაძე,** რომელიც აქამდე პირველ ლიგაში, „ნორჩი დინამოელის" შემადგენლობაში თამაშობდა. მან „სიონის" მწვრთნელებს მალევე მოაწონა თავი და უკვე გადაწყვეტილია, რომ სეზონის მეორე ნახევარში ბოლნისური კლუბის ღირსებას დაიცავს.

„სიონის" დაკომპლექტება ჯერ არ დასრულებულა, ურეკული შეკრება კი დასასრულს უახლოვდება. ზღვისპირეთში ქვემოქართლელები მეტ საკონტროლო მატჩს, სავარაუდოდ, აღარ ჩაატარებენ. 28 იანვარს „სიონი" რუსთავში ზაქათალის „სიმურგს" შეხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## მოსალოდნელი ტრანსფერი

# საბერძნეთი, თურქეთი თუ ისევ ლატვია?

გასული სეზონი ნახევარმცველმა **გაგა გუგუნაშვილმა** ლატვიურ ვირსლიგაში ჩაამთავრა. „იურმალასთან" საკონტრაქტო ვადა ამოეწურა. მართალია, მას ხელშეკრულების გახანგრძლივებას სთავაზობენ, მაგრამ გუგუნაშვილი უკეთესი კლუბის ძიებაშია. გაგა საბერძნეთში ერთი იქაური კლუბის მოთხოვნით გაემგზავრა და ვნახოთ ელადაზე ითამაშებს, თუ... ერთი სიტყვით, დანარჩენზე თავად გაგა გუგუნაშვილი მოგითხრობთ.

*„დიახ, წლინახევრის განმავლობაში ლატვიაში, „იურმალაში" ვასპარეზობდი. ჩემს კონტრაქტს შარშან ნოემბერში სეზონის დამთავრებასთან ერთად გაუვიდა ვადა. გასულ სეზონში ლატვიურ ვირსლიგაში მე-5 ადგილზე გავედით. „იურმალას" ჩემთან კონტრაქტის გაგრძელების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ სხვა ვარიანტები გამოჩნდა და მართალი გითხრათ, ჯერ თავს ვიკავებ. მით უმეტეს, „იურმალას" ფინანსურად უჭირს და ამიტომაც მირჩევნია, კლუბი შევიცვალო, თორემ იქ ცუდად ნამდვილად არ ვგრძნობდი თავს".*

გუგუნაშვილი „იურმალაში" სტაბილურად თამაშობდა: *„გასულ ჩემპიონატში 24 მატჩში ვითამაშე. რამდენიმე შეხვედრა დისკვალიფიკაციისა და ტრავმის გამო გამოვტოვე. პოზიცია? ჩემს ადგილზე, საყრდენ ნახევარმცველად ვთამაშობდი და მწვრთნელებიც კმაყოფილები იყვნენ. გოლი არ გამიტანია, მაგრამ 5 საგოლე პასი კი გავაკეთე".*

გუგუნაშვილის ტრანსფერზე საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, **ალექსანდრე რეხვიაშვილი** მუშაობს. მისი მეშვეობით, გაგას ბერძნული ვარიანტი გაუჩნდა: *„ბერძნული „პანსერაიკოსი" მელოდება. ჩემ შესახებ საკმაო ინფორმაცია აქვთ, მათ შორის, თამაშის ჩანაწერებიც, ჰოდა, დამიბარეს. ჩავალ და ყველაფერს გავარკვევ. თუ გუნდი და პირობები ჩემთვის მისაღები იქნება, ხომ კარგი, თუ არა და, თურქულსა და ლატვიურ ვარიანტებზეც მიდის მუშაობა. თურქეთში ადრეც ვთამაშობდი და ასე თუ ისე, იქაც მიცნობენ".*

თურქეთში გუგუნაშვილი „რიზესფორში" ირჯებოდა: *„სამი წლის წინ, „რიზესფორის" მეორე გუნდში ვიყავი. მაშინ ასაკით პატარა ვიყავი, თორემ ახლა, ამ კონდიციებით იქ რომ ვიყო, თურქეთის სუპერლიგაშიც თავისუფლად ვითამაშებდი... ნახევარი წელი გავატარე „რიზესფორში" და იქიდან ბოლნისის „სიონში" გადავედი, ხოლო შემდეგ ნახევარი სეზონი ლატვიაში გავატარე. მოკლედ, იანვრის ბოლომდე გავარკვევ, თურქეთში წავალ თუ ისევ ლატვიაში დავბრუნდები".*



გაგა გუგუნაშვილი

**დავით ცაბაძე**

## ფელეტონი

# ალათასა, ბალათასა...

რალა დარჩა?! ორი კვირა და მერე... მერე, ო ჰო, ჰო, ჰო! მერე 7 თებერვალი დადგება და ყველაფერს ფარდა აეხდება - გაირკვევა, ვის რისი შნო აქვს უკრაინაში... და პოლონეთშიც.

მაშ, 7 თებერვალს კენჭი იყრება. ხომ იცით, როგორც ხდება: ჩაყრიან ბურთულებს გამჭვირვალე... დაიცა, თქვენ რა იფიქრეთ? თქვენ გეგონათ, უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებზე გელაპარაკებოდით? ვაიმე. ის დღე დაიწოს, კუთხურაანთ ფერდომ უკრაინის არჩევნებზე რომ დაგიწყოთ ლაპარაკი. ისე უქნიათ, ოლეგ ბლოხინი აურჩევიათ თავისი მეკარე დეგტიაროვით, ჩვენ რა...

მე ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის კენჭისყრაზე მოგახსენებთ, სადაც ეს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო ნომერ მეხუთე გუდაში ჰყავთ თუშური ყველივით ჩაგდებული. გუდები კი სულ ექვსია, რაც, მართალი გითხრათ, გულსა ჰფხანს - ესე იგი ჩვენზე წყალწაღებულებიც ყოფილან. მერე რა, რომ ის წყალწაღებულები სადაც შეგვხვდებიან, იქ მოგვიგ... უი, ბოდიში. დამავიწყდა. მე მეგონა, ისევ უცხოელი ოხერი გვედგა სათავეში და კარგად შეხურებას ვაპირებდი. მართალია, მართალი, ჩვენ ხომ ახალი მწვრთნელი დაგვინიშნეს, ქართველი კაცი და ახლა ასე უნდა ვილაპარაკოთ: მეექვსე გუდიდან კი არა, სულ ოქროს „კარზინიდან" რომ მოგვასიონ მეტოქეები, დავიჭერთ და ბდღვირს ვადენთ! მაგათ ვაჩვენებთ სეირს! ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრან მაგ ცინგლიანებმა მაგათ! ვინც გინდა იყოს, გამოუშვი, მაგათი!..

უი! უი! მგონი ზედმეტი მომივიდა. ამ ბრექიაობასა და ლანძღვა-გინებას, ისევ გუდებზე ლაპარაკი უნდა სჯობდეს. ისევ ისა სჯობს, ექვსი გუდის ამბავი გითხრათ და იმით დავიწყოთ, ჩვენთან ერთად ვინ უყრიათ მეხუთე ნომერ ტომსიკში. ვინა და, მონტენეგრო (თან მთაშია და თან - შავი), ალბანია (და რამინა პაუერი), ესტონია (ის კი ორი ტონია), მოლდოვა (ვა!), ისლანდია (ეს, ჩრდილია), არმენია (ასმა, სომხეთი, რალა), კაზახსტანი (კაზახსთავი) და ლიხტენშტაინი (ლიხტენშტაინს იქით და ლიხტენშტაინს აქეთ, საქართველო გიყვარდეთ!). ეს, ასე ვთქვათ, ჩვენნაირი ყარტა-ყურტები. ჩვენზე წყალწაღებულები კი არიან - უკაცრავად, მაგრამ აზერბაიჯანი და ლუქსემბურგი თავისი მალტით, ფარერებით, სან მარინოთი და ანდორათი.

ახლა ეს გამაგებინეთ, ანდორა ჩვენზე წყალწაღებულად რატომ მიაჩნიათ? იქ, ახლოს ბარსელონაა, ჩვენთან კი პიატიგორსკი - რომელი უფრო მაგარია? თუმცა, როგორც უნდათ, ისე ჩათვალონ, ჩვენ რა გვენაღვლება.

აი, ეხლა კი მოდი, მთლად პირველი „მეშოკი" ვნახოთ და იქიდან ავირჩიოთ ვინ გვინდა. პირველ „მეშოკში" არიან: ესპანეთი, გერმანია, ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, ხორვატია, საფრანგეთი, რუსეთი და პორტუგალია. ამათგან, შენ ხარ ჩემი ბატონი, ესპანეთი, მაგალითად, არასდროს შეგვხვედრია და თუ იმასაც ალალად ვიტყვით, რომ ამ „მეშოკიდან" არც ერთის მომგები არ ვართ, მაგარი ფეხბურთელების ახლოდან სანახავად მართლა კარგი ვარიანტია.

გერმანია... ასოები რომ გადააწყო და გადმოაწყო, „მეგ რაიან" გამოდის და ეგეც კარგი უნდა იყოს. ჰოლანდია ყვითელი ავტობუსების სამშობლოა, ბატონო ჩემო, და მაგასთან ფეხბურთის თამაშს, წესით, არაფერი უნდა სჯობდეს. თან ფეხბურთელებიც მაგრები ჰყავთ. იტალია არ გვინდა, ყელშია ამოსული. რამდენჯერ უნდა მოვუგ... წავაგოთ. ინგლისი მაგარია. კინაღამ წამომცდა, მეკარე არ უვარგა-მეთქი, მაგრამ მერე „რაღაც" გამახსენდა და გადავიფიქრე. ხორვატიას, მოდი, ივო შუშაკის პატივისცემით ნუ შევხვდებით. ცოდოა ხალხი, ფეხბურთის ნახვასაა დაჩვეული (უი, ბოდიში, ისევ ცუდ რალაცეებს ვამბობ). საფრანგეთისას ვერაფერს გეტყვით. ზიდანი წავიდა და მევლუდა არ მაინტერესებს. პორტუგალია? ფორთოხალია... კრისტიანობაა მანდ განვითარებული. წამოვიდეს, კარგია, გავერთობით. რუსეთისგან კი ყველა გაგებით დაგვიფარე, ღმერთო!

*ფერდინანდ კუთხურსკიმ პირჯვარი გარდაისახა, შემდეგ რატომღაც ხელი ჩაიქნია (ნეტავ რატომ?) და თავისი ნააზრევი რედაქციაში*

**ილია ბაბუნაშვილს**
გამოატანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

სერია A. XXI ტურის წინ

# მადონინა კალაძესთან ერთად?

## გაძეტა დელო სპორტი: ლეონარდო ფავალიზე მეტად კახას ენდობა!

| დღეს | |
|---|---|
| კატანია-პარმა | 21:00 |
| იუვენტუსი-რომა | 23:45 |
| **ხვალ** | |
| ბოლონია-ბარი | 18:00 |
| ჯენოა-ატალანტა | 18:00 |
| ლაციო-კიევო | 18:00 |
| ლივორნო-ნაპოლი | 18:00 |
| პალერმო-ფიორენტინა | 18:00 |
| სიენა-კალიარი | 18:00 |
| უდინეზე-სამპდორია | 18:00 |
| ინტერი-მილანი | 23:45 |

იტალიის სერია A-ს XXI ტურის ცენტრალური შეხვედრა უდავოდ „ჯუზეპე მეაცაზე" გაიმართება, სადაც ერთმანეთის პირისპირ მილანური გრანდები წარდგებიან. მადონინა, როგორც მას იტალიაში უწოდებენ, მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღებას იპყრობს და ბუნებრივია, ჩვენც მეტწილად სწორედ ამ პაექრობაზე ვისაუბრებთ.

ყველაზე მეტად, რაც „მილანის" ბანაკში აწუხებთ, **ალესანდრო ნესტას** ჯანმრთელობის მდგომარეობაა. უკანასკნელი ინფორმაციით, ნესტას კვლავაც აწუხებს კუნთი და მისი „ინტერის" წინააღმდეგ თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია. ყოველ შემთხვევაში, „გაძეტა დელო სპორტის" სავარაუდო შემადგენლობებში სანდროს ადგილი არ მოიძებნა. საგულისხმოა, რომ ავტორიტეტული გამოცემის აზრით, ალესანდროს არა **ჯუზეპე ფავალი**, არამედ **კახა კალაძე** შეცვლის. როგორც ჩანს, **ლეონარდო** ფავალის თამაშით მთლად კმაყოფილი არ დარჩა და ამჯერად, ქართველი უკანახაზელისთვის აპირებს შანსის მიცემას. კალაძემ ბოლოს იტალიის თასის მერვედფინალურ შეხვედრაში იასპარეზა და „ნოვარას" ძლევაში თავისი წვლილი შეიტანა. **ტიაგო სილვა** რომ ძირითად შემადგენლობაში იქნება, ამას წყალი არ გაუვა. ბრაზილიელი ფეხბურთელი აქტიურად ურთიერთობს პრესასთან და ოპტიმისტურ განცხადებებსაც აკეთებს. მარჯვნივ **ინაციო აბატე** გაირჯება, მარცხნივ კი **ლუკა ანტონინი**. მილანელებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ კვირამდე **ჯანლუკა ძამბროტა** მოასწრებდა გამოჯანმრთელებას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. გამოცდილი მცველი კვლავაც ტრავმირებულია და ლაზარეთში სავარაუდოდ კიდევ ერთ კვირას გაატარებს.

ბრუნდება **კლარენს ზეედორფი**, მაგრამ სავარაუდოდ მას სათადარიგოთა სკამზე გაამწესებენ. ეს ბუნებრივიც გახლავთ, რადგან ჰოლანდიელს ბევრი გაუცდა და ოპტიმალური ფორმისგან შორს არის. სათადარიგოთა სკამზე იქნება **მატიო ფლამინიც**, რომელმაც მხარი უკვე მოირჩინა და მზადაა „ინტერს" შეეტოქოს. სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან **ანდრეა პირლო, მასიმო ამბროზინი** და **ჯენარო გატუზო**. ალბათ უკვე მიხვდით, რომ „მილანი" კვლავაც სამი ფეხბურთელით შეუტევს: მარჯვნიდან **დევიდ ბექჰემი** იმოქმედებს, მარცხნიდან **რონალდინიო**, ცენტრში კი **მარკო ბორიელოს** ვიხილავთ. **ალეშანდრე პატო** ტრავმირებულია და ამაზე გუშინაც გამცნეთ, მისი თამაში გამორიცხულია.

**ჟოზე მოურინიოს** ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა; **კრისტიან კივუ** და **დეიან სტანკოვიჩი** ტრავმირებულნი არიან, **სამუელ ეტოო** კი აფრიკაში გახლავთ. „გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, მოურინიო იმ სქემით ითამაშებს, რომელსაც ბოლო პერიოდში აქტიურად იყენებს ხოლმე: 4-2-3-1. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **დიეგო მილიტო** იქნება, მის უკან კი შემდეგი სამეული განლაგდება: **მარიო ბალოტელი, გორან პანდევი, უესლი სნეიდერი**. საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს ორი ფეხბურთელი შეასრულებს, ერთი **ხავიერ ძანეტი** გახლავთ, ხოლო მეორე **ესტებან კამბიასო**. დაცვის მარცხენა ფლანგზე ან **ივან კორდობა** გაირჯება, ანაც **დავიდე სანტონი**. „გაძეტა" უპირატესობას ახალგაზრდა იტალიელს ანიჭებს, თუმცა სხვა გამოცემები კორდობაზე ჩამოდიან ფსონს. მარჯვნივ **დუგლას მაიკონს** ალტერნატივა არ ჰყავს, ცენტრში კი **ვალტერ სამუელი** და **ლუსიო** უნდა ვიხილოთ.

ექსპერტთა ვარაუდით, შეხვედრა ნომინალურ სტუმართა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართება. „მილანის" ნახევარმცველები ბურთს უკეთესად აკონტროლებენ და წესით, მოედნის ცენტრზე იოლად უნდა გაბატონდნენ. თუმცა, როდესაც ასეთი კალიბრის მოწინააღმდეგესთან გიწევს თამაში, მხოლოდ ცენტრის აღება საკმარისი არაა - შესაძლოა „ინტერმა" თავად დათმოს მოედნის შუაგული და ფლანგურ იერიშებზე გააკეთოს აქცენტი. მით უმეტეს, რომ გორან პანდევი და მარიო ბალოტელი სწორედ ფრთებიდან შეუტევენ. მოკლედ, ყველა სიკეთესთან ერთად, ტაქტიკური თვალსაზრისითაც საინტერესო დაპირისპირება გველის და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს, ჟოზე მოურინიო თუ ლეონარდო.

მილანური გუნდების მწვრთნელფეხბურთელთა კომენტარები არაერთხელ გაგაცანით, ამიტომ, აღარ განვმეორდებით. თქვენს ყურადღებას „ინტერის" და „მილანის" ცოცხალი ლეგენდებისკენ მივაპყრობთ, რომლებმაც საკმაოდ ვრცლად ისაუბრეს. ჯერ **ჯუზეპე ბერგომის** მოვუსმინეთ, შემდეგ კი **პაოლო მალდინის**. მოვუსმინოთ ბეპეს:

*„ისევე როგორც ყველა, კვირას გასამართავ პაექრობას მეც დიდი ინტერესით ველოდები. ეს იქნება ძალიან საინტერესო თამაში, რომლის შედეგსაც ვერავინ იწინასწარმეტყველებს. „მილანთან" თამაშები ძალიან კარგად მახსოვს, მათი დამარცხება საშინლად რთული იყო, რადგან „როსონერის" გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს. ბოლო წლებში, „ინტერის" უპირატესობაა სახეზე და იმედია, ეს თამაშიც ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება. ისე, ვერც კი ვიხსენებ, ბოლოს როდის შეხვდნენ დერბის მილანური გუნდები ლიდერის რანგში. ისედაც პრინციპულ დაპირისპირებას, სატურნირო ცხრილში არსებული ვითარება კიდევ უფრო მეტ ინტრიგას სძენს. მოურინიოს იმედი მაქვს, რომელიც ტაქტიკურად ბევრად უფრო განსწავლულია, ვიდრე მისი მილანელი კოლეგა".*

მალდინის კი რონალდინიოს იმედი აქვს. აი, მისი კომენტარიც: *„პირველ წრეში ნაწვნევი მარცხი დღესაც მწარედ მახსენდება და სიმართლე გითხრათ, რევანში მინდა. მაშინ „მილანი" საშინელ ფორმაში იყო, „ინტერი" კი პირიქით, დაფრინავდა - ამიტომ შედეგი ჩვენთვის კატასტროფული მივიღეთ. საბედნიეროდ, ახლა აბსოლუტურად განხვავებული ვითარებაა. ჩემი აზრით, დღეს „მილანი" გაცილებით უკეთეს ფეხბურთს თამაშობს და შესაბამისად, დერბიში გამარჯვების მეტი შანსი აქვს. თუმცა ეს ისეთი თამაშია, რომელზეც პროგნოზების გაკეთება, უბრალოდ, არ შეიძლება".*



კახა კალაძე ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება



პირველ წრეში ინტერმა მილანი 4:0 გაანადგურა

სავარაუდო შემადგენლობები:

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, სანტონი - ძანეტი, კამბიასო - ბალოტელი, პანდევი, სნეიდერი - მილიტო.

**მილანი:** დიდა - აბატე, ტიაგო სილვა, კალაძე, ანტონინი - პირლო, ამბროზინი, გატუზო - რონალდინიო, ბექჰემი - ბორიელო.

საინტერესო მატჩი გაიმართება ტურინშიც, სადაც „იუვენტუსი" „რომას" უმასპინძლებს. რომ არა მილანური დერბი, ეს შეხვედრა უდავოდ ყველაზე გამორჩეული იქნებოდა. „ვეკია სენიორას" კრიზისს ბოლო არ უჩანს, გუნდი პრაქტიკულად ყველა თამაშს აგებს, ფეხბურთელებს კი ტურიდან ტურამდე თავის მართლება უწევთ.

„ბიანკონერის" ლაზარეთი რომ სავსეა, კარგად მოგეხსენებათ - **ჩირო ფერარას** არაერთი ფეხბურთელის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. კვლავ ტრავმირებულია **დავიდ ტრეზეგე**, ისევე როგორც **მაურო კამორანეზი** და **ვინჩენცო იაკვინტა**. სამაგიეროდ, დაბრუნდა **კარვალიო ამაური** და „რომასთან" სასტარტო შემადგენლობაში იქნება. მის მხარდამხარ **ალესანდრო დელ პიერო** გაირჯება, უკნიდან კი **დიეგო რიბასი** იმოქმედებს. რაც მთავარია, ბრუნდება **ჯანლუიჯი ბუფონი** და სწორედ ის დაიცავს ტურინელთა კარს. იტალიელი ჟურნალისტები ყველა თამაშის შემდეგ ელოდებიან, რომ ფერარა პოსტს დატოვებს, თუმცა ეს ასე არ ხდება. ჩიროს მხარდამჭერებიც ჰყავს, მათ რიგს გუშინ **ლილიან ტიურამიც** შეუერთდა და განაცხადა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს მუშაობა უნდა აცალონ.

„რომამ" ბოლო დროს მკვეთრად მოუმატა და სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციაზე მოკალათდა. **კლაუდიო რანიერიმ** გუნდი აშკარად პროგრესის გზას დააყენა და გულშემატკივრებიც მოიმადლიერა. ეს ის რანიერია, „იუვენტუსიდან" რომ გააგდეს და მის ნაცვლად, გუნდი ფერარას რომ ჩააბარეს. ცხადია, სენიორ კლაუდიო ორმაგი მოტივაციით ელოდება დღევანდელ შეხვედრას და სურს, მისი კვალიფიკაცია კიდევ ერთხელ დაამტკიცოს.

„ჯალოროსის" თავკაცი სავარაუდოდ 4-4-2-ს აირჩევს, შეტევის წინა ხაზზე კი **ლუკა ტონის** და **მირკო ვუჩინიჩს** გაამწესებს. მათ უკან შემდეგი ოთხეული გაირჯება: **სიმონე პეროტა, დანიელე დე როსი, დავიდ პისარო, როდრიგო ტადეი**. კინაღამ მთავარი დაგვავიწყდა: გამოჯანმრთელდა **ფრანჩესკო ტოტი** და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სამატჩო განაცხადში უნდა მოხვდეს. ნამდვილად არ არის გამორიცხული, სასტარტოში იასპარეზოს, მაგრამ დიდი ალბათობით, მინდორზე მხოლოდ ბოლო ნახევარ საათს დაჰყოფს.

სავარაუდო შემადგენლობები:

**იუვენტუსი:** ბუფონი - გრიგერა, კანავარო, კიელინი, გროსო - სისოკო, მარკიზიო, კანდრევა, დიეგო - დელ პიერო, ამაური.

**რომა:** ჟულიო სერჟიო - კასეტი, მექსე, ჟუანი, რიისე - ტადეი, პისარო, დე როსი, პეროტა - ვუჩინიჩი, ტონი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 20 | 14 | 4 | 2 | 43-19 | 46 |
| 2. მილანი | 19 | 12 | 4 | 3 | 35-19 | 40 |
| 3. რომა | 20 | 10 | 5 | 5 | 33-24 | 35 |
| 4. ნაპოლი | 20 | 9 | 7 | 4 | 29-24 | 34 |
| 5. იუვენტუსი | 20 | 10 | 3 | 7 | 32-26 | 33 |
| 6. პალერმო | 20 | 8 | 7 | 5 | 24-21 | 31 |
| 7. კალიარი | 19 | 9 | 3 | 7 | 31-23 | 30 |
| 8. ფიორენტინა | 19 | 9 | 3 | 7 | 26-19 | 30 |
| 9. ბარი | 20 | 7 | 8 | 5 | 25-20 | 29 |
| 10. პარმა | 20 | 8 | 5 | 7 | 24-26 | 29 |
| 11. ჯენოა | 20 | 8 | 4 | 8 | 33-36 | 28 |
| 12. კიევო | 20 | 8 | 3 | 9 | 21-21 | 27 |
| 13. სამპდორია | 20 | 7 | 6 | 7 | 23-28 | 27 |
| 14. ლივორნო | 20 | 6 | 3 | 11 | 13-27 | 21 |
| 15. უდინეზე | 19 | 5 | 5 | 9 | 20-24 | 20 |
| 16. ლაციო | 20 | 4 | 8 | 8 | 15-21 | 20 |
| 17. ბოლონია | 20 | 5 | 5 | 10 | 21-29 | 20 |
| 18. ატალანტა | 20 | 4 | 5 | 11 | 20-30 | 17 |
| 19. კატანია | 20 | 3 | 7 | 10 | 18-29 | 16 |
| 20. სიენა | 20 | 3 | 3 | 14 | 21-41 | 12 |

ლაშა ნიკლაური

ესპანეთი

ლა ლიგა. XIX ტურის წინ

# ესეც პრიმერული ეკვატორი...



რეალი ალბანეთიდან დაბრუნების შემდეგ

| დღეს | |
|---|---|
| სევილია-ალმერია | 21:00 |
| ვალიადოლიდი-ბარსელონა | 23:00 |
| დეპორტივო-ბილბაო | 01:00 |

| ხვალ | |
|---|---|
| ხერესი-ოსასუნა | 20:00 |
| ესპანიოლი-მალიორკა | 20:00 |
| სპორტინგი-რასინგი | 20:00 |
| ტენერიფე-ვალენსია | 20:00 |
| ვილიარეალი-სარაგოსა | 20:00 |
| ხეტაფე-ატლეტიკო | 22:00 |
| რეალი-მალაგა | 00:00 |

შაბათ-კვირას პრიმერა დივიზიონის პირველი წრე დასრულდება, თუმცა ზამთრის ჩემპიონი უკვე ცნობილია - „ბარსელონა". კატალონიური გრანდი „რეალს" ხუთი ქულით უსწრებს. „ბარსა" შესანიშნავ განწყობაზე ეგებება მატჩს „ვალიადოლიდთან", **ლეო მესი** გუნდის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელმაც მე-100 გოლი გაიტანა („ტენერიფესთან" მატჩში არგენტინელმა მე-100 101-ეც მიაყოლა) და რაც ყველაზე მთავარია, კიდევ ერთი სეზონით დაიბევა 38 წლის დამრიგებელი **პეპ გვარდიოლა**, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ კლუბში ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ აუცილებლად მოაწერს ერთწლიან კონტრაქტს ხელს.

აი, „ბარსას" მეტოქეს კი არცთუ კარგად აქვს საქმე - „ვალიადოლიდი" სულ რაღაც ქულით უსწრებს გავარდნის ზონას.

„ვალიადოლიდს" არ ეყოლება **სისი,** რომელმაც ვერაფრით დაადგინა, რის გამო აწუხებს მარცხენა ფეხი. მას შეიძლება ოპერაციაც დასჭირდეს. **ალვარო რუბიო** ზურგის ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ჩემპიონთან. ანგოლელი **მანუჩო** სამშობლოშია, სადაც აფრიკის ერთა თასზე ეხმარება ეროვნულ ნაკრებს. სამაგიეროდ, „ვალიადოლიდს" დისკვალიფიკაციამოხდილი **ნივალდო** და **პელე** უბრუნდებიან.

**სეიდუ კეიტა** უკვე დაუბრუნდა „ბარსას" აფრიკიდან. ყველაზე მეტად კაპიტან **კარლეს პუიოლის** თამაშია საეჭვო - მას ზურგი აწუხებს და ვერ ვარჯიშობს. ვარჯიშზე არც **სერხიო ბუსკეტსი** ჩანდა, თუმცა მისი ტრავმა უმნიშვნელოა და მწვრთნელი, უბრალოდ, ასვენებდა ნახევარმცველს. კატალონიელთა ფრანგი ფორვარდი **ტიერი ანრი** ცდილობს გამოისყიდოს ირლანდიის ნაკრებთან ხელით თამაში - ტიერიმ 56 ათასი ევრო გადაურიცხა სამედიცინო კომპანიას, რომელიც ჰაიტის მოსახლეობას ეხმარება. ისე, რთული სათქმელია, ვის არჩევს ხოსეპ გვარდიოლა ძირითადში - ანრის თუ ახალგაზრდა **პედროს**, რომელიც ბრწყინვალე ფორვარდია.

სავარაუდო შემადგენლობა

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ვილიარი - ლოპესი, პრიეტო, ნივალდო, მარკოსი - ბორხა, პელე - ალემანი, კანობიო, ბუენო - და სილვა კოშტა.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, მარკესი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, ანრი (ან პედრო).

„ბარსელონას" თასიდან გამოგდებისთვის დასჯილი „სევილია" ანდალუსიურ დერბიში „ალმერიას" მასპინძლობს. როგორც ჩანს, ეს გუნდი მთლიანად „სამეფო თასზე" გადაერთო, ჩემპიონატში კი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის თუ იბრძოლებს, იმდენად ჩამორჩა მეტოქეებს. **მანოლო ხიმენესის** გუნდი 30 ქულით მხოლოდ მეექვსე ადგილზეა პრიმერადივიზიონში. შუა კვირაში კი „რიასორზე" ადგილობრივ „დეპორტივოს" „სამეფო თასის" პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში თავბედი აწყევლინა, 3:0 მოუგო და ნახევარფინალის საგზური თითქმის გაინაღდა.

სხვათა შორის, რაც „ალმერიაში" **ხუან მანუელ ლილიო** მივიდა, გუნდი კარგად ათამაშდა. წლეულს „ალმერია" დაუმარცხებელია - 1 შეხვედრა მოიგო და 2 ფრედ დაამთავრა. „სევილია" კი მშობლიურ „სანჩეს პისხუანზე" ამ სეზონში ცუდად თამაშობს. მოკლედ, ანდალუსიური დერბისგან ცალკარას ნუ ელით.

შუა კვირაში „სევილიას" რიგებში გამოჩნდნენ **ლუიშ ფაბიანო** და **დიეგო პეროტი.** დღეს მათ უფრო მეტი წუთი მიეცემათ თავის გამოსაჩენად. გამოჯანმრთელდნენ და გუნდთან ერთად ჩვეულებრივად ივარჯიშეს **ადრიანომ** და **ფედერიკო ფასიომ.** ესპანეთში დაბრუნდა **ფრედერიკ კანუტე**, რომელმაც განაცხადა, რომ ალარასოდეს ითამაშებს ეროვნულ ნაკრებში. ვფიქრობთ, ის თამაშს სათადარიგოთა სკამიდან დაიწყებს. **სებასტიენ სკილაჩი** კვლავ ტრავმირებულია და დაცვის ხაზს დააკლდება, **დიდიე ზოკორა** კი ისევ ანგოლაშია.

„ალმერიას" ვარჯიშებზე მხოლოდ გოლკიპერი **ესტებანი** არ ჩანდა და ისიც არა ტრავმის გამო, არამედ პირადი პრობლემის. სხვა მხრივ, ლილიოს ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და სათამაშოდ მზადაა. დისკვალიფიკაციის გამო დასჯილები **მოდესტე მბამი** და **ხუანმა** გუნდს უბრუნდებიან, ხოლო **პაბლო პიატი** „სევილიასთან" მატჩს გამოტოვებს. **კალუ უჩე** აფრიკის ერთა თასზეა.

სავარაუდო შემადგენლობები

**სევილია (4-4-2):** პალოპი - კონკო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ნავარო - ნავასი, რომარიკი, რენატო, პეროტი - ნეგრედო, ლ. ფაბიანო.

**ალმერია (4-2-3-1):** ალვესი - მიჩელი, ჩიკა, აკასიეტე, სისმა - სორიანო, ბერნარდელო - ხუანმა, კორონა, კრუსატი - გოიტომი.

მადრიდის „რეალი" ალბანეთიდან დაბრუნდა, სადაც საქველმოქმედო მატჩში რამდენიმე მილიონი გამოიმუშავა მეწყერისგან დაზარალებული ალბანელებისთვის. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში შუქი ჩაქრა და გუნდებმა თამაში ძლივს ჩაამთავრეს. „სამეფო კლუბი" დახურავს ჩემპიონატის პირველ ნახევარს - „სანტიაგო ბერნაბეუზე" ერთ-ერთ აუტსაიდერ „მალაგას" მასპინძლობს.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი (4-3-1-2):** კასილიასი - რამოსი, გარაი, ალბიოლი, არბელოა - ჩაბი ალონსო, ლ. დიარა, მარსელო - კაკა - რონალდო, ბენზემა.

**მალაგა (4-3-2-1):** მუნუა - გამესი, გონსალესი, ველიგტონი, მ. ტორესი - ხუანმი, ხ. ტორესი - დუდა, ბენაშური, ფერნანდო - კაიშედუ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 14 | 4 | 0 | 46-10 | 46 |
| 2. რეალი | 18 | 13 | 2 | 3 | 42-14 | 41 |
| 3. ვალენსია | 18 | 11 | 5 | 2 | 35-18 | 38 |
| 4. მალიორკა | 18 | 10 | 3 | 5 | 32-20 | 33 |
| 5. დეპორტივო | 18 | 9 | 4 | 5 | 20-18 | 31 |
| 6. სევილია | 18 | 9 | 3 | 6 | 28-21 | 30 |
| 7. ბილბაო | 18 | 9 | 3 | 6 | 23-21 | 30 |
| 8. ხეტაფე | 18 | 9 | 0 | 9 | 26-24 | 27 |
| 9. სპორტინგი | 18 | 6 | 6 | 6 | 20-20 | 24 |
| 10. ვილიარეალი | 18 | 6 | 5 | 7 | 27-25 | 23 |
| 11. ატლეტიკო | 18 | 6 | 5 | 7 | 30-30 | 23 |
| 12. ოსასუნა | 18 | 5 | 5 | 8 | 16-20 | 20 |
| 13. რასინგი | 18 | 5 | 5 | 8 | 22-27 | 20 |
| 14. ესპანიოლი | 18 | 5 | 4 | 9 | 12-25 | 19 |
| 15. ალმერია | 18 | 4 | 6 | 8 | 18-28 | 18 |
| 16. მალაგა | 18 | 3 | 8 | 7 | 21-24 | 17 |
| 17. ვალიადოლიდი | 18 | 3 | 8 | 7 | 23-32 | 17 |
| 18. ტენერიფე | 18 | 4 | 4 | 10 | 16-36 | 16 |
| 19. სარაგოსა | 18 | 3 | 5 | 10 | 18-37 | 14 |
| 20. ხერესი | 18 | 1 | 5 | 12 | 7-32 | 8 |

ესპანეთი

სამეფო თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# ტიაგოს გოლის მიუხედავად...

მადრიდის „ატლეტიკომ" ვერ შეძლო პირველ მეოთხედფინალურ მატჩში საკუთარი მოედნის უპირატესობის გამოყენება და ახლა ერთ კვირაში სეგუნდა დივიზიონის გუნდთან დიდი ბრძოლა მოუწევს. **კიკე ფლორესის** გუნდი ძალზე ცუდად გამოიყურებოდა ვიგოს „სელტასთან", ქვედადივიზიონელი კი პირიქით, ბევრს უტევდა და უკეთესი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მათმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა **რობერტო ტრაშორასმა** უკვე მე-3 წუთზე გახსნა ანგარიში, თუმცა მე-11 წუთზე „ატლეტიკოს" პორტუგალიელმა ახალწვეულმა **ტიაგო მენდეშმა** გაათანაბრა - 1:1. პორტუგალიელმა **რეიესის** ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ სტუმართა მცველებს საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო. „იუვენტუსიდან" გადმოსულმა ტიაგომ თეთრ-წითელი მაისურით პირველი გოლი გაიტანა. *„ჩვენ შევძელით ასეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ ჩვენი ფეხბურთის თამაში, ამიტომაც წავიდა ყველაფერი კარგად"*, - განაცხადა „სელტას" თავკაცმა **ეუსებიო საკრისტაინმა.**

სანტანდერში პამპლონის „ოსასუნას" ურუგვაელმა ფორვარდმა **ვალტერ პანდიანიმ** მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე გაიტანა გოლი, რომელიც საპასუხო მატჩში, შეიძლება, გადამწყვეტი აღმოჩნდეს - „რასინგმა" მხოლოდ 2:1 მოიგო. ასე რომ, ამ წყვილში ყველაფერი პამპლონაში გადაწყდება. არადა, „რასინგი" **გონსალო კოლსას და პაპა დიოპის** გოლების წყალობით დაწინაურდა და უკვე თავი ქუდში ეგონა. სხვათა შორის, სამივე გოლი ერთმანეთზე საუკეთესო გამოდგა.



ატლეტიკო-სელტა

**რასინგი-ოსასუნა 2:1**

**რასინგი (4-2-3-1):** ფერნანდესი - პინილიოსი, მორატონი, ტორეხონი, კრისტიანი - კოლსა, ლასენი - მუნიტისი, კანალესი (66. დიოპი), მორალი (70. მორანი) - სისკო (80. გეიხო).

**ოსასუნა (4-4-2):** რობერტო - ასპილიკუეტა, როვერსიო, ხოსეჩო, მონრეალი - მასუდი, პუნიალი (82. ნეკუნამი), რუპერი, კალეხა - დადი (75. პანდიანი), გალანი (75. კამუნიასი).

**გოლები:** 1:0 კოლსა (63), 2:0 დიოპი (84), 2:1 პანდიანი (88)

**ატლეტიკო-სელტა 1:1**

**ატლეტიკო (4-2-3-1):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, დომინგესი, პერნია (54. ვალერა) - რ. გარსია (64. კამაჩო), ტიაგო - სიმაო (46. ფორლანი), ხურადო, რეიესი - აგუერო.

**სელტა (4-3-3):** იოელი - ფერნანდესი, ნოგეროლი, ტიუნესი, ლაგო - ვილა (74. ბუსტოსი), ტრაშორასი, მიჩუ (67. გარაი) - აბალო, ასპასი, ბოტელიო (81. ხოსელუ).

**გოლები:** 0:1 ტრაშორასი (3), 1:1 ტიაგო (11)

ტრანსფერი




ედუარდო სალვიო ვისენტე კალდერონზე წარადგინეს

# სალვიო ათლეტია

მართალია, „ატლეტიკომ" „სამეფო თასის" მეოთხედფინალურ წყვილში შინ წაფორხილებით დაკარგა ფავორიტის სტატუსი, მაგრამ გუნდმა ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველი შეიძინა - არგენტინელმა **ედუარდო სალვიომ** მადრიდში ჩამოსვლიდან მე-5 დღეს მოაწერა ხელი კონტრაქტს „როხიბლანკოსთან". სალვიო 19 წლისაა, მან წინა სეზონები „ლანუსში" გაატარა, სადაც 2007 წელს აპერტურა მოიგო. ახალმა „როხიბლანკომ" უკვე წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და „ვისენტე კალდერონის" ვიპ-ოთახში არგენტინელის პრეზენტაციაც შედგა. ესპანური პრესის ცნობით, სალვიოს კონტრაქტი (რომელიც მაშინ გაფორმდება, როცა „ლანუსიდან" მადრიდში განთავისუფლების ფურცელი ჩამოვა) მადრიდულ კლუბს 10 მილიონი ევრო დაუჯდა. სალვიოს 2 მატჩი აქვს ჩატარებული არგენტინის ეროვნულ ნაკრებში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

გერმანია

ბუნდესლიგა. XIX ტურის წინ

# ბრემენში დღეს კლასიკა აუღერდება

| გუშინ | |
|---|---|
| ფრაიბურგი-შტუტგარტი | 0:1 |
| **დღეს** | |
| ბოხუმი-შალკე | 18:30 |
| ჰერტა-ბორუსია (მ) | 18:30 |
| ვერდერი-ბაიერნი | 18:30 |
| ნიურნბერგი-აინტრახტი | 18:30 |
| მაინცი-ჰანოვერი | 18:30 |
| ბორუსია (დ)-ჰამბურგი | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ვოლფსბურგი-კიოლნი | 18:30 |
| ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი | 20:30 |



ბრემენში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი

დღეს ბუნდესლიგის კლასიკაა: „ვერდერი" ბრემენში „ბაიერნს" მასპინძლობს; დღესვე ბოხუმში, სადაც „შალკე" ჩადის, რურის მცირე დერბია; მირკო სლომკას „ჰანოვერის" მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი აქვს - „წითლები" „მაინცში" ჩადიან; „ნიურნბერგი" „აინტრახტს" მასპინძლობს და მხოლოდ მოგება დააკმაყოფილებს; იგივე ეხება ბერლინის „ჰერტასაც", რომელიც მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მასპინძლობს. საღამოს კიდევ ერთი ტოპ-მატჩია: დორტმუნდის „ბორუსია" „ჰამბურგს" დაუხვდება; ლიდერი „ლევერკუზენი" კი ხვალ ითამაშებს „ჰოფენჰაიმთან".

## ვერდერი წნეხის ქვეშ

„ვერდერმა" მეორე წრე ძალიან ცუდად დაიწყო. ბრემენელი „მუსიკოსები" ფრანკფურტში დამარცხდნენ (0:1), რის გამოც ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ. ამ მარცხის შემდეგ, „ვერდერს" მეხუთე ადგილს უკვე ხუთი ქულა აშორებს. შესაბამისად, „ვერდერი" დღევანდელი შლაგერის წინ ძალიან მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული. მართალია, ბრემენელებს „ბაიერნთან" ბოლო ოთხი შეხვედრიდან არც ერთი არ წაუგიათ (1 მოგება, 3 ფრე), მაგრამ გუნდების დღევანდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, რეკორდმაისტერი ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ. „ბაიერნი" კი თავის მხრივ ბრწყინვალე ფორმაშია და მეორე წრეც ჩინებულად დაიწყო: 2:0 „ჰოფენჰაიმთან", რის შემდეგაც სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** და ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** მორიგ გამარჯვებას ითხოვენ. **ლუის ვან გაალი ფრანკ რიბერის** განაცხადში აბრუნებს. გამორიცხული არც ისაა, რომ ფრანგმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს, მაგრამ უფრო რეალურია, რომ რიბერი თამაშში მხოლოდ მეორე ტაიმში ჩაერთოს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, აბდენური - ფრინგსი - ბოროვსკი, ჰანტი - იოზილი - პისარო, მარინი.

**ბაიერნი (4-4-2):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - რობენი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი, თ. მიულერი - გომესი, ოლიჩი.

## რურის მცირე დერბი

„ბოხუმმა" და „შალკემ" მეორე წრე მოგებებით დაიწყეს. „ბოხუმმა" მიონხენგლადბახში ძალიან კარგად ითამაშა და 2:1 აბსოლუტურად დამსახურებულად მოიგო, გელზენკირხენელები კი, „ნიურნბერგთან" მატჩში მოგებას არ იმსახურებდნენ, მაგრამ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. ამრიგად, სეზონის მეორე ნახევარი ორივე გუნდმა კარგად დაიწყო - „შალკემ" მეორე ადგილი შეინარჩუნა, ბოხუმელები კი გასავარდნ ზონას მოშორდნენ. ფაქტია, რომ „ბოხუმის" თავკაცი **ჰაიკო ჰერლიხი** იმავე შემადგენლობას ენდობა, რომლითაც მეორე წრის პირველ ტურში მოიგო. „შალკეს" დამრიგებელ **ფელიქს მაგათს პეერ კლუგე** და **ჰაიკო ვესტერმანი** დაუშავდა. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე მატიპი ითამაშებს, ვესტერმანს კი მორიტცი შეცვლის.

## სლომკას დებიუტი მაინცში

ერთი კვირის წინ „ჰანოვერმა" „ჰერტასთან" 0:3 წააგო და „წითლების" ხელმძღვანელებმა მაშინვე მოახდინეს შესაბამისი რეაგირება და მთავარი მწვრთნელი **ანდრეას ბერგმანი** პოსტიდან გაათავისუფლეს. ბერგმანი **მირკო სლომკამ** შეცვალა. ამრიგად, სლომკა დაბრუნდა კლუბში, რომელიც მისთვის მშობლიურია - თავის დროზე მირკო „ჰანოვერის" ახალგაზრდული გუნდის თავკაცი და პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ. სლომკას დებიუტი „მაინცთან" გასვლით მატჩში შედგება. მართალია, მაინცელები საკუთარ მოედანზე ძალიან კარგად გამოიყურებიან ხოლმე (5 მოგება, 3 ფრე, არც ერთი მარცხი), მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ. „ჰანოვერს" მცველი **კრისტიან შულცი** არ ეყოლება, რადგან ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია. თავდამსხმელი **ია კონანი** კი ტრავმირებული გახლავთ. „მაინცმა" ამ კვირაში კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა - კარნავალელებმა „შტუტგარტიდან" **იან შიმაკი** გადაიბირეს და შუა ხაზი გააძლიერეს.

## რას იზამს ჰერტა?

ბოლოადგილოსანი „ჰერტა" და ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „ნიურნბერგი" საკუთარ კედლებში თამაშობენ და მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ. ბერლინელებმა მეორე წრე ბრწყინვალედ დაიწყეს (3:0 ჰანოვერში) და 16-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს. თანაც ყველას აგრძნობინეს, რომ „ჰერტა" იოლად არ დანებდება და ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად მედგრად იბრძოლებს. დღეს **ლევან კობიაშვილის** ახალი კლუბი მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მასპინძლობს - გუნდს, რომელმაც ერთი კვირის წინ საკუთარ მოედანზე „ბოხუმთან" წააგო.

„ჰერტას" ახლა უკვე მხოლოდ სამი ქულით უსწრებს „ნიურნბერგი", რომელსაც **დიტერ ჰეკინგის** სახით ახალი მწვრთნელი ჰყავს. ამ უკანასკნელის დებიუტი წინა კვირას „შალკესთან" მატჩში შედგა, რომელშიც ფრანკებს ცუდად ნამდვილად არ უთამაშიათ და მინიმუმ ფრეს მაინც იმსახურებდნენ, მაგრამ არ გაუმართლათ და 0:1 დამარცხდნენ. დღეს კი „ნიურნბერგი" „აინტრახტს" მასპინძლობს და ვალდებულია, მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქროს. ჰეკინგს **ხავიერ პინოლა** ჰყავს დისკვალიფიცირებული, „აინტრახტის" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** კი მცველ **კრისს** ვერ გამოიყენებს.

## პეტრიჩი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ

დღეს საღამოს დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე" უაღრესად დაძაბული და საინტერესო მატჩი შედგება: „ბორუსია" „ჰამბურგს" მასპინძლობს. „შავ-ყვითლებმა" წარმატებული სერია მეორე წრის სტარტზეც გააგრძელეს, მოუგეს რა ერთი კვირის წინ „კიოლნს" დაძაბულ ბრძოლაში 3:2. ამრიგად, **იურგენ კლოპის** გუნდს ბოლო რვა მატჩიდან ექვსი მოგება და ორი ფრე აქვს. „ჰამბურგი" სატურნირო ცხრილში დორტმუნდის მეზობელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს გუნდების ევროტურნირების საგზურებისთვის ბრძოლაში ერთმანეთის კონკურენტები არიან. „ბორუსია" ამ მატჩისთვის დიდი მონდომებით ემზადებოდა. აღსანიშნავია, რომ დორტმუნდელების კარს სათადარიგო კიპერი **მარკ ციგლერი** დაიცავს, რადგან პირველმა ნომერმა **რომან ვაიდენფელერმა** ტრავმა მიიღო. „ჰამბურგს" კი დისკვალიფიკაციამოხდილი **ჟერომ ბოატენგი** უბრუნდება. დორტმუნდელთა თავკაც კლოპს დისკვალიფიკაციის საფრთხე ემუქრებოდა, რადგან „კიოლნთან" მატჩის დროს, **კევინ გროსკროიტცის** მიერ გატანილი გამარჯვების გოლი ზედმეტად ემოციურად იზეიმა, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ „ბორუსიას" თავკაცს მხოლოდ ფულადი ჯარიმა აკმარა.

„ჰამბურგის" ლიდერი **მლადენ პეტრიჩი** დღეს ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ ითამაშებს. მოგეხსენებათ, ხორვატმა ბუნდესლიგური კარიერა სწორედ „ბორუსიაში" დაიწყო და დორტმუნდელი ქომაგების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელიც გახლდათ, მაგრამ მერე „ჰამბურგს" მიაშურა და ახლა ჩრდილოგერმანული კლუბის ლიდერია. დორტმუნდის ფანები პეტრიჩს სტვენით ემუქრებიან და ფაქტია, რომ ხორვატი ფეხბურთელის ბურთთან თითოეული შეხება „ვესტფალენშტადიონზე" გამაყრუებელი სტვენის ფონზე ჩაივლის, მაგრამ პეტრიჩი ამის გამო არ ნერვიულობს. თუ დამისტვენენ, ეს მხოლოდ მოტივაციას გამიორმაგებსო, ამბობს მლადენი.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბორუსია დ (4-2-3-1):** ციგლერი - ოვომოიელა, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, ვალდესი, გროსკროიტცი - ბარიოსი.

**ჰამბურგი (4-2-2-2):** როსტი - ჟ. ბოატენგი, როზენალი, მატიისენი, აოგო - რინკონი, იაროლიმი - ტროხოვსკი, იანსენი - პეტრიჩი, ელია.

## კრიზისული დუელი ვოლფსბურგში

მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი" მძიმე კრიზისშია. „მგლებს" წინა ხაზში არ უჭირთ, სამაგიეროდ, დაცვაში ისეთ სამარცხვინო შეცდომებს უშვებენ, გაგიკვირდებათ - არადა, შარშანაც ხომ ზუსტად ეს მცველები ჰყავდათ? „ვოლფსბურგს" ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და ისიც უნდა ვთქვათ, რომ „მგლებზე" მეტი გოლი მიმდინარე სეზონში მხოლოდ „ჰერტას" (!) აქვს გაშვებული. ექსპერტები ამბობენ, რომ ხვალინდელი შეხვედრა, რომელშიც „ვოლფსბურგი" „კიოლნს" უმასპინძლებს, ჩემპიონების მწვრთნელ **არმინ ფეესთვის** თანამდებობის შენარჩუნების უკანასკნელი შანსია.

„კიოლნს" ხვალ **ლუკას პოდოლსკი** არ ეყოლება, დიდი შანსია, რომ ვერ ითამაშოს **მილოვოე ნოვაკოვიჩმაც**. თუმცა არა გვგონია, რომ პოდოლსკის არყოფნა „კიოლნისთვის" სერიოზული დანაკლისი იყოს. დიდი ხანია, „პრინც პოლდის" ბუნდესლიგაში გოლი არ გაუტანია. მეტსაც გეტყვით: ამ სეზონში ის საერთოდ უგოლოდაა და ერთი კვირის წინაც, „თხებმა" „დორტმუნდის" კარში მხოლოდ მას მერე გაიტანეს გოლები, როცა პოდოლსკიმ მოედანი დატოვა.

ზუსტად ისე, როგორც ჩემპიონი, „ჰოფენჰაიმიც" არ არის კარგ მდგომარეობაში. „სოფლელებს" მერვე ადგილი არ აკმაყოფილებთ. „ჰოფეს" მთავარ მწვრთნელ **რალფ რანგნიკს** შეტევის ხაზში აქვს პრობლემები: **ობასი ოგბუკე** აფრიკის თასზეა, **დემბა ბა** და **კარლოს ედუარდო** კი ტრავმირებულები არიან. ხვალ „ჰოფენჰაიმს" ურთულესი გამოცდა აქვს „ლევერკუზენთან", რომელსაც ამ სეზონში მარცხი ჯერ არ განუცდია.

გოტფრიდ ლენცი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 18 | 10 | 8 | 0 | 39-15 | 38 |
| 2. შალკე | 18 | 11 | 4 | 3 | 27-13 | 37 |
| 3. ბაიერნი | 18 | 10 | 6 | 2 | 36-15 | 36 |
| 4. ჰამბურგი | 18 | 9 | 7 | 2 | 36-19 | 34 |
| 5. ბორუსია (დ) | 18 | 9 | 6 | 3 | 26-19 | 33 |
| 6. ვერდერი | 18 | 7 | 7 | 4 | 32-17 | 28 |
| 7. აინტრახტი | 18 | 7 | 6 | 5 | 23-24 | 27 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 18 | 7 | 4 | 7 | 27-19 | 25 |
| 9. ვოლფსბურგი | 18 | 6 | 6 | 6 | 33-35 | 24 |
| 10. მაინცი | 18 | 6 | 6 | 6 | 23-26 | 24 |
| 11. შტუტგარტი | 19 | 5 | 7 | 7 | 20-24 | 22 |
| 12. ბორუსია (მ) | 18 | 6 | 3 | 9 | 25-31 | 21 |
| 13. ბოხუმი | 18 | 5 | 4 | 9 | 20-34 | 19 |
| 14. კიოლნი | 18 | 4 | 6 | 8 | 12-18 | 18 |
| 15. ფრაიბურგი | 19 | 5 | 3 | 11 | 19-36 | 18 |
| 16. ჰანოვერი | 18 | 4 | 5 | 9 | 21-30 | 17 |
| 17. ნიურნბერგი | 18 | 3 | 3 | 12 | 12-33 | 12 |
| 18. ჰერტა | 18 | 2 | 3 | 13 | 16-39 | 9 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგის კალენდარი

# ამ ოთხ თამაშში თუ გამოვძვერით...

## არსენალს წინ ორკვირიანი ჯოჯოხეთი ელოდება

**ტომაშ როსიცკი** ამბობს, რომ „არსენალს" ახლა ჯოჯოხეთური ორი კვირა ელის და თუ ამ ორ კვირას წარმატებით გადალახავს, შესაძლოა, ინგლისის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვოს. ამ საღამომდე, სანამ „მანჩესტერ იუნაიტედი" „ჰალს" უმასპინძლებს, ჩრდილო ლონდონის გუნდი პრემიერლიგის ლიდერია. თუ დღეს „იუნაიტედი" „ჰალს" მოუგებს, ლიდერი შეიცვლება, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი ამბავი არ არის, რამდენადაც ის, რომ „არსენალმა" 7 კვირაში „ჩელსისა" და ხსენებულ „იუნაიტედს" 11-ქულიანი ჩამორჩენა გაუბათილა. ეს მართლა დიდი საქმეა და რაკი **არსენ ვენგერის** ბიჭებმა ამ საქმეს თავი მოაბეს, ახლა გადამწყვეტი ორი კვირისთვისაც ემზადებიან.

დავაზუსტოთ, რა ხდება: როგორც ზემოხსენებული ჩეხი ვარსკვლავი, ასევე ფრანგი მწვრთნელი, ამბობენ, რომ შემდეგ ოთხ თამაშს უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ამ შეხვედრებმა შესაძლოა დარჩენილი ჩემპიონატის ბედიც გადაწყვიტოს. კერძოდ, რა თამაშებია? შემდეგ ოთხშაბათს ბირმინგემში „ასტონ ვილასთან", შაბათს, შინ, „მანჩესტერ იუნაიტედთან", იმის შემდეგ კვირას სტუმრად „ჩელსისთან" და მომდევნო ოთხშაბათს, შინ „ლივერპულთან" - მართლაც რა ჯოჯოხეთია, არა? და ეს ჯოჯოხეთი 10 თებერვალს მთავრდება.

როსიცკი ამბობს: *„ჩვენს გუნდში ყველამ იცის, რომ უახლოესი რამდენიმე ტური გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. თუ შემდგომი ოთხი თამაშიდან უმეტესობას მოვიგებთ, ეს დიდი საჩემპიონო განაცხადი იქნება".*

როსიცკის გოლმა, ოთხშაბათს, „ბოლტონთან" საოცარ შეხვედრაში 0:2 ჩამორჩენის 4:2 გამარჯვებად შემოტრიალებას დაუდო სათავე. სწორედ ამ გამარჯვების შემდეგ გადავიდა „არსენალი" პირველ ადგილზე და, როგორც როსიცკი ამბობს, ამ გამარჯვებას უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა:

*„ამ გამარჯვებამ სულზე მოგვისწრო. მისთვის უფრო შესაფერისი მომენტის შერჩევა ძალიან ძნელი იქნებოდა. იმდღევანდელმა ამბავმა დაგვანახვა, რომ ჩვენი გუნდი სულიერად ძლიერია და მზად არის იბრძოლოს ჩემპიონობისთვის. არადა, თავიდან ჩვენი 2:0 ჩამორჩენა ყველასთვის ნამდვილი შოკი იყო, მაგრამ მდგომარეობა გამოვასწორეთ და თანაც ძალიან მაღალ დონეზე, რითაც იმედისა და ემოციის ამოფრქვევა გამოვიწვიეთ. შესვენებაზეც კი, გასახდელში, მწვრთნელი აბსოლუტურად მშვიდად გველაპარაკა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მოვიგებდით. პანიკას არ უნდა ავყოლოდით - აი, ეს იყო ყველაზე მთავარი. ჩვენ ჩვენი ფეხბურთის თამაში განვაგრძეთ და ამან გაამართლა. ერთი სიტყვით, ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მან ყველა გუნდს აჩვენა, რომ „არსენალი" ანგარიშგასაწევი ძალაა".*

როსიცკი, რომელმაც ჩრდილოლონდონელებთან ამას წინათ ახალი კონტრაქტი გააფორმა, ამბობს, რომ მიმდინარე სეზონში საეტაპო თამაში, რომელმაც ყველაფერი ყირაზე დააყენა, 29 ნოემბერს, შინ, „ჩელსისთან" მოულოდნელი დამარცხება, 0:3 გახლდათ. სწორედ მას მერე მოვიდნენ „მეთოფენი" გონს და 9 შეხვედრაში 23 ქულა მოიპოვეს. ისევ როსიცკი:

*„ჩვენ იმ სტაბილურობას მივაღწიეთ, რომელიც ბოლო წლებში ასე ძალიან გვაკლდა. „ჩელსისთან" დამარცხების შემდეგ სრულებით ახალი ცხოვრება დავიწყეთ. განა ვინმე ელოდა, რომ მაშინდელი ჩამორჩენის შემდეგ ასეთ მოკლე დროში ამდენ ქულას მოვიპოვებდით და დაწინაურებულ გუნდებს წამოვეწეოდით? თუმცა, ორიოდ კვირაში ყველაფერი შეიძლება ისევ შეიცვალოს. შევძლებთ ამ სეზონში ჩემპიონის ტიტულის მოგებას? ამ კითხვაზე ერთი რამის თქმა შემიძლია: ჩვენ საამისოდ შემართებულნი ვართ და მიზნადაც სწორედ ჩემპიონობა გვაქვს დასახული".*

როსიცკის შეხედულებებს სრულად იზიარებს არსენ ვენგერიც, რომლის ხელშიც „არსენალმა" სამჯერ მოიგო პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, თუმცა ბოლო ხანს ჯილდო 2005 წლის შემდეგ აღარ მოუგია. ვენგერმა განაცხადა:

*„ამ სეზონში ჩემპიონობის დიდი შანსი გვაქვს და უკან არ უნდა დავიხიოთ. ამის თქმა „ჩელსისთან" დამარცხების შემდეგ აშკარად ირონიულ ღიმილს გამოიწვევდა, მაგრამ ჩემი ფეხბურთელები არ გატყდნენ და საკუთარი შესაძლებლობების რწმენით დაიწყეს ბრძოლა. ისინი საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას, რას იტყოდა ხალხი მათზე. დღეს კი ასეთი მდგომარეობაა: ჩვენთვის მომდევნო ოთხ შეხვედრას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა და თუ ამ შეხვედრებს წარმატებით ჩავატარებთ, შემდგომ გეგმებს უკვე სულ სხვა რიხითა და შემართებით შევეჭიდებით".*



ტომაშ როსიცკისა და მისი მეგობრებისთვის მომდევნო ოთხი მატჩი გადამწყვეტია

ამონარიდები ლექციიდან...

# მთავარი მე ვარ!




„მანჩესტერ სითიმ" „ქარლინგის თასის" ნახევარფინალის პირველი თამაში მოუგო, „ლიდსმა" ფეხბურთის ასოციაციის თასიდან გამოაგდო, მეპატრონეებმა კი გამოაცხადეს, ჩვენი კლუბის ვალი 716,5 მილიონი ფუნტიაო. ერთი სიტყვით, მდგომარეობა საკმაოდ რთულია, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ფარ-ხმალს არ ყრის და თავისი გუნდის ყველა წევრს ერთ ძალიან მარტივ ჭეშმარიტებას შეახსენებს: „ოცნებათა თეატრად" წოდებულ „ოლდ ტრეფორდზე" ყველაფერი ისე იქნება, როგორც თვად გადაწყვეტს. იქ, მთავარი ფიგურა ერთია და მას ალექს ფერგიუსონი ჰქვია.

ინგლისის ჩემპიონი ხვალ „ჰალ სიტის" ხვდება და თუ მოიგებს, პირველ ადგილზე გავა. რას ნიშნავს ეს? ეფიქრობთ იმას, რომ მართალია „იუნაიტედს" „ჩელსიზე" ორი თამაშით მეტი ექნება ჩატარებული, მაგრამ პირველ ადგილზე ასული ფერგიუსონის იქიდან ჩამოგდებას საშინელი ძალისხმევა სჭირდება. 68 წლის ფერგიუსონი დიდი ხანია „იუნაიტედის" თამაშების პროგრამებს თავისი ხელით აღარ უკეთებს რედაქტირებას. დიდი ხანია ფეხბურთელებისთვის ნამცხვარიც აღარ შეუკვეთია. მან დავალებების განაწილება ისწავლა, აღარ ცდილობს ყველაფერი მხოლოდ თვითონ აკეთოს, მაგრამ ის, რომ კლუბში მთავარი ფიგურაა, არ დავიწყებია. ფერგი დარწმუნებულია, რომ გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე მეპატრონე **მალკოლმ გლეიზერი**, აღმასრულებელი შეფი **დევიდ გილი** თუ სუპერვარსკვლავი **უეინ რუნი**. ის ასე ამბობს:

*„მანჩესტერ იუნაიტედში" საბოლოო ჩემი სიტყვაა. აქ, ყველაზე დიდი ფიგურა მწვრთნელია. „იუნაიტედში" რომ მოვედი, „აბერდინში" მუშაობის გამოცდილება უკვე მქონდა და მეგონა, მართვის ხელში აღება კარგად ვიცოდი. ვფიქრობდი, რომ „მანჩესტერშიც" საკმარისად ვაკონტროლებდი სიტუაციას. რას არ ვაკეთებდი, ნამცხვარსაც კი ვუკვეთდი, პროგრამებს თავად ვამოწმებდი და ვერ ვხვდებოდი, რომ ამ ყველაფერს არსაითკენ მივყავდი. როდესაც ხელმძღვანელი ასე იქცევი, დგება მომენტი, როდესაც ხვდები, რომ ყველაფერს ედები, მაგრამ მთავარ საქმეს არ აკეთებ. შემდეგ დირექტორები იწყებენ ლაპარაკს, რომ ასეთი კაცი თავის სკამზე ველარ ეტევა და არც ამხელა შტატი სჭირდება".*

ფერგიუსონი ტიტულოვანი მწვრთნელია, სულ 33 ჯილდო აქვს მოგებული. აქედან, 11 მარტო პრემიერლიგის ჩემპიონის მედალია, ხოლო 2 ჩემპიონთა ლიგის თასი. ეს ჯილდოები სერ ალექსმა თავის მანჩესტერულ კაბინეტში 1986 წლის 6 ნოემბრის შემდეგ დაახვავა. და მისი რწმენით, თუკი „იუნაიტედის" ფეხბურთელები კიდევ ერთს მოიპოვებენ, ისევე როგორც ყოველთვის, ყველაფერზე მნიშვნელოვანი კვლავ ის იქნება, როგორ შეიფერებენ ამ წარმატებას. გლაზგოელი მწვრთნელი ბრძანებს:

*„წლებმა წარმატებისადმი სწორი დამოკიდებულება და სათუთი მოპყრობა მასწავლა. ჯილდოებს და მათთან ურთიერთობას მივეჩვიე, მაგრამ ყოველთვის მაღელვებს, როგორ მოიქცევიან გამარჯვების შემდეგ ფეხბურთელები. ამ კუთხით ყოველთვის ყურადღებით ვარ, ეს ხომ ჩემი პირდაპირი მოვალეობაა".*

ალბათ, დაინტერესდით, სად, რომელ გაზეთთან თუ ტელეარხთან საუბრისას თქვა ეს ყველაფერი „იუნაიტედის" თავკაცმა. გიპასუხებთ: მასმედია აქ არაფერ შუაშია. გაზეთებმა ფერგის ნალაპარაკევი მხოლოდ გადაწერეს, გამოსვლით კი დიდი შოტლანდიელი ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში, „ტრინიტი კოლეჯის" ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტების წინაშე გამოვიდა - ლექცია ჰქონდა. როდის მოასწრო? „ქარლინგის თასზე" „მანჩესტერ სიტისთან" 2:1 დამარცხების შემდეგ. ორიოდ დღის წინანდელ ამბავს რა დიდი შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ იმ დღეს „სიტიმ" „იუნაიტედს" 2:1 აჯობა და გამარჯვებულთა მხრიდან ორივე გოლი ფერგის მიერ გუნდიდან გაშვებულმა ყოფილმა იუნაიტედელმა **კარლოს ტევესმა** გაიტანა. კიდევ, იმ დღეს ტევესს „იუნაიტედის" ვეტერან მცველ **გარი ნევილთან** ჰქონდა მცირე უსიამოვნება - პირველი გოლის შემდეგ არგენტინელმა და ინგლისელმა ჟესტები გაცვალეს. ეტყობა ამ ყველაფერმა ფერგიზე შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან გოლის გატანის შემდეგ თანამედროვე ფეხბურთელების ქცევაზე დაიწყო ლაპარაკი.

*„ადრე, როდესაც ვინმე გოლს გაიტანდა, მთელი გუნდი ერთად ზეიმობდა. დღეს ასე აღარ არის. ზეიმი უფრო ინდივიდუალური ხდება. ვერ გეტყვით, ახალი ტენდენცია საკუთარი თავისგან კერპის შექმნის სურვილმა გამოიწვია, თუ მიზეზი სხვაა. ასეა თუ ისე, სვირინგები და საყურეები ჩემი სამყარო არ არის. არ მომწონს, მაგრამ რა ვქნა. იძულებული ვარ შევეგუო".*

და ვინაიდან ლექცია დუბლინში გაიმართა, საუბარი ირლანდიელ მეკარე **შეი გივენსაც** შეეხო. ხსენებულ მანჩესტერულ დერბიში „სიტის" გოლკიპერმა „იუნაიტედის" ფეხბურთელებს რამდენიმეჯერ არ გაატანინა გოლი. ირლანდიელ კარის მცველზე შოტლანდიელმა მწვრთნელმა თქვა, რომ ცხოვრება ცოტა სხვანაირად რომ წასულიყო, გივენი „მანჩესტერ იუნაიტედის" გოლკიპერი იქნებოდა.

*„წლების წინ შეი „იუნაიტედის" ბავშვთა გუნდში იყო. ჩვენთან ვარჯიშობდა, მაგრამ დარეხვილმა მამამისმა აიჩემა „სელტიკში" უნდა გადავიყვანოო, ხელი ჩასჭიდა და გააქცუნა",* - განმარტა მანჩესტერელთა თავკაცმა.

და, რადგანაც სიტყვამ უჭკუობა მოიტანა: ფერგი ძალიან გაბრაზებულია, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ეგვიპტის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა 3 მარტს დანიშნა, „იუნაიტედისა" და „მილანის" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩების შუაში. ამის გამო, როგორც ჩანს, შოტლანდიელი ინგლისის ნაკრების მწვრთნელ, **ფაბიო კაპელოზეც** გალიზიანდა:

*„ნეტავ, ამ ბოლო დროს სანაკრებო მწვრთნელებს თავი ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხი ხომ არ ჰგონიათ? ისინი საუკეთესო შემადგენლობას თავს ვერასოდეს უყრიან და სულ ფეხბურთელების წაგლეჯაზე არიან. არსებობს სანაკრებო თამაშების კალენდარი და ყველაფერს აჯობებს, ეს ხალხი ამ კალენდრით თუ დაკმაყოფილდება. მარტო შემოდგომაზე სანაკრებო თამაშები სამჯერ უწევს: სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში. თან, ამ პერიოდში თითო შეკრებაზე ორ-ორ შეხვედრას ატარებენ. ინგლისის ნაკრებმა კი ახლა დამატებითი ამხანაგური მატჩი გამოიგონა და ეს სწორი არ არის. მარტში ამხანაგური შეხვედრის დანიშვნა სასაცილოა. გაიხსენეთ, რა ხდება ბოლო წლებში: გაზაფხულზე ბრიტანული გუნდები სულ ევროპულ თასებზე არიან დაკავებული, ასე რომ, აქ სანაკრებო შეკრების ჩასმა ყოვლად დაუშვებელი იყო. წარმოიდგინეთ, ამ სანაკრებო შეხვედრაში ფეხბურთელი რომ დამიშავდეს და ტრავმიანი დამიბრუნდეს, როგორ გუნებაზე დავდგები".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი თაობა

# უნგრული ფეხბურთის იმედი

## ბალაჟ ჯუჯაკი

დაიბადა 1986 წლის 23 დეკემბერს, ქალაქ ნირლუგოშში (უნგრეთი)
**სიმაღლე:** 179 სმ
**წონა:** 72 კგ
**სათამაშო ნომერი:** 22
**მოქალაქეობა:** უნგრეთი
**სათამაშო პოზიცია:** მარცხენა ნახევარმცველი, მარცხენა თავდამსხმელი
**კლუბი:** ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
**ამჟამინდელი ღირებულება:** 9 მლნ. ევრო
**პოტენციური ღირებულება:** 15-18 მლნ. ევრო

**კარიერა**

| კლუბი | სეზონი | თამაში | გოლი |
|---|---|---|---|
| დებრეცენი | 2004/05 | 2 | 0 |
| დებრეცენი | 2005/06 | 10 | 2 |
| დებრეცენი | 2006/07 | 23 | 7 |
| დებრეცენი | 2007/08 | 13 | 5 |
| ეინდჰოვენი | 2007/08 | 17 | 3 |
| ეინდჰოვენი | 2008/09 | 32 | 11 |
| ეინდჰოვენი | 2009/10 | 17 | 8 |

**უნგრეთის ჩემპიონი:** 2004-05, 2005-06, 2006-07
**ჰოლანდიის ჩემპიონი:** 2007-08
**უნგრეთის საუკეთესო ფეხბურთელი:** 2007
**კვირის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი:** 17 აგვისტო, 2009
**ერედივიზიონის სიმბოლური ნაკრების წევრი:** (2009)
**ერედივიზიონის საუკეთესო ასისტენტი:** 15 პასი (2009)
**ეროვნული ნაკრები:** უნგრეთის ნაკრებში პირველი მატჩი 2007 წლის 2 ივნისს საბერძნეთის წინააღმდეგ ჩაატარა. პირველი გოლიც ამ გუნდის კარში გაიტანა - 2008 წლის 24 მაისს.
ეროვნულ გუნდში ჩატარებული აქვს 24 შეხვედრა (1 გოლი).
რეიტინგი (12-ბალიანი სისტემით): **თამაშის აღქმა** - 10; **სისწრაფე** - 12; **ძალა (ამტანობა)** - 11; **დრიბლინგი** - 10; **პასი (გრძელი)** - 9; **პასი (მოკლე/საშუალო)** - 9; **თავდადება** - 11; **თავით თამაში** - 8; **სიმამაცე** - 11; **დარტყმა** - 9; **პოტენციალი** - 9.

**ჩვენი ახალი რუბრიკის მორიგი გმირი გახლავთ უნგრული ფეხბურთის იმედად მონათლული ბალაჟ ჯუჯაკი, რომელიც ჰოლანდიის „ეინდჰოვენის“ ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევა.**

### საერთო ინფორმაცია

„ეინდჰოვენში“ გადასვლამდე ჯუჯაკი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ უნგრელ ფეხბურთელად ითვლებოდა. ერთი წლის განმავლობაში მის გარშემო ამსტერდამის „აიაქსის“ სკაუტები ტრიალებდნენ. თანდათანობით ბალაჟის მიმართ ინტერესი იზრდებოდა: თავიდან მისი პიროვნებით დაინტერესება ინგლისის ჩემპიონშიფის კლუბებმა გამოხატეს, მოგვიანებით კი ჰორიზონტზე პრემიერლიგისა და იტალიის სერია A-ს წარმომადგენლები გამოჩნდნენ. 2007 წლის აგვისტოში „დებრეცენმა“ კონკრეტული წინადადებები მიიღო - „შეფილდ უენსდი“, „პლიმუთი“, „რედინგი“, „სამპდორია“ და „კიევი“ ბევრს ცდილობდნენ ამ ნიჭიერი ფეხბურთელის გადასაბირებლად, მაგრამ დიდი ხანი ჩრდილში მყოფი „ეინდჰოვენი“ უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდა - ჰოლანდიის ჩემპიონთან ხუთწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

ჰოლანდიაში ჯუჯაკი თავიდანვე არ უნდა გადასულიყო - მომავალი წლის ზაფხულს უნდა დალოდებოდა, მაგრამ **კენეტ პერესი** „ეინდჰოვენის“ ხელმძღვანელობას ნაეჩხუბა და კლუბის დატოვება გადაწყვიტა. ამიტომაც უნგრეთის საუკეთესო ფეხბურთელის ახალ გუნდში გადაბარგება დაჩქარდა. პირველ იანვარს ჯუჯაკი პრესასა და პსვ-ის გულშემატკივრებს წარუდგინეს. სკაუტმა, რომელიც ბალაჟს აკვირდებოდა, უნგრელს უნიჭიერესი ფეხბურთელი უწოდა:

*„ის ძალიან სწრაფია, ეხერხება კომბინაციური თამაში და მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე მარცხენა ნახევარმცველის ტიპური წარმომადგენელია“. „აღფრთოვანებული ვართ იმით, რომ ამ გარიგების განხორციელება შევძელით. ჯუჯაკი ნამდვილი აღმოჩენაა, რომელიც კარგად შეავსებს ჩვენს შემადგენლობას“*, - ასეთი კომენტარი გააკეთა ტრანსფერს პსვ-ის ტექნიკურმა დირექტორმა **სტენ ვოლქსმა.**

ასეც მოხდა. ბალაჟი მომენტალურად დამკვიდრდა ენდჰოვენელთა ძირითად შემადგენლობაში, დროთა განმავლობაში კი შეუცვლელი მოთამაშე გახდა. დღევანდელი „ეინდჰოვენი“ რთული წარმოსადგენია უნგრელი გარემარბის გარეშე. ის შეუცვლელი ჭანჭიკია გუნდის მექანიზმში.

### თამაშის სტილი

ჯუჯაკი კლუბშიც და ნაკრებშიც ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე მოქმედებს, თუმცა ხანდახან პარტნიორს უცვლის ფლანგს - გუნდის შეტევითი მოქმედებების მრავალფეროვნებისთვის.

ბალაჟის თამაშის მანერა ძალიან ჰგავს ცნობილი ჰოლანდიელის **მარკ ოვერმარსის** სტილს. ძალიან მაღალი სისწრაფე კარგ დრიბლინგთან ერთად მას მეტად სახიფათოს ხდის მეტოქის ნახევარზე.

სისწრაფე ჯუჯაკის მთავარი ღირსებაა. თუ აჩქარების საშუალებას მისცემ, უნგრელის შეჩერება ძალიან რთული ხდება. ამასთან ბალაჟი საკმაოდ მოქნილი ფეხბურთელია და ვირაჟებისას ხშირად ახერხებს მეურვეების მინდორზე დაწვენას. „აჩვენე მარჯვნივ - გაიქეცი მარცხნივ“, - ძველი წესი, რომელიც კარგად შეესაბამება „ეინდჰოვენის“ 22-ე ნომერს.

ჯუჯაკი ბრწყინვალედ არის მომზადებული ფიზიკურად. მისთვის 90 წუთი სირბილი პრობლემას არ წარმოადგენს, თანაც თამაშის ტემპი და სიჩქარე არ ეცემა. ბალაჟი თითქმის პაუზის გარეშე თამაშობს - გასულ სეზონში მხოლოდ „ეინდჰოვენის“ კაპიტანმა **ტიმი სიმონსმა** ჩაატარა უფრო მეტი მატჩი. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ურტყამენ ფეხებში, კარიერაში სერიოზული ტრავმები არ ჰქონია. ესე იგი ძლიერია ბიჭია.

დაცვაში იშვიათად თამაშობს - „ეინდჰოვენს“ სიმონსის, **მენდესისა** და **აფელაის** სახით კარგი მზღვეველები ჰყავს. თუმცა უნგრელი განაპირა მცველის მოქმედებას აკვირდება და დაზღვევაზე სათამაშოდ ყოველთვის მზად არის. სხვა საქმეა, რომ უშუალო ოპონენტები თავად იშვიათად მიდიან წინ, რადგან ჯუჯაკის უმეთვალყურეოდ მიტოვება ძვირად დაუჯდებათ.

ჯუჯაკი ფლანგური გადაცემებისა და ჩაწოდებების ოსტატია. მაგალითად, ჰოლანდიის ჩემპიონატში „ჰერენვეენთან“ მატჩის პირველ ტაიმში მან ექვსი სახიფათო ჩაწოდება განახორციელა, რომ აღარაფერი თქვათ მოკლე და დიაგონალურ პასებზე და კუთხურების შესრულებაზე. ალკმაარელი **სვერტსიც** კი, რომელიც ერედივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლება, ხშირად აძლევს ჯუჯაკს ფლანგზე გაქცევის საშუალებას.

კლუბში თითქმის ყველა სტანდარტულ მდგომარეობას უნგრელი ფეხბურთელი ასრულებს. მართალია ცაციაა, მაგრამ ამას ის ორივე ფლანგიდან აკეთებს. მასვე ევალება კუთხურების ჩაწოდებაც.

### პოტენციალი

ჯუჯაკს შრომისმოყვარეობა არ დაეწუნება, თანამედროვე ფეხბურთში კი ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა. „დებრეცენსა“ და „ეინდჰოვენში“ ის მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იყო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნახევარმცველი ყოველთვის მზად არის მის პოზიციაზე კონკურენტებთან საბრძოლველად და მათზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

სერიოზული პიარკამპანიის გარეშეც ჯუჯაკს უკვე მთელი ევროპა იცნობს - „ეინდჰოვენი“ რეგულარულად თამაშობს ევროთასებზე. ევროპის ლიგის წლევანდელი გათამაშების მეორე ნაწილი, შესაძლოა, განმსაზღვრელი აღმოჩნდეს ბალაჟისთვის - თუ მისი გუნდი მოახერხებს კარგი შედეგის ჩვენებას და თან უნგრელიც სრულად წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს, მას დაწინაურების კარგი შანსი მიეცემა.

### ინტერესი

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ჯუჯაკის შესახებ სატრანსფერო ჭორები ჯერჯერობით ნაკლებად ვრცელდება. არადა, მის სათამაშო კლასში ეჭვი არავის ეპარება. არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ ბალაჟს „ეინდჰოვენში“ ყველაფერი აწყობს და თავად არ ჩქარობს გუნდის შეცვლას. ამიტომაც მისი აგენტი არ აპირებს სატრანსფერო კამპანიის აგორებას. „დებრეცენში“ ყოფნისას მას მართლაც ეძახდნენ სერია A-ში და პრემიერლიგაში. უნგრელი კი „ეინდჰოვენში“ აღმოჩნდა და... სიჩუმემ დაისადგურა.

### პროგნოზი

სავარაუდოდ, ჯუჯაკი კიდევ ერთი წელი დარჩება „ეინდჰოვენში“. და შემდეგ, თუ სერიოზულ ტრავმებს აიცილებს თავიდან, კლუბს შეიცვლის. შემოთავაზებები იქნება - ამაში ეჭვი არავის ეპარება. მთავარია, უნგრელი მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს და მუდმივად პროგრესზე იფიქროს. ამისთვის მას პოტენციალიც აქვს და მონდომებაც.

ბალაჟისთვის კარგი ვარიანტი იქნება, თუ რომელიმე ტოპჩემპიონატის ერთ-ერთ საშუალო კლუბში გადავა და შემდეგ იფიქრებს რომელიმე ევროპულ გრანდში მოხვედრაზე.

**გია თვალაბეიშვილი**





მსოფლიოს ჩემპიონატების გმირები სკარონედან კანავაროსამდე.
ურუგვაი 1930



გილერმო სტაბილეს გოლი ურუგვაის კარში

# პირველი ბომბარდირი: გილერმო სტაბილე

ურუგვაელები მსოფლიოს პირველი ჩემპიონები კი გახდნენ, მაგრამ ისტორია არგენტინელმა ფეხბურთელმა დაწერა: ვგულისხმობთ **გილერმო სტაბილეს**, რომელმაც 8 გოლი გაიტანა და მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი ბომბარდირი გახდა. საინტერესო ის არის, რომ სტაბილემ რვავე გოლი მხოლოდ 4 თამაშში გაიტანა. არგენტინამ სულ 14 გოლის გატანა მოახერხა - როგორც ხედვთ, ნახევარზე მეტი სტაბილეს ანგარიშზეა.



1930 წლის მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი გილერმო სტაბილე

არადა, გილერმო სტაბილე თავიდან ფეხბურთელობას არც აპირებდა. ბავშვობაში მას სპორტის ეს სახეობა ნაკლებად იზიდავდა, სამაგიეროდ, 100 მეტრს 11 წამში გარბოდა, რაც იმ დროისთვის შესანიშნავი შედეგი იყო. სწორედ ამიტომ, ფეხბურთში სტაბილეს უმთავრესი კოზირი სისწრაფე გახლდათ. გილერმო სტაბილემ ფეხბურთი პროვინციულ გუნდ „სპორტივო მეტანში“ „აღმოაჩინა“ და მოგვიანებით ბუენოს აირესის „ურაკანში“ გადავიდა - ეს კი ნამდვილად არ იყო არგენტინის დედაქალაქის საუკეთესო გუნდი.

მწვრთნელები სტაბილეს თავიდან ყურადღებას არ აქცევდნენ - ტექნიკურ ასპექტში მოიკოჭლებსო, მაგრამ მერე „ურაკანის“ ნომერმა პირველმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტრავმა მიიღო და სხვა გზა არ ჰქონდათ, სტაბილეს თავის გამოჩენის შანსი მისცეს. ფეხბურთელმა შანსი გამოიყენა - პირველ რიგში სისწრაფის გამო. თუმცა მას ძალიან კარგი დარტყმაც ჰქონდა. იმ დროს, როცა მისი თანაგუნდელები ფლანგებზე მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს იტყუებდნენ, სტაბილე მეტოქის კართან მისადგომ „ხვრელებში მიძვრებოდა“ და პასებს გოლებით ცივსისხლიანად აგვირგვინებდა. სწორედ ამიტომ შეარქვეს მას „ელ ფილტრადორი“ - კაცი, რომელიც „ფილტრში ძვრება“.

„ურაკანში“ ჩატარებულ პირველ სეზონში მან 48 გოლი გაიტანა და ბომბარდირი გახდა, მაგრამ არგენტინის ნაკრების შეფები ეროვნულ გუნდში გამოძახებაზე დიდხანს ყოყმანობდნენ. მართალია, 1928 წელს ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა და არგენტინელები მისი გოლების წყალობით გავიდნენ ნახევარფინალამდე, მაგრამ „ალბისელესტეს“ თავკაცი **ფრანსისკო ოლასარი** 1930 წლის მუნდიალზე სტაბილეზე დაყრდნობას არ აპირებდა. მან მხოლოდ საფრანგეთთან მატჩის (1:0) შემდეგ შეცვალა გადაწყვეტილება. გილერმომ კი გააკეთა ის, რასაც მისგან გულშემატკივრები ელოდნენ. სტაბილემ ფინალშიც გაიტანა მნიშვნელოვანი გოლი, მაგრამ როგორც ზემოთაც ვთქვით, არგენტინელები ურუგვაისთან 2:4 დამარცხდნენ.

მიუხედავად ამისა, მუნდიალმა სტაბილეს დიდი პოპულარობა მოუტანა. თუკი 1930 წლამდე ფაქტობრივად მოყვარული ფეხბურთელი იყო, მუნდიალის შემდეგ ის მეგობრის რჩევას დაჰყვა და იტალიაში წავიდა. ჯერ „ჯენოა 93-ში“, მერე კი „ნაპოლიში“ გასინჯეს, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა - თანაც, ორჯერვე ტრავმა მიიღო. 1936 წელს სტაბილე საფრანგეთში წავიდა და პარიზის „რედ სტარ ოლიმპიკში“ ჩაირიცხა, სადაც დაასრულა კიდეც აქტიური საფეხბურთო კარიერა - 1939 წელს.

გილერმო სტაბილე მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სამშობლოში დაბრუნდა და მწვრთნელობას მიჰყო ხელი. 1939-დან 1958 წლამდე და ასევე 1960 წელს ის არგენტინის ნაკრების დამრიგებელი გახლდათ და „ალბისელესტეს“ ექვსჯერ მოაგებინა „კოპა ამერიკა“.

სტაბილე წარმატებული იყო მოედანს მიღმაც. ის წარმატებული ბიზნესმენი გახდა - მილიონები იშოვა. გილერმო სტაბილე 1966 წლის 27 დეკემბერს ბუენოს აირესში გარდაიცვალა, სადაც უდიდესი პატივით დაკრძალეს. სხვათა შორის, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის გმირად უნდა მივიჩნიოთ ურუგვაელი **ხოსე ლეანდრო ანდრადეც**, რომელმაც ფეხბურთელობის შემდეგ სიმღერასა და ცეკვაში სცადა ბედი, მაგრამ უშედეგოდ. ანდრადე სხვა გმირებისგან განსხვავებით, სილარიბეში გარდაიცვალა (1957 წელს, მონტევიდეოში).

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერვიუ გიორგი სიჭინავასთან

ქართულმა ფეხბურთმა პირველ დიდ წარმატებას 1964 წელს მიაღწია - თბილისის „დინამო" პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი! „ოქროს ბიჭების" ის თაობა მართლაც განუმეორებელი იყო - ყველა ქართველისათვის უპირველეს და სათაყვანებელ გუნდში ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ; ეგ კი არა, იმდროინდელი „დინამოს" ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა საერთაშორისო დონის ვარსკვლავებად მიიჩნეოდა.

ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელებიო, ვახსენეთ და მართლაც ასე იყო; მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია და შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე და ილია დათუნაშვილი, - აი, ასეთი გამორჩეული და განუმეორებელი დიდოსტატების გვერდით კიდევ ერთი ვარსკვლავი თამაშობდა: გიორგი სიჭინავა! აფხაზეთის მადლიან მიწაზე გაზრდილ გიორგი სიჭინავას მხოლოდ სახელოვანი თანაგუნდელებისგან კი არა, საერთოდაც ყველასგან განსხვავებული საფეხბურთო ხელწერა ჰქონდა; უფრო მეტიც - მისი საფეხბურთო კარიერაც ასევე ყველასაგან განსხვავებულად წარიმართა და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ სიჭინავას თითქმის ყველა საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო გადაწყვეტილებას ასევე ყველა მუდამ არაერთგვაროვნად აღიქვამდა...

...ნიჭიერ ხალხს უცნაურობები ახასიათებსო; გიორგი სიჭინავაც მუდამ ასეთი გახლდათ - მისი საფეხბურთო შესაძლებლობების უგულებელყოფა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო; ამასთან, მთელი კარიერის განმავლობაში იმდენი უცნაურობა „დაებედა", ჭორ-მართალი დღესაც რომ ვერავის გაუგია. ჰო, ასე იყო - როცა თამაშობდა, მაშინაც ლეგენდები დადიოდა მის საფეხბურთო თუ... არასაფეხბურთო ცხოვრებაზე; კარიერა რომ დაასრულა, მერეც იდუმალებით მოსილ პიროვნებად დარჩა - ხმაურიან დედაქალაქში კი არ დარჩა საცხოვრებლად, არამედ მშობლიურ გაგრას მიაშურა. არავინ იცის, რატომ ან ვინ შექმნა ამ უნიკალური ფეხბურთელისგან სკანდალური მოთამაშის იმიჯი; შესაძლოა, იმდროინდელ წყობაში მართლაც ვერავის წარმოედგინა, რომ „საბჭოთა სპორტსმენს" შინაგანი თავისუფლების ხარისხი მეტისმეტად მაღალი ჰქონოდა; მეორე მომენტიც იყო: რაც სხვებს (ანუ, მის პარტნიორებს - „დინამოშიც" და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც) ეპატიებოდა, სიჭინავასთვის ყველაფერი პირიქით იყო...

საფეხბურთო კარიერა კი, მართლაც უნიკალური და განსაკუთრებული ჰქონდა: თბილისის „დინამოში" სადებიუტო შეხვედრა რომ ჩაატარა, 16 წლის იყო! ამ მაჩვენებლით ქართული ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი - საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში (1934-1989 წლებში) ასეთ ადრეულ ასაკში „დინამოს" ძირითადში არავის უთამაშია! 20 წლის ასაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა და საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელიც; ორი წლის მერე მსოფლიოს ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა; 25 წლის ასაკში კი, რასაც მაღალ დონეზე თამაში ჰქვია, თავი დაანება! უფრო ზუსტად, თავი დაანებებინეს: ქართული კი არა, ალბათ, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ანალოგი, როცა კარიერის განმავლობაში ერთი კონკრეტული ფეხბურთელი ექვსჯერ (!) იქნებოდა დისკვალიფიცირებული; თანაც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ორჯერ სულაც... სამუდამო დისკვალიფიკაცია ჰქონდა...

...მოედანზე როგორი ლაღი და თავისუფალიც იყო, მოედანს გარეთაც ასეთივე ცხოვრების სტილს იყო მიჩვეული; ასეთნაირებს კი იმდროინდელ წყობაში ვინ გაახარებდა - „საბჭოთა სპორტსმენი ხომ ნებისმიერი კომკავშირელისა თუ კომუნისტისთვის მისაბაძი მაგალითი უნდა ყოფილიყო"...

...დიდების ზენიტში იყო, პირველად რომ სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს და „ჭკუის სასწავლებლად"... შინაგანი ჯარის ქვედანაყოფში, თბილისის ავადსახსენებელ „მერვე პოლკში" გაამწესეს; ოლონდ, თავი კი არ დაუხრია და „ცოდვების" მონანიება კი არ დაუწყია, ადგა და... იქიდან გამოიპარა! ამ ამბებიდან სულ ცოტა ხანში კი საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით... პელეს წინააღმდეგ ითამაშა! მერე, კიდევ არაერთხელ მოხვდა „გაუგებრობებსა" თუ „გაურკვევლობებში"; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თბილისის ციხეშიც, რუსთავის კოლონიაშიც და დრანდის საპყრობილეშიც გარკვეული დრო დაჰყო!.. იქ, „ზემოთ", ასეთ გადაწყვეტილებებს რომ იღებდნენ, ალბათ, იმასაც ფიქრობდნენ, „ზედმეტად თავისუფალ ცხოვრებასაც" გადაეჩვევა და ციხის მგლური კანონებითაც დაიჩაგრება-დაითრგუნებაო. ამ შემთხვევაშიც საპირისპირო მოხდა - სიჭინავა, ციხიდან ციხეში გადაჰყავდათ და ბინძური და შეთითხნილი ბრალდების მიუხედავად, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში... უდიდესი პატივითა და სიყვარულიც ხვდებოდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ - როგორც ფეხბურთელს ხომ აღმერთებდნენ, პიროვნულ თვისებებსაც უდიდეს პატივს სცემდნენ...

არ არის დასამალი - ოც წელიწადზე მეტია, გიორგი სიჭინავას „ახლოდან" გაცნობას ვცდილობდით; თან, ეს არ იყო მხოლოდ პროფესიული ინტერესი: გადმოცემით კი ბევრი გვსმენოდა, მაგრამ ყოველთვის გვაინტერესებდა რა იყო იმაში ტყუილი და რა - სიმართლე...

და აი, ერთი კვირის წინ, ჩვენი შეხვედრაც შედგა; „ლელოს" ინტერვიუზე უარს ვერ ვეტყვიო, - გვითხრა გაცნობისთანავე; ოლონდ, არც ისე ადვილი აღმოჩნდა თბილისელი მეგობრებისგან მისი საინტერვიუედ „მოტაცება"... თუმცა, ბოლო-ბოლო ჩვენმა „კოტორამ" იყოჩაღა და ამ ინტერვიუს ორგანიზებაც მოახერხა!

...სასტუმრო „ძველი თბილისის" მყუდრო და მოხერხებული ფოიე - დილის ათ საათზე ვართ ინტერვიუზე დაბარებული; ქართული ფოტოჟურნალისტიკის ცოცხალი ლეგენდა - ალექსანდრე კოტორაშვილი უფრო ადრე მისულა და გიორგი სიჭინავას ძველ და სულ ახალ ფოტოებს გვათვალიერებინებს. და აი, სულ ცოტა ხანში იდუმალებით აღსავსე რესპონდენტიც გამოჩნდა, მცირე დაგვიანებაზეც ბოდიში მოგვიხადა და იმაზეც... რუსულად რომ უნდა ვისაუბროთ; თქვენ, თუ გნებავთ, კითხვები ქართულად დამისვით, მე კი რუსულად გიპასუხებთო, - ასე გვითხრა და „შევთანხმდით" კიდეც; მაგრამ ლამის ორსაათნახევრიან დიალოგში ძალიან ხშირად „როლებიც იცვლებოდა": ჩვენგან რუსულად დასმულ კითხვას რესპონდენტის სუფთა ქართულად წარმოთქმული პასუხი მოჰყვებოდა-ხოლმე...

...ჰო, მართლაც ძალიან დიდი ხანი ვისაუბრეთ; ის ყველაფერი რომ ერთ ინტერვიუში „ჩაგვეტია", ჩვენი გაზეთის, ალბათ, ოთხ-ხუთ გვერდსაც „წაიღებდა"; ამას გარდა, რამდენიმე ეპიზოდი რომ გაიხსენა, მორიდებითაც გვთხოვა - ეს საჯაროდ არც ითქმება და არც მინდა, ვინმეს ძველი ცოდვები გავუხსენოო...

ახლა კი, ალბათ, უკვე „დროც არის", რომ მართლაც განსაკუთრებულ სტუმართან, 60-იანი წლების ქართული და საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელთან გიორგი სიჭინავასთან ინტერვიუ შემოგთავაზოთ.

# განსხვავებული და თავისუფალი კაცი

**- როგორც ვიცით, თბილისში არცთუ სასიამოვნო მიზეზის გამო ხართ ჩამოსული...**

- ჩემი ვაჟის გარდაცვალებიდან ორი წელი გავიდა - საფლავზე გავედით, იმის მეგობრებიც იყვნენ, ჩემი აქაური ახლობლებიც და ყოფილი თანაგუნდელები. სულ რამდენიმე დღით ვარ ჩამოსული, ვცდილობ, ყველა ჩემიანი მოვინახულო და მოვეფერო. აი, გუშინ ბოლნისში ვიყავი - 86 წლის დეიდა მყავს, დეიდაშვილები; რაც მთავარია, თეიმურაზ სტეფანიას საფლავი მოვინახულე - უნიჭიერესი მეკარე და ჩინებული პიროვნება გახლდათ.

**- ამჟამად ისევ სოჭში ცხოვრობთ?**

- 1992 წლის მერე იქა ვარ ოჯახთან ერთად; რა ვქნა, უფეხბურთოდ ვერ ვძლებ - იქაურები ხან რჩევას მეკითხებიან, ხან რაღაც საფეხბურთო პროექტებში ვარ ჩართული.

**- მშობლიური გაგრის მონახულებას თუ ახერხებთ-ხოლმე?**

- დედ-მამა იქ მყავს დასაფლავებული და ხშირად ჩავდივარ გაგრაში; სახლი, სადაც ადრე ვცხოვრობდი, ზედ სტადიონთან მქონდა - ყოველ ჩასვლაზე აუცილებლად გავივლი ხოლმე იმ ადგილზე...

**- გაგრა და სტადიონი ახსენეთ, ბარემ ფეხბურთში პირველი ნაბიჯებიც გაიხსენეთ.**

- 5-6 წლის ასაკში უკვე ფეხბურთის სექციაში ჩავეწერე და რეზო შარტავა გახლდათ პირველი მწვრთნელი. სხვათა შორის, სწორედ გაგრაში დაიწყეს ფეხბურთის თამაში ვლადიმერ ბარქაიამ და გოჩა გავაშელმაც. 15 წლის ასაკში კი უკვე გაგრის „ტორპედოში" ამიყვანეს - ეს გუნდი იმ დროისათვის საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში ასპარეზობდა.

**- ვიდრე თქვენი საფეხბურთო კარიერის პირველ სერიოზულ წარმატებაზე ვისაუბრებდეთ, სხვა რამ გვინდა გკითხოთ. ამას წინათ, უფროსმა კოლეგამ და ცნობილმა ჟურნალისტმა არჩილ გოგელიამ თქვენზე ერთობ საინტერესო ამბავი გვამცნო - ახალგაზრდობაში გიორგი სიჭინავა საკმაოდ ნიჭიერი მოფარიკავე იყოო...**

- ფარიკაობით მართლაც სერიოზულად ვიყავი გატაცებული; განსაკუთრებით ზამთარში შემიყვარდებოდა-ხოლმე - ფეხბურთისგან შედარებით თავისუფალი ვიყავი, თანაც, ფარიკაობის გამო სკოლიდანაც ხშირად მათავისუფლებდნენ.

**- ამ სახეობაში რაიმე მიღწევები გქონდათ?**

- 1959 წელს საკავშირო სპარტაკიადაზე ვიასპარეზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. ძლიერი გუნდი გვყავდა: ძმები არჩილ და კოტე გოგელიები, მორის სახვაძე, ნუგზარ ასათიანი, ზურაბ ცქიტიშვილი. წარმოიდგინეთ - 15 რესპუბლიკას შორის მესამე ადგილი დავიკავეთ. სამწუხაროდ, იმავე წელს დისკვალიფიკაცია მომცეს და ამით დასრულდა კიდეც ჩემი, როგორც მოფარიკავის კარიერა.

**- დისკვალიფიკაცია რის გამო დაიმსახურეთ?**

- ამას საჯაროდ კი არა, „ისეც" ვერ ვიტყვი...

**- მაშინ თქვენს საფეხბურთო კარიერას დავუბრუნდეთ. 15 წლის ასაკში „დინამოს" შემადგენლობაში არც თქვენამდე და არც თქვენ მერე არავის უთამაშია.**

- რატომ გავინყდებათ, თუ ვინ იყო იმ დროს „დინამოს" მთავარი მწვრთნელი - ანდრო ჟორდანია მართლაც განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ ქართულ ფეხბურთში. თურმე, ჩემ შესახებ ყველაფერი სცოდნია და მალე თავი ზღაპარში ამოვყავი - 15 წლის ბიჭი საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფიდან პირდაპირ საკავშირო უმაღლეს ლიგაში აღმოვჩნდი. თან, ის დროა, როცა ჩვენს ლეგენდარულ კაპიტანს ავთანდილ ღოღობერიძეს თავისი შთამბეჭდავი კარიერა დასრულებული ჯერ კიდევ არ ჰქონდა.

**- ფარიკაობაში მიღებულმა დისკვალიფიკაციამ „დინამოში" ჩარიცხვაზე პრობლემა ხომ არ შეგიქმნათ?**

- ეს პრობლემაზე მეტი იყო და ლოგიკურადაც ჩანდა ქართული სპორტის იმდროინდელი ხელმძღვანელის გიორგი სიხარულიძის გაოცება-პროტესტიც - სამუდამოდ დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს თბილისის „დინამოში" რა ესაქმებაო. თუმცა, ანდრო ჟორდიანიას „დაურწმუნებია" - ეგ დისკვალიფიკაცია ხომ ფარიკაობას ეხება, ბიჭი კი ფეხბურთს თამაშობსო. გადარეულა სიხარულიძე - მსგავსი არაფერი მინახავსო, მაგრამ ჟორდანიას მაინც თავისი „გაუტანია" და მეც „დინამოში" ჩავირიცხე.

**- უფროსი თაობის ქომაგებისგან ვიცით, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული სწორედ 1960 წლის ფორმაციის „დინამო" იყო.**

- გუნდში რომ მოვედი, ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები დამხვდნენ: სერგო კოტრიკაძე, ბორია სიჭინავა, ილია დათუნაშვილი, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, სიომა ბარქაია, ზაურ კალოევი, მიშა მესხი. მერე მათ მურთაზ ხურცილავა და სლავა მეტრეველი შეემატათ, - მართლაც, ზღაპრული გუნდი იყო და რაც მთავარია, პიროვნულადაც ერთი-მეორეზე უკეთესები იყვნენ.

**- ასეთი ძლიერი ფეხბურთელები თამაშობდით და 1964 წლამდე ჩემპიონები რატომ ვერ ხდებოდით?**

- ძალიან ძნელი იყო, თან ბევრი არასაფეხბურთო მიზეზიც ჰქონდა; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უმაღლეს ლიგაში ხუთი მოსკოვური გუნდი ასპარეზობდა და თბილისის „დინამოს" ვინ გაახარებდა? არც ის იყო უმნიშვნელო ფაქტი, რომ იმ მოსკოვურ გუნდებშიც მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობდნენ: სტრელცოვი, ვორონინი, ივანოვი, მანოშინი, მეტრეველი (ყველა - „ტორპედო"), იაშინი, ჩისლენკო (ორივე - „დინამო"), ნეტო („სპარტაკი"). აღარაფერს ვამბობ მსაჯებზე, ჩვენს დასაჩაგრად ყველაფერს რომ აკეთებდნენ.

**- საბჭოთა კავშირის ჩემპიონები რომ გახდით, „დინამოს" შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა თქვენ იყავით.**

- 17 წლის ასაკში უკვე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ვიყავი. რა თქმა უნდა, დიდი ამაგი ჰქონდა ბასა ღოღობერიძეს, ყოველთვის სასარგებლო რჩევებს მაძლევდა. თუმცა, ჩემი, როგორც ფეხბურთელის, ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი ანდრო ჟორდანიას მიუძღვის. საერთოდაც, 1964 წლის წარმატებას საფუძველი ამ ბუმბერაზმა მწვრთნელმა ჩაუყარა; უპირველეს ყოვლისა, ყველა მოთამაშეს ოპტიმალური პოზიცია მოუძებნა: სანამ „დინამოში" ჩავირიცხებოდი, მარჯვენა ინსაიდად ვთამაშობდი, მაგრამ ჟორდანიამ ადგილი ნახევარდაცვაში მიმიჩინა; ხურცილავასაც იმან შეუცვალა ამპლუა - მარცხენა ნახევარმცველიდან ცენტრალურ მცველად გადაიყვანა და მერე კი ყველას კარგად მოეხსენება, მურთაზმა თუ რა დონეზე ითამაშა.

**- ანდრო ჟორდანიას გარდა, იმდროინდელ „დინამოში" ისეთ მწვრთნელებთან მოგიწიათ ურთიერთობამ, როგორებიც მიხაილ იაკუშინი და გავრილ კაჩალინი იყვნენ.**

- ორივე თავისი საქმის ნამდვილი „პროფესორი" იყო; იაკუშინი უფრო მკაცრი იყო, კაჩალინი - ბევრად ლმობიერი. მართალია, 1964-ში ჩემპიონობა კაჩალინის ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ, თუმცა არანაკლები წვლილი იაკუშინსაც მიუძღოდა. სწორედ მან შეცვალა „დინამოს" ტაქტიკური განლაგება და 3-5-2-დან იმ დროისათვის „მოდურ" 4-4-2-ზე გადააკეთა. საჩემპიონო სეზონიც იაკუშინის ხელმძღვანელობით დავიწყეთ, მაგრამ მოსკოვში „დინამოსთან" 0:3 დავმარცხდით და ამის გამო გაათავისუფლეს კიდეც. სამაგიეროდ, ჩვენს კარში სამივე გოლის ავტორმა (ვშივცევმა)... მოსკოვში სამოთახიანი ბინა „დაირტყა"!

**- საჩემპიონო სეზონის მერე „დინამო" ზედიზედ ორი წელი... ხუთეულშიც ველარ ხვდებოდა...**



მოსკოვი. 1965 წელი. სსრკ-ბრაზილია 0:3. მარცხნიდან: გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი და მიხეილ მესხი

მიხეილ ზარგარიანის ფოტო

# ინტერვიუ გიორგი სიჭინავასთან

- ზეიმი ნამეტანი გაგვიგრძელდა და ამიტომ! აბა, ბურთი და ყანწი ერთად შეიძლება? ფაქტობრივად, მთელი 1965 წლის სეზონი... „ნაბახუსევზე გამოვდიოდით" - ყველგან და ყველასათვის უძვირფასესი სტუმრები ვიყავით. ვერაფერს გავაწყობდით - საქართველოში ფეხბურთის კულტი იდგა; აი, ჯემალ ცერცვაძის შესახებ ხომ გსმენიათ, ქართული ხელბურთის ცოცხალი ლეგენდა კეთილი შურით მეუბნებოდა-ხოლმე: მთელ საქართველოს თქვენ რომ უყვარხართ, ასეთი პატივისცემით ვერც ერთი სხვა სპორტსმენი ვერ დაიტრაბახებსო...

**- საბჭოთა კავშირის ნაკრებზეც ვისაუბროთ.**

- 18 წლის ვიყავი, საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებში შოთა იამანიძესთან ერთად რომ მიმიწვიეს. 20 წლისას კი უკვე პირველ ნაკრებშიც მქონდა დებიუტი. ნახევარდაცვაში, ჩემს პოზიციაზე უდიდესი კონკურენცია იყო: ნეტო, ვოინოვი, ვორონინი, მანოშინი, საბო, - ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები იყვნენ. თუმცა, ვალერი ვორონინი მაინც განსაკუთრებული ნიჭის პატრონი გახლდათ. საერთოდაც, 60-იან წლებში ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თბილისის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო" უჩვენებდნენ და ეს შემთხვევითი ნამდვილად არ იყო - ორივე გუნდში უამრავი მაღალი დონის შემსრულებელი ასპარეზობდა.

**- ვორონინის წინააღმდეგ ალბათ, პერსონალურად გიწევდათ თამაში.**

- ჩვენი გუნდების დაპირისპირებისას მუდამ ერთმანეთს ვმეურვეობდით; მერე ავდექით და „ჯენტლმენურად" მოვილაპარაკეთ: თითოეულმა „ჩვენი" თამაში ვითამაშოთ და ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ-თქო; არაჩვეულებრივი ნიჭის ფეხბურთელი და ჩინებული პიროვნება იყო და უდიდესი მეგობრობა გვაკავშირებდა: მოსკოვში ის იყო ჩემი მასპინძელი, თბილისში კი - პირიქით. იმავეს ვიტყოდი მეორე ბუმბერაზ ფეხბურთელ ედუარდ სტრელცოვზეც.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- მეტ-ნაკლებად რომელ ქალაქში არ გსიამოვნებდათ თამაში?**

- დონეცკსა და კუიბიშევში. დონეცკში ჩვენს ავტობუსს ქვები დაუშინეს და შუშები ჩაუმსხვრიეს, თამაშის დროს კი სერგო კოტრიკაძეს ისე ეუხეშნენ მასპინძელთა ფეხბურთელები, ბურთიანად კარში შეიტანეს, მაგრამ... მსაჯმა გოლი მაინც ჩათვალა! კუიბიშევში კი, ერთხელ, გავრილ კაჩალინს ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი თავში გაარტყეს. არადა, მსგავსი რამ თბილისში რომ გაგვებედა, ადვილი წარმოსადგენია, რას გვიზამდნენ.

**- 1964 წელმა „დინამოს" ტრიუმფით კი ჩაიარა, მაგრამ, ბევრისთვის მოულოდნელად, იმ წელს ევროპის ჩემპიონატზე მოასპარეზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ქართველების ადგილი არ მოიძებნა.**

- შოვინისტობას ვერავინ და ვერასდროს დამაბრალებს; აი, ახლაც სოჭში ვცხოვრობთ. ისიც ხომ გითხარით, როცა მომესურვება, გაგრაში მაშინ შევდივარ-მეთქი; თუმცა ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე მაინც მინდა საკუთარი აზრი ვთქვა - კონსტანტინ ბესკოვი მართლაც დიდი მწვრთნელი იყო, მაგრამ... ქართველების მიმართ „თავისებური" დამოკიდებულება ჰქონდა. 1964 წელს, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წინ, შეკრებაზე ოთხი ქართველი მიგვიწვია: მე, მიშა მესხი, სლავა მეტრეველი და მურთაზ ხურცილავა. აქედან, მხოლოდ სლავა დაიტოვა, დანარჩენები შინ გამოგვიშვა, ოლონდ, ევროპის ჩემპიონატზე არც მეტრეველი ათამაშა...

**- სამაგიეროდ, ქართველების მიმართ აბსოლუტურად სხვა დამოკიდებულება ჰქონდა ბესკოვის შემცვლელს - ნიკოლაი მოროზოვს.**

- სტალინის ვაჟის, ვასილ ჯუღაშვილისგან ბევრი სიკეთე მახსოვსო, - მუდამ ამას გვიმეორებდა და ქართველ ფეხბურთელებსაც არასდროს ჩაგრავდა. უბრალოდ, ობიექტური კაცი იყო და, რაც მთავარია, ფეხბურთელის ფასი იცოდა: არც იმის წარმომავლობა აინტერესებდა და არც... „მცირეოდენი" რეჟიმის დარღვევები...

**- კარგია, თვითონ რომ ახსენეთ „მცირეოდენი" რეჟიმის დარღვევები; გადმოცემით როგორც ვიცით, რიგით მეორე (!) სამუდამო დისკვალიფიკაცია 1965 წელს იყო; კი, მაგრამ ასეთი რა დააშავეთ?**

- ყველაფერს საჯაროდ ნამდვილად ვერ ვიტყვი; ხშირად ხდებოდა, რომ ცუდსა თუ აკრძალულს... თურმე მხოლოდ მე ჩავდიოდი, ანუ, რაც სხვებს ეპატიებოდათ, ჩემთვის დაუშვებელი იყო. რაც შეეხება იმ სამუდამო დისკვალიფიკაციას, ბაქოში თამაშის გამო მომცეს. მაშინ მასპინძლებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდათ და ერთ-ერთ ეპიზოდში ბაქოელთა საუკეთესო ფეხბურთელს ედუარდ მარქაროვს ფეხი გამოვდე. მოკლედ, ჩვეულებრივი სათამაშო სიტუაცია იყო. იმან კი ისე „გააფორმა", რომ მოედანზე გაგორდა და ვითომ-ტკივილებისგან მანჭვა დაიწყო. რა უნდა მექნა, ერთი გემრიელად შევუკურთხე და ამ დროს, ვხედავ, მსაჯი ჩემკენ მორბის და ყვითელ ბარათს მიჩვენებს. გაოცებული, მსაჯს მივვარდი და ვცდილობდი, ამეხსნა, რომ წმინდა წყლის სიმულაცია იყო, ამასობაში კი მარქაროვმა (მერე კი დავმეგობრდით) ცეცხლზე ნავთი დაასხა და არბიტრს ეუბნება, რომ სიჭინავა თქვენი მისამართით იგინებოდაო. ცალკე მსაჯი გადაირია და წითელი ბარათის ამოღებას ცდილობს, ცალკე მე ვცდილობ მის გადარწმუნებას, ოღონდ, ძალიან ახლოს ვიდექი მასთან და ტელეეკრანებზე ისე ჩანდა თურმე, რომ მის ცემას ვაპირებდი. არადა, თუ არ ვცდები, ერთ-ერთი პირველი შეხვედრა იყო, პირდაპირი ტელეტრანსლაცია რომ მიმდინარეობდა.

**- ამის შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდა?**

- თბილისში მატარებლით დავბრუნდით და როგორც კი რკინიგზის სადგურზე ფეხი დავდგი, ორმა შავლაბადიანმა მამაკაცმა ხელკავი გამიკეთა - ჩვენთან უნდა წამობრძანდეთო. პირდაპირ შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრთან ედუარდ შევარდნაძესთან კაბინეტში მიმიყვანეს! შესვლისთანავე, ხელი გავუწოდე, მაგრამ არ ჩამომართვა და მორალის კითხვა დამიწყო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, 58-ე მუხლის მიხედვით უნდა დაისაჯო, როგორც საბჭოთა ხალხის მტერიო!

**- თანაგუნდელების რეაქცია როგორი იყო?**

- ჯერ გაურკვევლობაში იყვნენ, მერე კი შოთა იამანიძე, ეს დიდებული პიროვნება, გუნდის კაპიტნის სტატუსით მისულა შევარდნაძესთან და საქმეში გარკვევა უთხოვია. სხვებიც ჩაერივნენ, თან, ძალიან „ზემოდანაც", მაგრამ ერთადერთი „დათმობა" ის იყო, რომ ციხის ნაცვლად თბილისში, შინაგანი ჯარის „მერვე პოლკში" სავალდებულო სამსახურის მოსახდელად გამიშვეს. მაგრამ, იქ რა გამაჩერებდა - როგორც კი ხელსაყრელი მომენტი დავიგულე, გამოვიპარე და თბილისის ზღვის მიდამოებში ვიმალებოდი.

**- აბა, თქვენზე საკავშირო ძებნა გამოცხადდებოდა...**

- აი, სწორედ მაშინ მიშველა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა. ნიკოლაი მოროზოვი სასწრაფოდ თბილისში ჩამოფრინდა და ვის აღარ შეხვდა; ბოლოს, ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთანაც შესულა და დაურწმუნებია - ეგ ბიჭი საბჭოთა სპორტს და კონკრეტულად, საფეხბურთო ნაკრებს სჭირდებაო. მოკლედ, მოროზოვი თავდებში დამიდგა, იმდროინდელ „ლელოშიც" ჩემ მაგივრად ვიღაცას გულისამაჩუყებელი ბოდიშის წერილი დააწერინეს და „დინამოში" დამაბრუნეს. ოღონდ, შევარდნაძე მაინც წინააღმდეგი ყოფილა - რა გარანტია გაქვთ, სიჭინავა ასეთ საქციელს კიდევ რომ არ ჩაიდენსო...

**- თემა შევცვალოთ და იმ, მართლაც ისტორიულ მატჩზე მინდა გკითხოთ, მოსკოვში საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებები რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ის ცნობილი ფოტოც ძვირფას რელიკვიად არის შემორჩენილი, სადაც ფეხბურთის მეფე - პელე და ქართველი ფეხბურთელები ერთად ხართ გადაღებული.**

- ამ მატჩის ირგვლივ იმხელა აჟიოტაჟი იყო ატეხილი, რომ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობაზე დამთრგუნველად იმოქმედა. დანილოვი გვყავდა, მარცხენა მცველი, თამაშამდე ხუთი დღით ადრე კანკალი დააწყებინა - როცა გაიგო, გარინჩას წინააღმდეგ პერსონალურად რომ უნდა ეთამაშა. ზოგს სიცხემ აუწია, ზოგს ტრავმა „გაურთულდა"; მოკლედ, არაოპტიმალური შემადგენლობით ვიასპარეზეთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ძირითადი მეკარე (ლევ იაშინი) და ძირითადი ცენტრალური მცველები (მურთაზ ხურცილავა, ალბერტ შესტერნიოვი) გვაკლდნენ. ამის გამო, ვორონინი დაცვის ცენტრში დააყენეს, სათადარიგო მეკარე ბანიკოვმაც ვერ ივარგა და 0:3 წავაგეთ.

**- იმ მატჩის მერე თქვენს მეგობარსა და თანაგუნდელს - ვლადიმერ ბარქაიას უთქვამს: მოედნის ერთ მხარეს პელე თამაშობდა, მეორე მხარეს - ჟორა სიჭინავა, დანარჩენები კი ვიდექით და ამ ორის ბურთაობით ვტკბებოდითო...**

- „სიომას" ჟერსონის მეურვეობა ჰქონდა დავალებული, მე - პელესი; მატჩის დაწყებიდან 15 წუთი რომ გავიდა, მომიბრუნდა და მითხრა: მოდი, ამათ „აყვანას" თავი დავანებოთ, ვუცქიროთ და დავტკბეთო.

**- როგორც გადმოცემით ვიცით, მატჩის დასრულების შემდეგ პელემ მაისურა თქვენ გაგიცვალათ. ის მაისურა ამჟამად სად არის?**

- ჯერ იმას გეტყვით, რომ სტადიონზევე, თამაშის დასრულების მერე მაისურების გაცვლის უფლება არა გვქონდა. რაც შეეხება პელეს მაისურას, ამის შესახებ... მხოლოდ მე და ჩემმა მეუღლემ ვიცით! მომიტევეთ, რომ უფრო მეტს ამ თემაზე ველარ ვიტყვი.

**- მაშინ, პელეს ის სიტყვები გაიხსენეთ, იმ მატჩიდან რამდენიმე ხნის შემდეგ უცხოურ პრესაში რომ დაიბეჭდა.**

- ჰო, პელესთვის გაუგებარი დარჩენილა, რომ იმ შეხვედრაში ერთი მოთამაშე კანის ფერითაც არ ჰგავდა რუსს, ფეხბურთსაც „ბრაზილიურად" თამაშობდა და ასეთი კაცი საბჭოთა კავშირში როგორ დაიბადაო - ჩემზე უთქვამს...

**- ისევ სანაკრებო თემაზე ვისაუბროთ და 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც გაიხსენეთ.**

- მანამდე სხვა ამბავს მოგიყვებით: დისკვალიფიკაცია რომ მომიხსნეს და ნაკრებში დამაბრუნეს, ჩემი თავი გუნდის კომსორგს - ვალერი ვორონინს „ჩააბარეს", ვისთანაც შეკრებებზე ერთ ნომერში უნდა მეცხოვრა. მოკლედ, ჩემს „აღზრდაზე" უნდა ეზრუნა, ამ დროს კი.... ჩემზე უარესი ყოფილა! ინგლისში ვართ, მსოფლიოს ჩემპიონატზე და ერთ საღამოსაც მეუბნება - კაზინოში წავიდეთო! ვფიქრობ, ჩემი „ჩაშვება" აქვს გადაწყვეტილი-მეთქი, მაგრამ, იქნებ, ჩემსავით „თავისუფალი" ბიჭია და რატომ უნდა ვაფიქრებინო, ეს რა მშიშარა ქართველი შემომისახლესო.

**- მერე, მიენდეთ?**

- ისეთი სიტყვა მითხრა, უნდა მივნდობოდი: დაიმახსოვრე, ყველა სასტუმროში დაბინავებისთანავე პირველი, რაც უნდა გააკეთო, სათადარიგო შემოსასვლელის მოძებნა არისო. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, ასეთი დონის ტურნირზე რომ ვიასპარეზე. სამწუხაროდ, კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ტრავმა მაშინ მივიღე და ამის გამო მხოლოდ ორი მატჩი ვითამაშე.

**- რომელ შეხვედრაში დაშავდით?**

- პირველსავე მატჩში - კორეის სახალხო რესპუბლიკის ნაკრებთან მენისკი დავიზიანე, მაგრამ მოროზოვმა მთხოვა და გამაყუჩებლებით ჩავამთავრე თამაში. ის შეხვედრა 3:0 კი მოვიგეთ, მაგრამ მწვრთნელი გვაფრთხილებდა, რომ საქმე პირველ ტაიმშივე მოგვემთავრებინა: ყველანი ერთმანეთს ისე ჰგვანან, შესვენებაზე თერთმეტივე ფეხბურთელი რომც გამოცვალონ, ვერავინ ვერაფერს გაიგებსო. მეორე მატჩი კი ეუსებიოს წინააღმდეგ ვითამაშე; აი, ის შეხვედრაა, თამაშის ღამეს ხურცილავას რომ დაესიზმრა - ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი ხელზე ხვდება და ჩვენი ნაკრების კარში პენალტი ინიშნება. ჰოდა, პორტუგალიასთან მესამე ადგილისათვის მატჩში ხურცილავას ეს სიზმარი აუხდა და 1:2 დავმარცხდით...

**- ამის შემდეგ „დინამოში" თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო, თქვენც დიდხანს აღარ გითამაშიათ და, ფაქტობრივად, 25 წლის ასაკში, რასაც მაღალ დონეზე თამაში ჰქვია, დაასრულეთ კიდეც. შეგიძლიათ თქვათ, 1969 წელს რა მოხდა?**

- არა, ამას ვერ ვიტყვი; მხოლოდ იმას დავძენ, რომ უსაზიზღრესი და შეთითხნილი ბრალდებით დამაპატიმრეს... ეტყობა, ვიღაცებს ძველი ბოღმა ჰქონდათ გულში ჩადებული და ჩემი სამაგალითო დასჯაც ამას მოწმობდა. ციხიდან ციხეში გადავყავდით, ალბათ, ფიქრობდნენ, იქაურ „კანონებს" ვერ გავუძლებდი და სულიერად და ფიზიკურად მომსპობდნენ. ამ დროს კი, სადაც კი გადამიყვანდნენ, ყველგან... პატივით და მოწიწებით მხვდებოდნენ...

**- ციხის შემდეგ ისევ ფეხბურთს დაუბრუნდით, ოღონდ მაშინდელ საკავშირო მეორე ლიგაში - რუსთავის „მეტალურგში".**

- ერთი სეზონი ვითამაშე და სულ ცოტა დაგვაკლდა, პირველ ლიგაში გადასასვლელად. უფრო სწორად, ლიპეცკში გადამწყვეტი მატჩის მერე არბიტრმა გულახდილად მითხრა: როგორც დამავალეს მოსკოვიდან, ყველაფერი ისე გავაკეთეო. 28 წლის ვიყავი, თითქოს, მოტივაციაც დაკარგული მქონდა და კარიერის დასრულებაც გადავწყვიტე...

**- ასე „უხმაუროდ" წახვედით?**

- აბა, გაცილებას მე ვინ მომიწყობდა! ისე, ქუთაისის „ტორპედოც" მიწვევდა და თბილისის „დინამოში" ჩემს დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ; მით უფრო, რომ გუნდში მთავარ მწვრთნელად გავრილ კაჩალინი დაბრუნდა. ამას გარდა, ალმაათის „ქაირატი" ზღაპრულ პირობებს მთავაზობდა, თანაც, იქაური პირველი მდივანი კუნაევი, საჭირო თუ გახდა, ბრეჟნევთანაც ჩავა და შევარდნაძესთან პრობლემას ასე მოაგვარებსო. გაგიკვირდებათ და... ბესკოვიც შემეხმიანა - მოსკოვის „დინამოს" ძირითადში თამაშს, დედაქალაქში ბინას და სხვა სიკეთესაც შემპირდა, მაგრამ ყველაფერზე უარი ვთქვი და მშობლიურ გაგრაში დავბრუნდი. 1992 წლამდე სპორტსკოლას ვხელმძღვანელობდი, იმის შემდეგ კი სოჭში ვცხოვრობ.

**- ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს თვალს თუ ადევნებთ?**

- ქართულ ტელეარხებს ვუყურებ და გული მიკვდება, როცა აქაურ მოედნებს ვხედავ; მაგრამ, მჯერა, რომ ყველაფერი სასიკეთოდ გამოსწორდება და ძალიან მინდა, სანამ ცოცხალი ვარ, საქართველოს ნაკრები ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ვიხილო. ასევე, მინდა, რომ ფედერაციის ახალ პრეზიდენტს ზვიად სიჭინავასა და ნაკრების ახალ მწვრთნელს თემურ ქეცბაიას ყველანი გვერდში დაუდგნენ. კიდევ მინდა ერთი რამის თქმა, ოღონდ, დამპირდით, რომ ... აუცილებლად დაბეჭდავთ.

**- ბრძანეთ.**

- მეგობრობამ ასაკი და მანძილი არ იცის; ჩემთვის თბილისში ყოველი ჩამოსვლა განსაკუთრებული და ამაღელვებელია, იმიტომ, რომ მაქსიმალურად ვცდილობ ყველა ნათესავსა თუ შინაურს მოვეფერო. ასე იყო ახლაც - დიდი ხნის მეგობრების გარემოცვაში რომ აღმოვჩნდი. ყველას მადლობას ვუხდი - ჩემს ჯემალ ცერცვაძესაც და ჩემს გია იმნაძესაც, მაგრამ განსაკუთრებულად მინდა ელგუჯა ბუბუტეიშვილს მოვეფერო; ხუთი დღეა ოჯახთან ერთად თბილისში ვარ და ჩემი ყველაზე დიდი მეგობრის - ელგუჯა ბუბუტეიშვილის „პირადი პატიმარი" ვიყავი! დაბოლოს, მადლობა „ლელოს", რომ გახსოვართ და ამდენი დრო დაგვითმეთ!



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**გია ტუხაშვილი**

ბიძინა ბარათაშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

ეროვნული ჩემპიონატები

# მეცხვარე პრეზიდენტის ხელში...

**ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობაში ახალი სეზონი იანვარში იწყება. მანამდე კი, მოდი, თვალი გადავავლოთ უკანასკნელი ჩემპიონატების შედეგებს...**

## არგენტინა

*ჩემპიონი - „ბანფილდი"; ვიცე-ჩემპიონი - „ნიუელს ოლდ ბოისი"; ბომბარდირი - სანტიაგო სილვა (ურუგვაი, ბანფილდი) - 14 გოლი*

2009 წლის „აპერტურა" საკმაოდ მოულოდნელი სცენარით წარიმართა და ასეთივე შედეგით დასრულდა. უკანასკნელ წლებში ჩვენ უკვე მივეჩვიეთ „გრანდების" ჩავარდნებს და აღარც გუშინდელი აუტსაიდერების გაზრდილი ამბიციების გვიკვირს, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი!!!

ისტორიაში მეორედ, საპრიზო სამეულში „დიდი ექვსეულის" („ბოკა", „რივერი", „ინდეპენდიენტე", „სან ლორენსო", „ველესი" და „რასინგი") ვერც ერთი წევრი ვერ მოხვდა!!! უფრო მეტიც - პრიზიორთაგან არც ერთი არაა ბუენოს-აირესის ცენტრალური რაიონიდან. მესამეზე გასული „კოლონი" სანტა ფეს გუნდია, ვიცე-ჩემპიონი „ნიუელს ოლდ ბოისი" - როსარიოსი, ხოლო ჩემპიონი „ბანფილდი" ამავე სახელწოდებას პატარა ქალაქს წარმოადგენს, რომელიც ცენტრიდან 14 კილომეტრითაა დაშორებული და ე.წ. „დიდ ბუენოს-აირესშია" გაერთიანებული.

უცნაურია ტურნირის ბომბარდირთა სამეული: ორი ურუგვაელი - **სანტიაგო სილვა** („ბანფილდი", 14 გოლი) და სომხური წარმოშობის ხოაკინ **ანტონიო ბოგოსიანი** („ნიუელსი", 11) - შუაში კი არგენტინელთაგან საუკეთესო - **ფედერიკო ნიეტო** („კოლონი"), რომელთაგან არც ერთს არ უთამაშია თავისი ქვეყნის თუნდაც ასაკობრივ ნაკრებში.

ტურნირის ფინალი მთლად კარიკატურული გახლდათ. დასკვნითი ტურის წინ „ბანფილდი" 2 ქულით უსწრებდა მდევარს და „ბომბონერაზე" უმოტივაციო „ბოკასთან" ფრის შემთხვევაშიც კი, მინიმუმ, „ოქროს მატჩში" იბევებდა ადგილს. „ნიუელსის" წინაშე უფრო რთული ამოცანა იდგა - მას შინ უნდა დაემარცხებინა „ბოკასავით" „სავარჯიშოდ" ჩამოსული „სან ლორენსო" და ელოცა კონკურენტის წარუმატებლობაზე.

თამაშების წინ პრესაში ათასნაირი ვარაუდი გამოითქვა, უფრო მეტი როსარიოში გასამართი შეხვედრის შესახებ. ერთნი წერდნენ - მწვრთნელები **ნესტორ სენსინი** („ნიუელსი") და **დიეგო სიმეონე** („სან ლორენსო") დიდი ხნის მეგობრები არიან, ნაკრებში და რომის „ლაციოში" წლების მანძილზე ერთად გამოდიოდნენ და რაღა ახლა შეაკვდებიან ერთმანეთსო?! **კილი გონსალესიც** ხომ ამათი ძმაკაცია და მორჩა - „სან ლორენსო" ფეხს არ გაანძრევსო!

საპირისპირო არგუმენტები (იმავე მოქმედი პირებით!!!) მოჰყავდა მეორე ფრთას - არ გახსოვთ, სიმეონემ რომ მის მიერ გაჩემპიონებული „ესტუდიანტესი" „რივერის" მილიონებზე გაცვალა, მისი ადგილი სწორედ სენსინიმ დაიკავა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „ჩოლო"?! კილი კი როსარიოშია დაბადებული და კარიერის დიდი ნაწილი „ნიუელსის" მოსისხლე მტრის, „სენტრალის" რიგებში აქვს გატარებულიო!!!

სპეციალისტთა უმეტესობა ორივე შეხვედრაში მაინც „აპერტურას" ლიდერთა იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი - გრანდებმა „კარის გაჯახუნება" და „დღესასწაულის" ჩაშლა გადაწყვიტეს! „ბოკამაც" და „სან ლორენსომაც" ისე იომეს, გეგონებოდა, სწორედ ისინი იბრძოდნენ ოქროსთვის!

მატჩები ერთნაირი სცენარით წარიმართა - პირველ 10 წუთში ფავორიტთა კარში ორივეგან 11-მეტრიანი დაინიშნა და ორივეგან 35 წელს გადაცდენილმა ვეტერანებმა დაარტყეს. ამათგან პენალტების „ისტორიულმა გამცუდებელმა" **მარტინ პალერმომ** (იმან, 1999 „კოპა ამერიკაზე" კოლუმბიას რომ 3 პენალტიდან ერთიც ვერ გაუტანა და გინესის წიგნში მოხვდა), ამჯერად 11-მეტრიანი უზადოდ დაარტყა, შეწყვიტა 741 წუთიანი უგოლო სერია და მისთვის „საყვარელ" მეკარე **კრისტიან ლუკეტის** კარიერაში მეათედ (!!!) გაუტანა 1:0. სამაგიეროდ, ვერ ივარგა კილიმ, რომლის დარტყმულიც **სებასტიან პერატამ** კუთხურზე მოიგერია. გონსალესის საბედნიეროდ, სიმეონეს მიერ აღმოჩენილმა ახალგაზრდა **ფაბიან ბორდაგარაიმ** კორნერის გათამაშება მაინც გოლამდე მიიყვანა - აქაც 0:1.

მეორე ტაიმებში გრანდებმა საქმე ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანეს. თავი იმავე ფეხბურთელებმა გამოიჩინეს. ბორდაგარაიმ სერიოზული განაცხადი გააკეთა საამსეზონო ტიტულარობაზე, ხოლო პალერმომ ლუკეტისთან ანგარიში 11 გოლამდე, „ბოკას" რიგებში გატანილი ბურთების რაოდენობა კი 212-მდე აიყვანა.

ცხადია, 0:2 მეტოქეებმა განსხვავებულად აღიქვეს. ბანფილდელებმა ანგარიში უმალ დაივიწყეს, ერთკვირიანი ფიესტა მოაწყვეს და მწვრთნელ **ხულიო სესარ ფალკონის** სახელი ახალ მეტსახელად აქციეს - „იმპერატორი იულიუს კეისარი".

„ნიუელსის" ინჩადამ კი საწყალ სენსინის ღვაწლი დაუვიწყა და კვლავაც „დიდთავად" მოიხსენიებს. თუმცა, „ნიუელსის" ზეიმი მაინც შედგა. გმირის როლი **მარსელო ბიელსამ** მოირგო, 22 დეკემბერს ადგილობრივ სტადიონს მისი სახელი ეწოდა. ამის აღსანიშნავად კლუბის ყველა თაობის ვარსკვლავთა მატჩი გაიმართა.

მეზობელთა ჯინზე, „სენტრალის" ფანებმა თავიანთი დღესასწაული წინა დღეს ჩაატარეს. კლუბის 120 წლისთავი 200 ათასმა ადამიანმა ქალაქის ცენტრალურ გამზირზე - ავენიდა ალბერდიზე 4370-მეტრიანი დროშის გაშლით აღნიშნა. ეს დროშა 1370 მეტრით გრძელი ყოფილა მადრიდის „ატლეტიკოს" ფანების ნახელავზე და ამიერიდან „როსარიო სენტრალი" „გინესის რეკორდების წიგნში" ფიგურირებს.


როსარიო სენტრალის ფანების ზეიმი 4370-მეტრიანი დროშით

სეზონის მეორე ნახევრის სხვა მოვლენებიდან აღსანიშნავია „ბოკასა" და „რივერის" ფრედ დასრულებული „სუპერკლასიკო" (1-1, პალერმოსა და **მარსელო გალიარდოს** გოლებით), ორივეს სამარცხვინო გამოსვლა როგორც ჩემპიონატში, ისე კონტინენტურ საკლუბო ტურნირებში და „რივერის" პრეზიდენტად **დანიელ ალბერტო პასარელას** არჩევა.

დაბოლოს, ჟურნალისტებმა მთელი სეზონი (ორივე ჩემპიონატი) შეაჯამეს: საუკეთესო ფეხბურთელი - **ხუან სებასტიან ვერონი** („ესტუდიანტესი"), საუკეთესო გუნდი - „ესტუდიანტესი", საუკეთესო მწვრთნელი - **ანხელ კაპა** („ურაკანი"), წლის აღმოჩენა - **ხავიერ პასტორე** („ურაკანი"/"პალერმო", იტალია), საუკეთესო არბიტრი - **ექტორ ბალდასი**.

## ბრაზილია

*ჩემპიონი - „ფლამენგო"; ვიცე-ჩემპიონი - „ინტერნასიონალი"; ბომბარდირები - ადრიანო („ფლამენგო"), დიეგო ტარდელი („ატლეტიკო მინეირო") - 19-19 გოლი*

მოგეხსენებათ, ბრაზილია ისე გახდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და სამუდამოდ დაისაკუთრა „ნიკეს" თასი, რომ ეროვნული პირველობა არ ჰქონდა ჩატარებული! პირველად ეს მხოლოდ 1971 წელს მოხდა... მას შემდეგ ბრაზილიამ ჯერ ფედერაციის ოფისიდან დაკარგა ტეტრაკამპეონობის სიმბოლო, მერე მტრების ჯინაზე კიდევ ორჯერ დაეუფლა მუნდიალის ოქროს, პარალელურად კი ეძებდა შიდა ჩემპიონატის ოპტიმალურ ფორმულას. რა არ სცადეს! იყო პერიოდი, როდესაც ჩემპიონობის მოპოვება მეორე ლიგის გუნდსაც კი შეეძლო!!! საბოლოოდ, გადაწყდა, რომ წლის პირველი კვარტალი შტატების პირველობებით იტვირთება, შემდეგ კი 20-გუნდიანი „ბრაზილეირუს" დრო დგება.

შარშანდელი ტურნირის მთავარი ტენდენცია მწვრთნელთა გაუთავებელი ცვლა გახლდათ. საერთო ჯამში, გუნდებმა 19 თავკაცი გამოცვალეს! თუმცა, აქაც იყვნენ ლიდერები - „სპორტმა", „ნაუტიკომ", „ატლეტიკო პარანაენსემ" და „ფლუმინენსემ" ორ-ორი მწვრთნელი გააგდეს. ამათგან 2 უკანასკნელი გადარჩა ლიგიდან გავარნას, დანარჩენების ბედი კი „სანტო ანდრემ" და საუკუნოვანი იუბილეს აღმნიშვნელმა „კურიტიბამ" გაიზიარეს. იყო ანეკდოტური შემთხვევებიც - 9 ივნისს **ვალდემარ ლემოსმა** საკუთარი სურვილით გაცვალა „ნაუტიკო" „ატლეტიკო პარანაენსეზე"... საიდანაც 29 ივლისს პანღურთ გააგდეს!

საინტერესოა, რომ ცვლილებებს ვერც მომავალი ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ასცდნენ: „ფლამენგომ" **კუკა ანდრადეთი** ჩაანაცვლა, „ინტერნასიონალმა" კი **ტიტე - მარიო სერჟიოთი**.

არგენტინულზე არანაკლებ სასაცილო იყო ბრაზილიის პირველობის ბოლო ტურიც. „ფლამენგო" 2 ქულით უსწრებდა „ინტერნასიონალს" და მის თანაქალაქელ „გრემიოს" მასპინძლობდა, „ინტერი" კი ასევე შინ უკვე გავარდნილ „სანტო ანდრესთან" თამაშობდა.

„გრემიოს" ხელმძღვანელებს ისე შეეშინდათ - ლიდერს შემთხვევით ქულები არ წავართვათ და უნებლიეთ თანაქალაქელი „ინტერი" არ გავაჩემპიონოთო, რომ რიომი ახალგაზრდული შემადგენლობა გაგზავნეს და თან დაარიგეს - ისე არ ქნათ, ფედერაცია რამეს მოგვედავოსო! „შეგნებულმა" იუნიორებმა უფროსების დავალება პიონერული სიბეჯითით შეასრულეს - 1:0 იგებდნენ კიდეც, მაგრამ დროულად დაშოშმინდნენ, 2 გოლი გაუშვეს და „ფლამენგოს" ზეიმშიც მიიღეს მონაწილეობა.

ზეიმი კი მართლაც გრანდიოზული იყო, ბრაზილიის უპოპულარულეს გუნდს ხომ 17 წელია არაფერი მოეგო. ტრიუმფი 2 კაცს „დაბრალდა" - მწვრთნელ ანდრადეს და ბომბარდირ **ადრიანოს**.

ანდრადე ბრაზილიურ ფეხბურთში ლეგენდარული ფიგურაა - იგი **ზინიოსთან** იყოფს რეკორდს მოგებული ჩემპიონატების რაოდენობით (5-5, ამათგან ბოლო - 1989 წელს ერთად მოიპოვეს „ვასკოში"). „ფლამენგოსთან ერთად 4-4-ჯერ მოიგო ქვეყნისა და შტატის პირველობა, ხოლო 1981 წელს „კოპა ლიბერტადორესი".

რაც შეეხება მილანის „ინტერიდან" გამოქცეულ-გამოგდებულ დებოშიორ ადრიანოს, შინ მას „მეორე სუნთქვა" გაეხსნა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელობას საუკეთესო ბომბარდირის პრიზის „ნახევარიც" დაუმატა (გაიყო ტიტული **დიეგო ტარდელისთან**) და ნაკრებშიც დაიბრუნა პოზიციები. საინტერესოა, რომ 21 ივნისს ადრიანომ ჰეთ-თრიკით ასიამოვნა მთავარი მეტოქე - პორტუ ალეგრეს „ინტერი" (4:0). რიგორც ჩანს, უკვე ალერგია აქვს ამ სახელზე და იტალიურს რომ ვერაფერი მოუხერხა, ჯავრი ადგილობრივზე იყარა.

## ურუგვაი

*ჩემპიონი - „ნასიონალი"; ვიცე-ჩემპიონი - „ლივერპული"; ბომბარდირი - ემილიანო ალფარო („ლივერპული"), მაურენ ფრანკო („სერიტო) - 13-13 გოლი*

„აპერტურას" დასრულებამდე ერთი ტურით ადრე „ნასიონალმა" **ალვარო გონსალესის** ზუსტი დარტყმით დაამარცხა „ფინიქსი", 31-ედ მოიგო ჩემპიონატი და მიუახლოვდა აბსოლუტურ რეკორდსმენ „პენიაროლს (36 ტიტული). თანაც, „სუპერკლასიკოში" უპირველესი მეტოქე 3-0 გაანადგურა **მარიო რეგეიროს, ნიკოლას ლოდეიროსა** და **სანტიაგო გარსიას** გოლებით.

ლოდეირო ტურნირის აღმოჩენად მონათლეს. შემთხვევითი არაა, რომ იგი ჯერ ამერიკის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს (ურუგვაელთაგან ერთადერთი), ხოლო ნაკრების თავკაცმა **ოსკარ ტაბარესმა** 20 წლის ფლეიმეიქერი კოსტა-რიკასთან გადამწყვეტ შესარჩევშიც ათამაშა. ორიოდე დღის წინ იგი **შოთა არველაძის** „ალკმაარმა" იყიდა.

მეზობელ არგენტინაში („სან ლორენსოში") გააგრძელებს კარიერას „ლივერპულის" ბომბარდირი (12 გ.) **ემილიანო ალფარო**, რომელიც გასულ წელს ასევე გამორჩეული ფიგურა გახლდათ. სამაგიეროდ, ჯერჯერობით შინ რჩება კიდევ ერთი ახალგაზრდა სნაიპერი **დიეგო იფრანი** (11 გოლი, „დანუბიო").

## ჩილე

*ჩემპიონი - „კოლო კოლო"; ფინალი - „კოლო კოლო"-"უნივერსიდად კატოლიკა" 2:2, 4:2; ბომბარდირი - დიეგო რივაროლა (არგენტინა, „სანტიაგო მორნინგი") - 13 გოლი*

რეგულარულ ჩემპიონატში მე-4 ადგილზე გასულმა „კოლო კოლომ" ბრწყინვალედ ჩაატარა პლეი-ოფი და ყველა პროგნოზის საპირისპიროდ, შინ ფრედ ნათამაშები პირველი ფინალური მატჩის შემდეგ, რეგულარულის საუკეთესო გუნდს მისსავე მოედანზე მოუგო ბოლო 4:2. არადა, „კათოლიკეებს" ბევრად უკეთესი შემადგენლობა ჰყავთ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ბომბარდირთა ათეულში მათი 4 ფეხბურთელია: **როდრიგო ტოლსა** (12 გ.), არგენტინელი **ესეკიელ მირალესი** (11), **რობერტო გუტიერესი** (10) და კიდევ ერთი არგენტინელი **ხუან ხოსე დიასი** (8).

„კოლო კოლოსთვის" ეს 29-ე ტიტულია, რომლის მთავარ შემომქმედად სპეციალისტები არგენტინელ მწვრთნელ **უგო ტოკალის** ასახელებენ. ეს ის ტოკალია, რომელიც ჯერ **ხოსე პეკერმანს** ასისტენტობდა მსოფლიოს 3 (1995, 1997, 2001 წწ.) „ოქროს" ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ბოლოს კი თვითონ მოიგო ტიტული **სერხიო აგუეროს** თაობასთან ერთად (2007 წ.).

## ეკვადორი

*ჩემპიონი - „დეპორტივო" კიტო; ფინალი - „დეპორტივო"-"კუენკა" 1:1, 3:2; ბომბარდირი - კლაუდიო ბიელერი (არგენტინა, „ლდუ") - 22 გოლი*

ჩემპიონატი 4 ეტაპად ტარდება. სისტემა იმდენად ჩახლართულია, რომ თავად ეკვადორელებსაც არ ესმით. გუნდები გაუთავებლად ეთამაშებიან ერთმანეთს და მერე უცებ ვილაც ფინალში აღმოჩნდება! ძალიან გთხოვთ, ნუ მკითხავთ, რა ლოგიკით...

ერთი რამ ცხადია, საუკეთესო გუნდი და უპირველესი ფავორიტი - „ლდუ" იმდენად დაკავებული იყო „კოპა სუდამერიკანასთვის" ბრძოლით, რომ საბოლოოდ პრიზიორებშიც ვერ მოხვდა!

არადა, სეზონის ლაურეატებს შორის (აქაც ქაოსია - არსებობს რამდენიმე ვერსია!) პრაქტიკულად არავინაა ფინალისტთაგან: საუკეთესო მოთამაშედ ერთი ვერსიით ნაკრებისა და „ლდუ"-ს ნახევარმცველი **ედისონ მენდესი** აღიარეს, მეორეთი - „ემელეკის" ნატურალიზებული არგენტინელი მეკარე **მარსელო ელისაგა**.

## კოლუმბია

*ჩემპიონი - „ინდეპენდიენტე"; ფინალი - „ინდეპენდიენტე"-"უილა" 2:2, 1:0*

მედელინის „ინდეპენდიენტემ" მოიგო ე.წ. „ტორნეო ფინალისასიონი". გუნდს 2 ვარსკვლავი ჰყავს: პარაგვაელი მეკარე **ალდო ბობადილია** და კოლუმბიელთა „ოქროს თაობის" მოთამაშე, ახლა კი მწვრთნელი **ლეონელ ალვარესი**, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონობაც არაერთხელ მოუგია, „კოპა ლიბერტადორესიც" ჭერია ხელთ და ქვეყნის ღირსებაც დაუცავს 2 მუნდიალსა და 5 „კოპა ამერიკაზე".

## პარაგვაი

*ჩემპიონი - „ნასიონალი"; ვიცე-ჩემპიონი - „ლიბერტადი"*

„ნასიონალი" 63 წელია არ ყოფილა ჩემპიონი! წარმატების სულისჩამდგმელად იქცა 35 წლის ვეტერანი **დენის კანისა**, რომელსაც ქვეყნის ნაკრებში 91 მატჩი აქვს ჩატარებული (მათ შორის 1998, 2002, 2006 წწ. მუნდიალებზე).

## ვენესუელა

აქ აბსოლუტური ჩემპიონი „აპერტურისა" (აგვისტო-დეკემბერი) და „კლაუსურის" (თებერვალი-ივნისი) გამარჯვებულთა შორის პაექრობაში ირკვევა. 2009-10 წწ. „აპერტურა" „დეპორტივო ტაჩირამ" მოიგო. თუ „კლაუსურასაც" მოიგებს, ფინალი აღარ ჩატარდება, თუ არადა, ჩემპიონს ზაფხულში გამოავლენენ.

## ბოლივია

*ჩემპიონი - „ბლუმინგი"; ფინალი - „ბლუმინგი"-"ბოლივარი" 1:0, 1:1*

ბოლივიაში პრეზიდენტი... მეცხვარეა და ჩემპიონატის სისტემა როგორი იქნება?! აქაც სრული გაუგებრობაა!!! მაგალითად: 1/4 ფინალში 6 გუნდი გადის, 3 წყვილიდან 4 ნახევარფინალისტი როგორ უნდა მივიღოთ?! როგორ და, ნაგებული ტრიოდან საუკეთესო გადის შემდეგ ეტაპზე და იქ ეთამაშება მოგებულთაგან უძლიერესს... მოკლედ, ამ გაუგებრობაში ჩემპიონი სწორედ ის დამარცხებული მეოთხედფინალისტი „ბლუმინგი" გახდა!!!

## პერუ

*ჩემპიონი - „უნივერსიტარიო"; ფინალი - „უნივერსიტარიო"-"ალიანსა" 1:0, 1:0; ბომბარდირი - რიჩარდ ესტიგარიბია („ტოტალ ჩალაკო") - 23 გოლი*

პერუელებმა შარშან ახალი სისტემა გამოცადეს, რომლის შეფასებაც მომავალი თაობების საქმეა. პირველ ეტაპზე 16 გუნდი 2 წრედ თამაშობს, მეორეზე კენტ ადგილებზე გასულები ცალკე თამაშობენ, ლუწზე გასულები - ცალკე!!! ესენიც 2 წრედ. ჯგუფების გამარჯვებულები ფინალში გადიან.

ეს სისტემა ხომ კარგია?! წინა მთლად ანეკდოტური იყო და ცვლილება უპრეცედენტო სიტუაციამ განაპირობა. 2008 წლის მდგომარეობით „კლაუსურას" და „აპერტურას" ჩემპიონები იმ შემთხვევაში თამაშობდნენ ფინალურ მატჩს, თუ ორივე შეჯიბრებაში საუკეთესო შვიდეულში (არ აგერიოთ ცნობილ ვესტერნში!!!) მოხვდებოდნენ. ჰოდა, „კლაუსურას" ვადაზე ადრე მომგებმა „სან მარტინმა" ბოლო თამაშები სპეციალურად წააგო „აპერტურას" ჩემპიონი „უნივერსიტარიოს" კონკურენტებთან, რათა იგი მე-11 პოზიციაზე დაეტოვებინა!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატები

# სალომე მელია ჩემპიონია!



„ძალიან გახარებული ვარ, ტურნირის მიმდინარეობიდან გამომდინარე, ჩემპიონობა მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამიაზრებია, რომ საქართველოს ჩემპიონატში გავიმარჯვე. ძალიან დაძაბული ტურნირი იყო, ბოლო ტურიც საინტერესოდ წარიმართა. ჩემი მეტოქე ნინო ბაციაშვილი იყო. თავიდან უპირატესობას ვფლობდი, შემდეგ ხელიდან გავუშვი, მაგრამ იღბალი ჩემს მხარეს აღმოჩნდა და საბოლოოდ გამარჯვებაც მოვიპოვე. სულ მალე მოსკოვისა და პარიზის საერთაშორისო ტურნირებზე ვიასპარეზებ, მარტში კი ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატი ტარდება და იმედია, ამ ტურნირებშიც მივაღწევ წარმატებებს" - აღნიშნა „ლელოსთან" საუბარში ბათუმელმა **სალომე მელიამ,** რომლისთვისაც ქუთაისში გამართული ქალთა 67-ე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბედნიერი გამოდგა და იგი პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. სალომეს პირველობის შანსი 2008 წელსაც ჰქონდა, მაშინ **ნანა ძაგნიძესთან** ერთად პირველ ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა ბლიცტურნირში მაშინ ძაგნიძემ იმარჯვა და ჩემპიონობაც მას ერგო. ამჯერად კი იღბალი მელიას მხარეს იყო. ბოლო ტურის წინ ჩემპიონობის შანსი მის გარდა კიდევ ორ მოჭადრაკეს, **ნინო ხურციძეს** და მოქმედ ჩემპიონ **მაია ლომინეიშვილს** ჰქონდა. ხურციძე ახალგაზრდა **მერი არაბიძეს** ხვდებოდა და რომ დაემარცხებინა, ჩემპიონობას ვერავინ შეეცილებოდა, რადგანაც რეიტინგით ყველაზე მაღლა იდგა. პარტიის მიმდინარეობისას ხურციძე უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ შეცდომა დაუშვა და მხოლოდ ყაიმს დასჯერდა, რაც პირველი ადგილის დაკარგვის ფასად დაუჯდა. რაც შეეხება ლომინეიშვილის ასპარეზობას, მას თამაში არ ჰქონდა დამთავრებული, როცა ფავორიტების მიერ ნაჩვენები შედეგი მისთვის ცნობილი გახდა, ამიტომ უმოტივაციოდ დარჩენილმა **სოფიკო ხუხაშვილის** წინააღმდეგობა ვერ დაძლია და მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. მეოთხე ადგილზე გავიდა ბათუმელი **მირანდა მიქაძე,** რომელიც **ქეთი წანალაშვილს** დაუზავდა. ტურნირის შემდეგ გაიმართა დაჯილდოება, რომელსაც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და ქალაქის ხელმძღვანელები დაესწრნენ. ჩემპიონს და პრიზიორებს გადაეცათ სოლიდური ფულადი პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები. *„ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გამოვიდა, ტურნირი ისე დაძაბულად და აზარტულად მიმდინარეობდა, რომ ძალიან ვისიამოვნე. სალომე მელია ღირსეული ჩემპიონია. რამდენიმე მოჭადრაკეს ჰქონდა გამარჯვების შანსი, მაგრამ ვინც უფრო სტაბილურად იასპარეზა და ცოტა იღბალმაც შეუწყო ხელი, მან გაიმარჯვა. გამარჯვებულები და პრიზიორები დაფინანსდებიან ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც წლეულს ხორვატიაში გაიმართება"* - აღნიშნა ტურნირის მთავარმა მსაჯმა **ნანა ალექსანდრიამ.** ტურნირის შემდეგ სასტუმრო „იმერში" საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის, **გია გიორგაძის** ინიციატივით გაიხსნა საჭადრაკო კლუბი „იმერის ვარსკვლავი", სადაც მოეწყო ტიტულოვანი მოჭადრაკის, ნანა ალექსანდრიასადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება.

**ხუხაშვილი-ლომინეიშვილი 1-0**
**არაბიძე-ხურციძე 0,5-0,5**
**წაწალაშვილი-მიქაძე 0,5-0,5**
**ხოტენაშვილი-ფურცელაძე 1-0**
**მელია-ბაციაშვილი 1-0**

სატურნირო მდგომარეობა: მელია (10), 2. ხურციძე (9,5), 3. ლომინეიშვილი (8,5), 4. მიქაძე (7,5), 5.წერეთელი (7,5), 6-7. ხოტენაშვილი (7), არაბიძე (7), 8-10 ბაციაშვილი (6,5), ხუხაშვილი (6,5), წანალაშვილი (6,5), 11. ფურცელაძე(5), 12.ძაგნიძე(4), 13. გავაშელი (3,5), 14. ხურცილავა(1).

**დავით პოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ვაჟებში ორხელისუფლებიანობაა

საკმაოდ დაძაბული და საინტერესო ჩემპიონატი გამოდგა: ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა და პირველ ადგილზე გასვლის შანსს თეორიულად ცხრა მოჭადრაკე ინარჩუნებს. უფრო რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ოქროსთვის, ალბათ, შეჯიბრების ოთხი მონაწილე იბრძოლებს, რადგან ისინი სხვებზე ახლოს დგანან კვარცხლბეკთან.

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეათე ტურის შემდეგ ერთპიროვნულად დიდოსტატი **მერაბ გაგუნაშვილი** მეწინავეობდა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი** და ფიდეს ოსტატი **ლუკა პაიჭაძე.** გუშინ სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დებიუტიდან ორივე მეტოქე თითქმის თანაბარი მდგომარეობით გამოვიდა. მიტელშპილში თეთრებმა პოზიცია გაამწვავეს და 39-ე სვლაზე პაიკის მოგებით გელაშვილს წარმატების რეალური შანსი მიეცა. 45-ე სვლაზე ლაზიერების გაცვლის შემდეგ ეტლების ენდშპილში თეთრებს ორი ზედმეტი პაიკი დარჩათ. ამგვარი უპირატესობის რეალიზაცია გამოცდილ დიდოსტატს არ გასჭირვებია, რაშიც თავადაც დარწმუნდებით:



| | |
|---|---|
| 45. ლxd7 ეxd7 | 46. b6 მფf6 |
| 47. ეxa5 ეb7 | 48. ეb5 მფe6 |
| 49. მფh2 მფd6 | 50. მფg3 მფc6 |
| 51. ეb4 მფc5 | 52. ეc4+ მფd6 |
| 53. ეd4+ მფc5 | 54. მფf4 ეxb6 |
| 55. b4+ | |

და შავები დანებდნენ. პაიჭაძემ ზედიზედ მეორე მარცხი ინვნია და ლიდერებს — თამაზ გელაშვილსა და მერაბ გაგუნაშვილს უკვე ქულით ჩამორჩება. ეს უკანასკნელი გუშინ თამაშის გაუმწვავებლად 31-ე სვლაზე დაუზავდა **დავით ბენიძეს,** რომელიც ისევ დაუმარცხებლად განაგრძობს წინსვლას. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **კონსტანტინე შანავა** და **დავით არუთინიანი,** რომელიც ქულებით პაიჭაძეს გაუთანაბრდა და მასთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს.

მეთერთმეტე ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ზურაბ ჯავახაძე-დავით ჯოჯუა** 0:1, **ლევან ფანცულაია-მალხაზ სულაშვილი** 0,5:0,5, **გიორგი მარგველაშვილი-ბეგლარ ჯობავა** 0,5:0,5, **გაიოზ ნიგალიძე-თორნიკე სანიკიძე** 1:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** გაგუნაშვილი, გელაშვილი — 7,5-7,5, პაიჭაძე, არუთინიანი — 6,5-6,5, ბენიძე, ჯოჯუა, ფანცულაია, ნიგალიძე, შანავა — 6-6, სულაშვილი — 5, მარგველაშვილი — 4,5, ჯობავა — 4, სანიკიძე — 3,5, ჯავახაძე — 2 ქულა.

დღეს მეთორმეტე ტურში ითამაშებენ: პაიჭაძე-არუთინიანი, სანიკიძე-შანავა, ბენიძე-ნიგალიძე, ჯობავა-გაგუნაშვილი, სულაშვილი-მარგველაშვილი, ჯოჯუა-ფანცულაია, გელაშვილი-ჯავახაძე.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# ხელბურთი მზეზე

**დღეს საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ავსტრიის ქალაქ ლინცში „ჩელენჯ ტროფის" ფინალურ მატჩს გამართავს ფინეთის ნაკრებთან. ამ შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ქართველი გულშემატკივარი ტელეკომპანია „მზის" ეთერით იხილავს. მატჩი თბილისის დროით 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.**

სამთო თხილამურობა

# ავსტრიული სტარტი

**იასონ აბრამაშვილმა** ავსტრიულ ვესტენდორფში ფის-ის ეგიდით გამართულ სლალომში იასპარეზა. მან ორ ცდას ჯამში 1:39,72 წუთი მოანდომა, რაც მე-19 ადგილს ეყო. იასონი მონაწილეთა შორის რეიტინგით 43-ე იყო, ასე რომ, შედეგს არა უშავს. სხვათა შორის, საკმაოდ ცუდ პირობებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა ვერ შეძლო ორივე ცდის ჩამთავრება, სულ 33-მა სამთო მოთხილამურემ უწია ფინიშს.

იქვე, მარია ალმის კურორტზე ნაკრების სხვა წევრებმა იასპარეზეს ფის-ის ეგიდით გამართულ გიგანტურ სლალომში. **ალექსი ბენიანიძემ** ორი ცდის ჯამში 59-ე ადგილი დაიკავა, **ბიძინა ქართველიშვილს** პირველ ცდაზე მოეცარა ხელი, ხოლო **კოტე ვახტანგიშვილი** მეორე ცდის სტარტზე აღარ გამოცხადდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფიგურული ციგურაობა



# ელენე მეოთხეა

## კარიერის საუკეთესო შედეგით და პრეზიდენტის მხარდაჭერით

გუშინ, ესტონეთის დედაქალაქ ტალინის დარბაზ „საკუ სუურჰოლში" ევროპის ჩემპიონატზე ქალთა პირველი დისციპლინა, მოკლე პროგრამა გაიმართა. 41 მონაწილეს შორის (აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე **ჟოელ ფორტე** ტურნირს დაწყებამდე გამოეთიშა) 20 წლის **ელენე გედევანიშვილიც** იყო. ელენემ ისე ისრიალა, რომ მედლის მოპოვების შანსი გაუჩნდა - პირველი დისციპლინის შემდეგ ის მხოლოდ სამ სპორტსმენს ჩამორჩება, ევროპის ორგზის ჩემპიონ **კაროლინა კოსტნერს** და ფინელებს, **კიირა კორპისა** და კონტინენტის მოქმედ ჩემპიონ **ლაურა ლეპისტოს.** ამასთან, მან მოკლე პროგრამაში კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

გედევანიშვილი ბოლოსწინა ჯგუფს ასრულებდა, მანამდე გამომსვლელთაგან კარგი შედეგი მხოლოდ კაროლინა კოსტნერს ჰქონდა, 22 წლის იტალიელმა 65,80 ქულა დააგროვა. ელენემ **დავენპორტის** მუსიკაზე შესრულებულ პროგრამაში ტექნიკურ ელემენტებში 33,70 ქულა მიიღო, ხოლო პროგრამულში - 27,12 ქულა. ჯამში მან 60,82 ქულა მოაგროვა, აქამდე ქართველის საუკეთესო შეფასება მოკლე პროგრამაში იყო - 60,32 ქულა 2009 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. ამ შედეგით მან მე-2 ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა რჩებოდა კიდევ 6 მონაწილე. საბედნიეროდ, უძლიერესთა ჯგუფიდან ელენეს ორზე მეტმა ვერ გაასწრო. ასე რომ, ჩვენებური მე-4 ადგილზეა და წინ მყოფ ევროპის ჩემპიონ ლაურა ლეპისტოს 2 ქულით ჩამორჩება. ელენეს ჩამორჩენა კორპისთან 3,5 ქულაა, ლიდერ კოსტნერთან - 5. ქართველის შემდეგ რუსი **ალიონა ლეონოვა** მოდის, რომელსაც დავარდნის გამო ქულა დააკლდა - 58,26. „საკუ სუურჰოლში" ელენეს მხარდასაჭერად საქართველოს პრეზიდენტიც იყო მეუღლითურთ.

დღეს თავისუფალი პროგრამაა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის საშეჯიბრო ნაწილს დაასრულებს (დარჩება მხოლოდ გალა-შოუ ყინულზე). ელენე გედევანიშვილი **ჟორჟ ბიზეს „კარმენს"** შეასრულებს. თუკი ყველაფერი კარგად იქნება, რომელიმე ლიდერის წაფორხილების შემთხვევაში შანსი გვაქვს, საქართველომ პირველად მოიპოვოს რომელიმე სინჯის მედალი კონტინენტის პირველობაზე.

წუხელ თავისუფალი პროგრამის თანმიმდევრობაც გაირკვა, ელენე ბოლო ჯგუფშია, რომელსაც თავად გახსნის (ალბათ, სჯობდა ქართველი მოგვიანებით გამოსულიყო). გედევანიშვილის შემდეგ ლეპისტო, კოსტნერი და ლეონოვა ისრიალებენ. ევროპის ჩემპიონატს კი მშვენიერი კიირა კორპი დაასრულებს.

ელენე გედევანიშვილი ევროპის ჩემპიონატზე მეხუთედ გამოდის. მას დებიუტი 2006 წელს ჰქონდა ლიონში. პირველივე ტურნირში ნამდვილი ფურორი მოახდინა - მეხუთე ადგილზე გავიდა (მოკლე პროგრამის შემდეგ მაშინაც მე-4 იყო). 2007-ში ვარშავაში ჩვენებურმა კიდევ უფრო კარგად დაიწყო, მოკლე პროგრამის შემდეგ მე-3 ადგილზე იყო, მაგრამ თავისუფალი ჩააფლავა და საბოლოოდ მე-8 ადგილს დასჯერდა. 2008 წელს ზაგრებში წინა წლის შედეგი ელენემ ერთი ადგილით გააუმჯობესა. შარშან კი გედევანიშვილს ჰელსინკიში ენით აუწერელი მარცხი შეემთხვა, მოკლე პროგრამაში სულ რალაც 37,20 ქულა დააგროვა და იმ 24 სპორტსმენთა შორისაც ვერ მოხვდა, რომელთაც თავისუფალი პროგრამის საგზური მოიპოვეს.

| ტალინი–2010 | | |
|---|---|---|
| **ქალები. მოკლე პროგრამა** | | |
| 1. კაროლინა კოსტნერი | იტალია | 65,80 |
| 2. კიირა კორპი | ფინეთი | 64,26 |
| 3. ლაურა ლეპისტო | ფინეთი | 62,96 |
| **4. ელენე გედევანიშვილი** | **საქარ.** | **60,82** |
| 5. ალიონა ლეონოვა | რუსეთი | 58,26 |
| 6. იულია სებესტიენი | უნგრეთი | 57,44 |
| 7. ვალენტინა მარკეი | იტალია | 55,34 |
| 8. სარა მაიერი | შვეიცარია | 54,86 |
| 9. ქსენია მაკაროვა | რუსეთი | 54,06 |
| 10. თუგბა კარადემირი | თურქეთი | 53,88 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

www.sport.gov.ge

სეოკ

# სეოკ-ის ოცწლიანი იუბილე

საქართველოში კვლავაც გრძელდება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ამ მხრივ სეოკ-ს განსაკუთრებით დატვირთული დღეები ამ შაბათ-კვირას ექნება, როცა თბილისს უცხოელ ჩინმაღალ სტუმართა დიდი დელეგაცია ეწვევა - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი და პარალელურად ირლანდიის ეოკ-ის პრეზიდენტი **პატრიკ ჰიკი** მეუღლე **სილვიან ჰიკთან** ერთად, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალური მდივანი **რაფაელე პანიოცი**, საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **სპიროს კაპრალოსი**, მისი კვიპროსელი, ესპანელი და რუმინელი კოლეგები, შესაბამისად, **ოურანიოს იოანიდესი, ალეხანდრო ბლანკო** და **ოქტავიან მორარიუ**. ჩერნოგორიიდან იქაური ეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი **ანდრია პოპოვიჩი** გვეწვევა. სომხეთიდან ვიცე-პრეზიდენტი **დერენიკ გაბრიელიანი** და პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რაზმიკ სტეპანიანი** ჩამოვლენ, აზერბაიჯანიდან - ვიცე-პრეზიდენტი **ჩინგიზ ჰუსეინზადე** მეუღლესთან ერთად, უკრაინიდან და მოლდოვიდან კი ეოკ-თა გენერალური მდივნები - **ვლადიმერ გერაშჩენკო** და **კრისტინა ვასილიანუ**. აგრეთვე, სხვა ჩინმაღალი სტუმრები როგორც ამ ჩამოთვლილი ქვეყნების ეოკ-ებიდან, ისე ევროპის ოლიმპიური კომიტეტიდან, თუმცა გაუთვალისწინებელი შემთხვევისგან დაზღვეული არავინაა და იქნებ სტუმართა სიას ვინმე გამოაკლდეს კიდეც. მაგრამ ჩამოთვლილთა უმრავლესობა ნამდვილად გვესტუმრება.

ორდღიანი ღონისძიება ორ მიმართულებას აერთიანებს - სპორტულსა და კულტურულს, ანუ სტუმრები დაათვალიერებენ სპორტულ ბაზებს, გაეცნობიან ქართულ კულტურას და ისტორიულ ძეგლებს. დღევანდელი ღონისძიებები 11 საათზე დაიწყება დიღომში, ძიუდოს აკადემიაში სტუმრობით, სადაც ნაკრების ვარჯიშს დაესწრებიან. დღესვე პროგრამაშია შეხვედრები დედაქალაქის მერთან და ქვეყნის პრეზიდენტთან, ველოტრეკის საზეიმო გახსნა, ეროვნული სტადიონისა და სპორტის სასახლის დათვალიერება, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ოლიმპიურ თემატიკაზე ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა დაჯილდოება. დღის მთავარი ღონისძიება „თბილისი-2015" შტაბის გახსნაა, რაც ევროპის ბავშვთა ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობას ისახავს მიზნად, საღამოს კი სეოკ-ის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ბანკეტი გაიმართება.

არანაკლებ დატვირთულია კვირა დღეც - საწყლოსნო კომპლექსის დათვალიერება, პატრიკ ჰიკისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება, შარდენის ქუჩისა და სიონის დათვალიერება, ექსკურსია მცხეთაში, შეხვედრა პატრიარქთან, ჰიკისა და სეოკ-ის პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილის** პრესკონფერენცია, დღე კი მცხეთური ბანკეტით დასრულდება.

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი

# სოლიდური დანაკლისი

ამ უქმეებზე ქუთაისის სპორტის სასახლე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. საბედნიეროდ, წინასწარი მონაცემების მიუხედავად, მასში საქართველოს შარშანდელი საუკეთესო სპორტსმენი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **მანუჩარ ცხადაიაც** იჭიდავებს, ოღონდ 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მსოფლიოს პირველობის შემდეგ ის გულმოდგინედ შეუდგა ვარჯიშს, მაგრამ მუხლი იტკინა და საკმაო ხანი გაუცდა. ვარჯიში ახლახან კი განაახლა, მაგრამ გარკვეული რისკი ჯერ კიდევ რჩებოდა. ამიტომ ფიქრობდნენ მის დასვენებას, თუმცა საბოლოოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს და ჭიდაობის ნება დართეს. სამაგიეროდ, ამასობაში ზედმეტი კილოგრამები დაუგროვდა და წონის დაკლების მტკივნეული პროცესისთვის რომ აერიდებინათ, მწვრთნელებმა ზედა წონაში დააყენეს. მაგრამ მხოლოდ ამ ტურნირზე - სამომავლოდ კვლავაც თავის წონაში იჭიდავებს.

ცხადაიას შემატების მიუხედავად, ჩემპიონატის დანაკლისი მაინც გაიზარდა და თანაც ფრიად სოლიდურად. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) რომ არ იჭიდავებდა, ადრევე ვიცოდით, ახლა კი მას ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **რამაზ ნოზაძეც** (96) შეემატა ვარჯიშზე დაშავებული ნეკნის გამო. სამწუხაროდ, სოლიდურია მესამე დანაკლისიც - მსოფლიოს ჩემპიონი **დავით ბედინაძე** (60). ამ შემთხვევაში მიზეზი ბევრად უფრო საპატიო და სევდიანია - ათი დღეა, მძიმედ ავადმყოფ მამას ადგას თავზე საავადმყოფოში.

ამ სამეულის გარდა, ქუთაისურ ხალიჩაზე მაყურებელი ქვეყნის ყველა უძლიერეს ფალავანს იხილავს. მათთვის ეს უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებაა და მონაწილეობის გარდა სხვა გზა არ რჩებათ - ზემდგომი ინსტანციების მკაცრი მოთხოვნით, ვინც უმიზეზოდ გამოტოვებს ქვეყნის პირველობას, ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის შანსსაც დაკარგავს და ხელფასიც შეუმცირდება. იმედია, ასეთი მიდგომა და ლიდერთა მონაწილეობა ქვეყნის პირველობას ბევრად სოლიდურ და ძლიერ ტურნირად აქცევს.

დღეს ჩემპიონატში 55, 60, 66 და 74 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები ჩაებმებიან, დანარჩენები კი ხვალ იჭიდავებენ. რაც შეეხებათ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, ისინი ქვეყნის პირველობას 27-28 იანვარს ბათუმში გამართავენ.

**ირაკლი თავაძე**

სუმოს სამყარო

ჰაცუ ბაშო. 10-24 იანვარი

# ზემოთ დიდი მონღოლია, ძურიოში გაგამარუ

## ტოჩინოშინის და კოკაის დაგვიანებული გამარჯვებები

დიდმა ჩემპიონმა **ასაშორიუმ** თქვა: აქ მაკუუჩიში მე ვარ, ხოლო ძურიოში ქართველი **გაგამარუო**... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ ფაქტია - მონღოლი და ქართველი კიდევ ერთი დღით მიუახლოვდნენ ტიტულს...

ახალი წლის ბაშოზე დიდ ჩემპიონ ასაშორიუს 12-1 ბალანსი რომ გახდომოდა, რაღაც განსაკუთრებული უნდა მოეფიქრებინა, ბოლოს და ბოლოს, მის წინააღმდეგ გოლიათი ოძეკი **კოტოოშუ** იდგა. ასაშორიუმაც კაინაჰინერი მოიფიქრა, ორი ხელით დაიჭირა ბულგარელის ცაცია და ილეთი ისე შეასრულა. იმპერატორის თასის მფლობელმა **ჰაკუჰომ** კი კიდევ წააგო. ახლა ის მხოლოდ ოძეკი **ჰარუმაფუჯის** იმედზეა, იქნებ ტექნიკურმა მონღოლმა ასაშორიუსაც მოუგოს... სხვა მხრივ იმპერატორის თასს 25-ედ „ცისფერი ურჩხული" ჩაიბარებს.

მაკუუჩის დივიზიონში მოასპარეზე ქართველებმა კი მოიგეს, მაგრამ რაღა დროს - **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** და **ლევან ცაგურიას (კოკაი)** უკვე დაბევებული აქვთ უარყოფითი ბალანსი. ტოჩინოშინმა მე-3 მაეგაშირა **ჰოკუტორიკი** გაიყვანა დოჰიოდან და 3-10 ბალანსი გაუხდა. ეს მისი ანტირეკორდია, ლევანს კიდევ აქვს შანსი, არ გაიმეოროს მისთვის ყველაზე წარუმატებელი ბაშო, ტურნირის დასრულებამდე კიდევ ორი დღეა. ტოჩინოშინის მორიგი მეტოქე „პატარა ტანკად" წოდებული **ტაკეკაძეა**, რომელიც სულ რაღაც 171 სმ სიმაღლისაა, ანუ ჩვენებურზე 20 სანტიმეტრით დაბალია.

კოკაიმ მე-5 მაეგაშირა იოშიკაძეს მოუგო არარიტმული მიწოლით (ცუკიდაში), ჩვენებურის ბალანსია 5-8. დღეს კოკაი ყოფილ კომუსუბი **შიმოტორის** შეხვდება.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ბრძოლები კი ძურიოს დივიზიონში ტარდება. გუშინ გაგამარუმ კარიერაში პირველად მოიგო ბაშოს მე-10 შეხვედრა. **თეიმურაზ ჯუღელმა** ეფექტური გდებით (კოტენაგე) **მასაცუკასა** დაამარცხა. მიმომხილველებმა აღნიშნეს, გაგამარუმ ოძეკი **კაიოს** სტილში იჭიდავაო. 10-10 მოგება გაგამარუს და **საკაიზავას** აქვთ, კვალში კი მათ 9-9 მოგებით **ოკინოუმი** და **სოკოკურაი** უდგანან. სწორედ ძურიოს მე-2 ნომერ ოკინოუმის შეხვდება დღეს ჩვენებური.

**XIII დღე**

**მაკუუჩი**

| | | |
|---|---|---|
| კაიო (ო) | ჰაკუჰო (ი) | ოშიდაში |
| ასაშორიუ (ი) | კოტოოშუ (ო) | კაინაჰინერი |
| ჰარუმაფუჯი (ო) | კაკიძოე (მ 4) | ოშიდაში |
| ბარუტო (ს) | ამინიშიკი (მ 6) | ოშიდაში |
| კოტოშოგიკუ (ქ) | მიაბიამა (მ 2) | ჰიკიოტოში |
| კისენოსატო (მ 3) | კაკურიუ (ქ) | იორიკირი |
| ტოიონოშიმა (მ 1) | გოეიდო (მ 2) | უვატენაგე |
| **ტოჩინოშინი** (მ 1) | ჰოკუტორიკი (მ 3) | იორიკირი |
| ასასეკირიუ (მ 8) | ტაკეკაძე (მ 4) | ჰატაკიკომი |
| **კოკაი** (მ 9) | იოშიკაძე (მ 5) | ცუკიდაში |
| კიოკუტენჰო (მ 5) | შიმოტორი (მ 13) | იორიკირი |
| ჰომაშო (მ 12) | ბუშუიამა (მ 6) | ოშიტაოში |
| ტამავაში (მ 7) | არანი (მ 10) | კოტენაგე |
| ვაკანოსატო (მ 7) | ჰაკუბა (მ 14) | უვატენაგე |
| ტამანოშიმა (მ 13) | შოტენრო (მ 9) | იორიკირი |
| ტოჩიოძანი (მ 10) | კორიუ (მ 16) | ოშიდაში |
| ივაკიამა (მ 14) | ტაკამისაკარი (მ 11) | იორიკირი |
| ტოიოჰიბიკი (მ 16) | მოკონამი (მ 11) | ოშიდაში |
| კიტატაიკი (მ 15) | ტოსაიუტაკა (მ 12) | იორიტაოში |
| ოკინოუმი (ძ 2) | ტოჩინონადა (მ 15) | უვატენაგე |

*12-1: ასაშორიუ (იოკოძუნა). 10-3: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), ბარუტო (სეკივაკე), ტოიოჰიბიკი (მაეგაშირა 16). 9-4: ამინიშიკი (მ 6), ვაკანოსატო (მ 7), ივაკიამა (მ 14)... 5-8: კოკაი (მ 9)... 3-10: ტოჩინოშინი (მ 1).*

**XIV დღე**

**მაკუუჩი**

ასაშორიუ-ჰარუმაფუჯი, ჰაკუჰო-კოტოოშუ, კაიო-კისენოსატო, ბარუტო-კაკიძოე, კაკურიუ-ამინიშიკი, კოტოშოგიკუ-კიოკუტენჰო, ტოჩინოშინი-ტაკეკაძე, ტოიონოშიმა-იოშიკაძე, მიაბიამა-ასასეკირიუ, გოეიდო-ვაკანოსატო, ჰოკუტორიკი-ბუშუიამა, ტამავაში-ტოიოჰიბიკი, შოტენრო-ტოსაიუტაკა, კოკაი-შიმოტორი, არანი-ივაკიამა, ტოჩიოძანი-მოკონამი, ტაკამისაკარი-კიტატაიკი, ჰომაშო-ჰაკუბა, ტამანოშიმა-ტოჩინონადა, კორიუ-კოტოკასუგა.

**ძურიო**

**მნიშვნელოვანი ბრძოლები**

| | | |
|---|---|---|
| გაგამარუ (ძ 13) | მასაცუკასა (ძ 6) | კოტენაგე |
| საკაიზავა (ძ 12) | ტოკუსეგავა (ძ 1) | შიტატენაგე |
| საგაცუკასა (ძ 1) | ასოფუჯი (ძ 6) | ოშიდაში |

*10-3: საკაიზავა (ძურიო 12), გაგამარუ (ძ 13). 9-4: ოკინოუმი (ძ 2), სოკოკურაი (ძ 13).*

**X დღე**

**მნიშვნელოვანი წყვილები**

*გაგამარუ-ოკინოუმი, საგაცუკასა-საკაიზავა, ტოკუსეგავა-სოკოკურაი.*

ქართველთა მეტოქეები



**ტაკეკაძე**
მე-4 მაეგაშირა, 30 წლის, 171 სმ, 145 კგ
ტოჩინოშინი-ტაკეკაძე 4:1



**შიმოტორი**
მე-13 მაეგაშირა, 31 წლის, 188 სმ, 142 კგ
კოკაი-შიმოტორი 5:4



**ოკინოუმი**
მე-2 ძურიო, 24 წლის, 190 სმ, 151 კგ
გაგამარუ-ოკინოუმი 1:4

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი



გიორგი ცინცაძის შედეგიანი შეტევა

საქართველოს თასი. ნახევარფინალი

# ბუ vs თსუ

**22 ნოემბერი. რუსთავი**

**სსაუ-ბათუმი 88:79**

18:28, 25:15, 29:22, 16:24

სსაუ: ნივნივაძე (9ქ, 9პ, 6მ), ცინცაძე (40ქ, 7მ, 4პ, 4ჩ), გულისაბედაშვილი (2ქ), დიდია (12ქ), ათანელიშვილი (17ქ, 8მ); ჩაჩიბაია, ნინიაშვილი (8ქ)

ბათუმი: თავართქილაძე, მაისურაძე (2ქ), ლეჟავა (31ქ, 3პ), იმნაძე (15ქ, 16მ), როდუმტა (2ქ, 7მ), ბოლქვაძე (17ქ, 7მ), კეშელავა (10ქ, 5მ), მიქელაძე, ელიაშვილი

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი; კომისარი: რ. ხომერიკი

**ენერჯი-თსუ 75:84**

22:25, 13:23, 23:23, 17:13

ენერჯი: ტულუში (8ქ, 4პ), არწივიძე (3პ), ჭოჭუა (10ქ), ტუჯანი (8ქ, 11მ), ბაბიაშვილი (30ქ); ცეკვავა, დვალიშვილი (5ქ), ბოისა (14ქ)

თსუ: გაფრინდაშვილი (16ქ, 9მ, 6პ), ხეცურიანი (5ქ, 6მ, 4პ), ფანჩულიძე (4ქ, 3პ), კეიდია (16ქ, 7მ), დ. ბარბაქაძე (18ქ, 8მ); მინაშვილი (20ქ, 8მ), კოხრეიძე, ლოსაბერიძე, კუჭავა (5ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი; კომისარი: რ. გელოვანი

საქართველოს თასის მიმდინარე გათამაშების ფინალში სტუდენტური დერბი შედგება: თსუ სსაუ-ს დაუპირისპირდება. ფინალური მატჩი დღეს სპორტის სასახლეში 17 საათზე დაიწყება.

■ ■ ■

დაკვირვებული მკითხველი უკვე შენიშნავდა, რომ ფინალის მიღმა დარჩა სუპერლიგის ლიდერი და თასის მოქმედი მფლობელი „ენერჯი". რუსთაველებმა გუშინ მიმდინარე სეზონში პირველი მატჩი წააგეს. ოღონდ ვერ ვიტყვით, რომ ეს შემთხვევით მოხდა - თსუ-მ პირველიდან ბოლო წუთამდე დამაჯერებლად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

**ნუგზარ ჭეიშვილის** შეგირდებს წინა დღეს, შსს-სთან მეოთხედფინალში მძიმე ბრძოლა ჰქონდათ გადახდილი. „ენერჯიმ" კი მეოთხედფინალში დიდი სხვაობით დაამარცხა „სოხუმი". ასე რომ, მეტი ენერგია „ენერჯის" უნდა შერჩენოდა, მით უმეტეს, რომ წინ ამ სეზონის ორი მაგალითი გვქონდა: დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში და სუპერლიგის პირველ წრეში თსუ „ენერჯის" მეოთხე პერიოდამდე თანაბრად ებრძოლა, თუმცა ბოლო რაუნდში რუსთაველებთან ვერაფერს გახდა. გუშინ სტუდენტებმა მატჩი პირველივე წუთებიდან ბოლომდე სტაბილურად ჩაატარეს და „ენერჯისთვის" თამაშის შემოტრიალების შანსი არ მიუციათ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი რამ მეორე პერიოდში გადაწყდა: ორივე გუნდი სწრაფ კალათბურთს ანიჭებს უპირატესობას. თუმცა თსუ-ელები იმდენად მაღალ ტემპში და მრავალმხრივად უტევდნენ, რომ მათ წინაშე „ენერჯის" განთქმული დაცვაც უძლური აღმოჩნდა. **გაფრინდაშვილს, კეიდიას** და **ბარბაქაძეს** ახალწვეული **ვახტანგ მინაშვილიც** სათანადოდ დაეხმარა და მეთექვსმეტე წუთისთვის თსუ-ს სასარგებლოდ სარკისებური ანგარიში დაფიქსირდა - 42:24.

მესამე პერიოდმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და საყაიმო ანგარიშით დასრულდა - 23:23. მეოთხე პერიოდში თსუ-ს უპირატესობამ 17 ქულა შეადგინა, თუმცა „ენერჯის" ზონურ დაცვაზე „გადართვამ" და **ბოისა-ჭოჭუას** სამქულიანებმა სხვაობის 8 ქულამდე შემცირება განაპირობა. ეს იყო და ეს, მასპინძლებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს და 75:84 დამარცხდნენ.

თუ სტატისტიკას ვენდობით, თსუ-ს გამარჯვება ორ კომპონენტში მოპოვებულმა უპირატესობამ განაპირობა: სტუდენტებმა მოხსნებში 44:35 იმარჯვეს, ხოლო რეალიზებულ საჯარიმოებში - 21:13. საყურადღებოა, რომ თსუ-მ 25 საჯარიმო ისროლა, „ენერჯიმ" - 24.

■ ■ ■

პირველი ნახევარფინალიც ცხრაქულიანი სხვაობით დასრულდა. მეორე პერიოდის ბოლოს და მესამის დასაწყისში „აგრარებმა" სოლიდური (19-ქულიანი) უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა ბათუმელებმა სხვაობის 7 ქულამდე შემცირება შეძლეს... ამის მიუხედავად, მაინც ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ზღვისპირელები ფინალში გააღწევდნენ, რადგან აგრარული უნივერსიტეტის გუნდში საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** თამაშობდა.

ბუს მეურვეობა ევროტურნირებზე არაერთ ამერიკელ გამთამაშებელს გასჭირვებია და რა გასაკვირია, რომ მისი შეჩერება არც ბათუმელთათვის იყო იოლი. საბოლოოდ, ცინცაძემ თასის მიმდინარე გათამაშების რეკორდი დაამყარა - 40 ქულა ჩააგდო. მან 11-დან 8 ორქულიანი, 15-დან 4 სამიანი და 12-დან 12 საჯარიმო გამოიყენა.

ზღვისპირელთა შემადგენლობაში ორმაგი დუბლი მიითვალა **დავით იმნაძემ** - 15 ქულა, 16 მოხსნა. სსაუ-ს რიგებში **ათანელიშვილს** დუბლამდე 2 მოხსნა (17 ქულა, 8 მოხსნა), ხოლო **ნივნივაძეს** თითო პასი-ქულა დააკლდა (9 ქულა, 9 მოხსნა).

ვნახოთ, დღეს რას დაუპირისპირებს ბუს თსუ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანაკრებო ბაზა



# შევარდენი შენდება და მშვენდება

„შევარდენის" სტადიონი საქართველოს რაგბის კავშირს ერთი წლის წინ გადაეცა. ქართული რაგბის ხელმძღვანელებმა იქ სარაგბო აკადემიის დაფუძნება გადაწყვიტეს. მოკლე ხანში აკადემია საქმიანობასაც შეუდგა, მაგრამ სტადიონზე არსებული ვითარება სრულფასოვნად მუშაობის საშუალებას არ იძლეოდა.

გამოსავალი, ცხადია, რეკონსტრუქცია იყო და დაიწყო კიდეც. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" დახმარებით პროექტის განხორციელება შარშან ნოემბრის ბოლოს დაიწყო. დეკემბერში კი ობიექტი IRB-ის დიდმოხელეებმა **ბრუს კუკმა** და **რიჩი დიქსონმაც** მოინახულეს. მათი დასკვნა ასეთი იყო, „ალმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო სარაგბო ბაზა გექნებათ."

გადაწყვეტილია, რომ „შევარდენის" სარაგბო ბაზაზე აკადემიის გარდა, სანაკრებო ცენტრიც იქნება.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# მამუკა გორგოძე რაგბის 40 დღით ჩამოაშორეს

საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი, ფრანგული „მონპელიეს" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე **მამუკა გორგოძე** საფრანგეთის რაგბის პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, რაგბის 40 დღე ვერ ითამაშებს.

ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება სადისციპლინო კომიტეტმა 30 დეკემბერს „მონპელიესა" და „სტად ფრანსეს" დაპირისპირებისას მომხდარი ინციდენტის გამო მიიღო. „გულივერამ" რაკში თამაშისას მეტოქისგან მალულად ფეხის ჩარტყმა ვერ მოითმინა და განრისხებულმა მოწინააღმდეგის სამ მორაგბეს მუშტების სეტყვა დააყარა.

მატჩის არბიტრმა გორგოძეს ყვითელი ბარათი უჩვენა. წესით, ინციდენტი ამით უნდა ამოწურულიყო. მამუკამ მას შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატის შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა და ევროთასებზეც იასპარეზა, მაგრამ ფრანგები ასე სულაც არ ფიქრობდნენ.

გორგოძეს მეტოქისთვის თვალის განზრახ დაზიანების მცდელობაში დასდეს ბრალი. ამავე მიზეზით ახლახან „სტად ფრანსეს" პირველხაზელი **დავიდ ატუბი** კიდევ უფრო მკაცრად დასაჯეს, მას 2011 წლის მაისამდე აუკრძალეს თამაში. ატუბი აპელაციის შეტანას აპირებს. გაასაჩივრებს თუ არა გორგოძე სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას, ჯერჯერობით უცნობია.

ამ სასჯელის გამო მამუკა მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების სამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას გამოტოვებს გერმანიის, პორტუგალიისა და ესპანეთის ნაკრებებთან. მის ნაცვლად ბორჯღალოსანთა თავკაცი **ტიმ ლეინი**, სავარაუდოდ, ფედერალ 1-ის „სენტ ეტიენში" მოასპარეზე **ბესო უდესიანს** გამოიძახებს.



მამუკა გორგოძე

ლეგიონერები

# ქართველები ევროთასებზე

დღეს და ხვალ ევროთასებზე ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართება. ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან პლეი ოფში გასვლის შანსს ოთხი ინარჩუნებს, „კლერმონი", „მონტობანი", „მონპელიე" და „ტულონი".

„ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელიც C ჯგუფში ასპარეზობს, სტუმრად ითამაშებს იტალიურ „ვიადანასთან". იტალიურმა კლუბმა აქამდე ხუთიდან ხუთივე შეხვედრა წააგო და აუტსაიდერია. „ვულკანებმა" ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად მეტოქეს, სულ ცოტა, ოთხი ლელო უნდა გაუტანონ, რაც ჩვენებურის გუნდისთვის სულაც არაა აუხდენელი ოცნება.

„კლერმონი" იტალიაში საბრძოლო შემადგენლობით გაემგზავრა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

ამავე ჯგუფში ამჟამად პირველადგილოსანი ინგლისური „ლესტერი" სტუმრად დაუპირისპირდება უელსურ „ოსფრიზს", რომელსაც მხოლოდ ქულით უსწრებს.

**C ჯგუფი: ლესტერი - 17 ქულა, კლერმონი - 16, ოსფრიზი - 16, ვიადანა - 0.**

უშანსოდაა დარჩენილი F ჯგუფში მოასპარეზე **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი". ბრიველებმა ხუთიდან ხუთივე თამაში წააგეს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე არიან. ჩვენებურის გუნდი ბოლო ტურში შინ ეთამაშება მესამეადგილოსან უელსურ „ჰლანეჰლის". ხინჩაგიშვილი სათადარიგოთა შორისაა.

ჯგუფში ლიდერი ირლანდიური „ლენსტერია", რომელიც მეორეადგილოსან „ლონდონ აირიშს" ხუთი ქულით უსწრებს და სტუმრად ეთამაშება.

**F ჯგუფი: ლენსტერი - 20 ქულა, ლონდონ აირიში - 15, ჰლანეჰლი - 13, ბრივი - 0.**

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშების პლეი ოფში გასვლისთვის სამი „ქართული" გუნდი იბრძვის. უშანსოდ მხოლოდ C ჯგუფში მოასპარეზე **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრია". ამ ჯგუფის ლიდერი და პლეი ოფში გასვლის უმთავრესი პრეტენდენტი **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონია". ბოლო ტურში „სტად დე მაიოზე" სწორედ ჩვენებურთა გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ტულონელებმა პლეი ოფში გასასვლელად აუცილებლად უნდა მოიგონ.

ქუბრიაშვილი მასპინძელთა გუნდის ძირითად შემადგენლობაშია. „გლობუსა" სათადარიგოთა შორისაა.

„ტულონის" კონკურენტი, ინგლისური 'სარასენზი" სტუმრად ეთამაშება იტალიურ „როვიგოს".

**C ჯგუფი: ტულონი - 18 ქულა, სარასენზი - 17, კასტრი -11, როვიგო - 0.**

B ჯგუფში **მამუკა გორგოძისა და გიორგი ჩხაიძის** „მონპელიეს" პლეი ოფში მოხვედრა საუკეთესო მეორეადგილოსნის რანგში შეუძლია. ჩვენებურთა გუნდი სტუმრად ეთამაშება **დავით გურგენაძის** მადრიდის „ოლიმპუსს", რომელიც დებიუტანტია და სატურნირო ცხრილში ნული ქულით ბოლო ადგილზეა.



დავით ხინჩაგიშვილი

მონპელიელებმა მეტოქეს მინიმუმ ოთხი ლელო უნდა გაუტანონ. ჩხაიძე ძირითად შემადგენლობაშია. გორგოძე დისკვალიფიცირებულია. ჯგუფის ლიდერმა, ირლანდიურმა „ქონოთმა" პლეი ოფში თამაშის უფლება ბოლოსწინა ტურში მოიპოვა.

**B ჯგუფი: ქონოთი - 21 ქულა, მონპელიე - 15, ვორსტერი - 12, ოლიმპუსი - 0.**

E ჯგუფში მოასპარეზე **გოდერძი შველიძისა და ბექა შეყლაშვილის** „მონტობანი" 17 ქულით მეორე ადგილზეა. მონტობანელებს პირველი ადგილის დაკავებაც შეუძლიათ და პლეი ოფში საუკეთესო მეორეადგილოსნად გასვლაც. ჩვენებურთა გუნდი ბოლო ტურის მატჩს შინ გამართავს მესამეადგილოსან „ალბისთან". ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაშია.

ჯგუფის ლიდერი, ინგლისური „ნიუკასლი", რომელიც „მონტობანს" ორი ქულით უსწრებს, შინ დაუპირისპირდება იტალიურ „პადოვას".

**E ჯგუფი: ნიუკასლი - 19 ქულა, მონტობანი - 17, ალბი - 11, პადოვა - 1.**

# ბოლო ტესტი ნამიბიასთან

რუსეთის მორაგბეთა ნაკრები, რომელიც სამხრეთ აფრიკაში პრეტორიაში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება, დღეს ბოლო შეხვედრას გამართავს ნამიბიის ეროვნულ გუნდთან. ამ მატჩის შედეგმა, შესაძლოა, მსოფლიო რეიტინგში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს. თუ რუსები, რომლებიც რეიტინგში მე-18 ადგილზე არიან, 15 ქულაზე მეტი სხვაობით მოიგებენ, მაშინ ერთი საფეხურით წინ წაიწევენ, ანუ საქართველოს ნაკრებს გადაასწრებენ, ხოლო თუ 15 ქულაზე მეტი სხვაობით ნამიბიელები გაიმარჯვებენ, 22-ე ადგილიდან მე-19-ზე გადაინაცვლებენ.

ნამიბიელებმა მსოფლიო თასის საგზური უკვე მოიპოვეს და ახალზელანდიური ბატალიებისთვის მშვიდად ემზადებიან. შარშან, ნოემბრის ტესტებისას აფრიკელებმა ლისაბონში პორტუგალიას სძლიეს მინიმალური სხვაობით - 9:8

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ნაკრები ერთა თასის პირველი ტურის მატჩში 6 თებერვალს პორტუგალიის ეროვნულ გუნდს სოჭში დაუპირისპირდება.

რუსეთის ნაკრები ნამიბიასთან: **ალექსანდრ ხროკინი** (ვვა), კარლო მალლაკელიძე (პენზა), ვლადისლავ კორშუნოვი (ვვა), ევგენი პრონენკო (ენისეი), ალექსანდრ ვოიტოვი (პენზა), ვიქტორ გრესევი (ვვა), არტიომ ფატახოვი (ვვა), ევგენი მატვეევი (ვვა), იური კუშნარიოვი (ვვა), ანდრეი კუზინი (ვვა), ალექსანდრ გვოზდოვსკი (კრასნი იარი), იგორ გალინოვსკი (კრასნი იარი), მიხაილ ბაბაევი (ვვა), იგორ კლუჩნიკოვი (ვვა), ალექსეი ტრავკინი (ვვა), ალექსანდრ იანუშკინი (ვვა), ვასილი არტემიევი (ვვა), ალექსეი ტროშკინი (კრასნი იარი), კირილ კუშნარიოვი (ვვა), ანდრეი ტემნოვი (ენისეი), ალექსეი პანასენკო (ვვა), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი), ალექსეი კორობეინიკოვი (ენისეი), ალექსეი მაკოვეცკი (კრასნი იარი).

# პორტუგალიას ოქსფორდთან 17 მორაგბე დააკლდება

2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქე პორტუგალიის ნაკრები დღეს ლისაბონში ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდს დაუპირისპირდება. როგორც პორტუგალიის რაგბის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, სხვადასხვა მიზეზის გამო ამ შეხვედრაში პორტუგალიის ნაკრების 17 წევრი ვერ ითამაშებს

ესენი არიან: **ჟოაო კორეია, ჟორჟე სეგურადო, გონსალო უვა, ედუარდო აკოსტა, მიგელ პორტელა** (ყველა-დირეიტო), **კრიშტიან სპაშუკი** (კოლომიე), **ტიაგო ჟრაუ** (კდულ), **ჟულიენ ბარდი** (კლერმონი) **ჟოაო უვა, დიოგო მატეუში** (ორივე-ბელენენსეში), **ჟუან სევერინო, კარდოსო პინტო** (ორივე-აგრონომია), **ჟუან მურე, დავიდ პენალვა** (ორივე-ოში), **აურელიან ბეკო** (ლიმოჟი), **ემანუელ რებელო** (დიჟონი), **ლიონელ კამპერე** (პო).

„ლობუშები" მომდევნო შეხვედრას 30 იანვარს ინგლისის სტუდენტურ ნაკრებთან გამართავენ.

# კიდევ ერთი ქართველი უცხო ქვეყნის სამსახურში

საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში, გერმანიის ეროვნული ნაკრები 30 იანვარს საწვრთნელ შეხვედრას გამართავს გერმანიაში დისლოცირებული ბრიტანელი სამხედროების ნაკრების წინააღმდეგ. ეს მატჩი 16 იანვარს უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო არ შედგა.

გერმანელთა თავკაცმა **ბრუნო შტოლცმა** ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. მან რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბეს უხმო, რომელთა შორის ერთი გაგერმანელებული ქართველი, „ნოიენჰაიმში" მოასპარეზე **შალვა დიდებაშვილიცაა**.

გერმანიის ნაკრები: **მუსტაფა გუნგური, კეპომა ბრენერი, ტიმ კოლი, ედმორ ტაკაენდესა, მანუელ ვილჰელმი, სტეფან თიერი** (ყველა - ჰაიდელბერგი), **ალექსანდრ მეცი** (ჰანდშუშეიმი), **მარკუს ტრისკი, შალვა დიდებაშვილი** (ორივე - ნოიენჰეიმი), **ანიო ბუკმანი, პატრიკ შლივა** (ორივე - რკ ჰაიდელბერგი), **კლემენს ფონ გრუმბკოვი** (პრატო კავალიერი), **რაფაელ ჰასკლი** (ბერლინი), **ბენიამინ კრაუზე, ბენიამინ ზიმი, რაფაელ პრაში** (ყველა - ჰანოვერი), **ბენ ბრიერლეი, კირონ დევისი** (ორივე - ამფტილი), **ბენიამინ ურიჩი** (ბერლინ 03), **ალექსანდერ ჰაუკი, ჯიმი ჰოუსტონი, დანიელ პრეუბნერი, მარკ ზტინდერა, როლფ ვახა** (ყველა - ფრანკფურტ 1880).

# მორტლოქს მაკქუინი მოენატრა

**სტირლინგ მორტლოქმა** სურვილი გამოთქვა, მომავალი წლიდან ზე 15-ის გათამაშებაში ახალი ავსტრალიური გუნდის, „მელბურნ რებლზის" შემადგენლობაში ითამაშოს.

ავსტრალიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მზადაა, **როდ მაკქუინის** ხელმძღვანელობით იმუშაოს, მით უფრო, რომ ის უკვე აპირებდა კიდეც „ბრამბიზის" დატოვებას და კარიერის მიწურულს საზღვარგარეთ სათამაშოდ გამგზავრებას.

მორტლოქს მაკქუნის ხელმძღვანელობით ავსტრალიის ნაკრებშიც უთამაშია. მისთვის სადებიუტო 2000 წელს „ვოლაბებმა" ათი ტესტიდან რვაში გაიმარჯვეს.

*„მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო მსოფლიოს ჩემპიონების გვერდით ყოფნა. ავსტრალიური რაგბისთვის ეს იყო წარმოუდგენლად წარმატებული პერიოდი, რაშიც დიდი წვლილი მაკქუინს მიუძღვის. ამიტომ ძალიან მინდა, ამ უდიდეს სპეციალისტთან ერთად კიდევ რამდენიმე წელიწადი ვიმუშაო."* - თქვა სტირლინგ მორტლოქმა.

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## ყოფილი ოლიმპიური სახეობები

### ბაგირის გადაძალვა


1904 წლის ოლიმპიადა

ბაგირის გადაძალვას ბევრი სპორტის სახეობად არ მიიჩნევს, თუმცა იგი თავის დროზე ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც კი შედიოდა — 1900-1920 წლებში. საინტერესოა, რომ ბაგირის გადაძალვა ჩართული იყო მძლეოსანთა ასპარეზობაში. 1912 წლის თამაშების შედეგებში კი დამოუკიდებელ სახეობადაა მოხსენიებული. სხვათა შორის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 1900, 1904, 1908, 1912 და 1920 წლებში ბაგირის გადაძალვას სპორტის დამოუკიდებელ სახეობად აფიქსირებს.

1900 წელს ჩემპიონი გახდა შვედეთ-დანიის გაერთიანებული გუნდი, 1904 წელს — ამერიკის ათლეტთა გუნდი, 1908 წელს — დიდი ბრიტანეთი, 1912 წელს სტოკჰოლმის (შვედეთი) პოლიციის გუნდი, 1920 წელს — დიდი ბრიტანეთი.

## 100 წლის წინათ...

### ლასკერ-შლეხტერის მატჩი

ზუსტად 100 წლის წინათ, 7 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით, ვენასა და ბერლინში ჩატარდა **ლასკერ-შლეხტერის** მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში. თავდაპირველად ივარაუდებოდა 30 პარტიის გათამაშება. ამასთან, ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად შლეხტერს მატჩი უნდა მოეგო მინიმუმ 2 ქულის უპირატესობით. უსახსრობის გამო პარტიების რაოდენობა შემცირდა ათამდე. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ეს შეხვედრა არ უნდა ჩაითვალოს მსოფლიოს პირველობად. მაგრამ ფაქტია, რომ მატჩი დამთავრდა ფრედ და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ლასკერმა შეინარჩუნა.

პირველ ოთხ პარტიაში ყაიმი დაფიქსირდა, მეხუთე შლეხტერმა მოიგო, მერე კვლავ ოთხი ყაიმი, მეათე პარტია კი გადამწყვეტი გამოდგა — 5:5. ლასკერი ჩემპიონად გამოცხადდა.

## გიკვირთ, არა?

2008 წელს პეკინის ოლიმპიური თამაშების ცხენოსანთა ასპარეზობაში მონაწილეობდა იაპონელი მხედარი აკურა, რომელიც ოლიმპიურ სარბიელს დაუბრუნდა... 44 წლის შემდეგ. მისი დებიუტი ოლიმპიურ სარბიელზე 1964 წელს ტოკიოში შედგა.

## თარიღი 23-29 იანვარი

**23.1919 წ.** დაიბადა **ბობ პეისლი.** ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი და მწვრთნელი. გარდაიცვალა 1996 წელს.

**24.1947 წ.** დაიბადა იტალიის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი **ჯორჯო კინალია**

**24.1961 წ.** დაიბადა **გვიდო ბუხვალდი.** გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი.

**25. 1942 წ.** დაიბადა **ფერეირა და სილვა ეუსებიო.** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი.

**25. 1947 წ.** დაიბადა **ტოსტაო,** ბრაზილიის ნაკრების პოპულარული ფეხბურთელი.

**26. 1894 წ.** შეიქმნა ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი „სან-პაულუ“.

**27. 1960 წ.** დაიბადა **აიკე იმელი.** გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ვეტერანი მეკარე.

**28. 1948 წ.** დაიბადა **ჰაინც ფლოე.** გერმანიის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი.

## ვიქტორინა

1. რომელ წელს ჩატარდა ზაფხულის XII ოლიმპიური თამაშები?

ა – 1940 წელს
ბ – 1944 წელს
გ – არ ჩატარებულა

2. რამდენჯერ ფლობდა „ოქროს ბურთს“ პორტუგალიური ფეხბურთის ლეგენდა ეუსებიო?

ა – ერთხელ
ბ – ორჯერ
გ – სამჯერ

3. ვინ მოიპოვა ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ჭადრაკში 1961 წელს?

ა – ტიგრან პეტროსიანმა
ბ – მიხეილ ტალმა
გ – მიხეილ ბოტვინიკმა

4. სად თამაშობდა თემურ ქეცბაია 1987-1992 წლებში?

ა – სოხუმის „დინამოში“
ბ – თბილისის „დინამოში“
გ – საბერძნეთის „ანორთოსისში“

5. რომელ წელს დაფუძნდა „სამართლიანი თამაშის“ საერთაშორისო კომიტეტი?

ა – 1964 წელს
ბ – 1968 წელს
გ – 1991 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-ბ, 5-ა.

## ციფრები და ფაქტები

ნბა-ს მოთამაშეთა 30 პროცენტს სხეულზე ტატუ აქვს. მთლიანად ამერიკაში კი ტატუს მოსახლეობის 4 პროცენტი ატარებს.

■ ■ ■

1958 წელს ვინმე ჯეი ფოსტერმა იამაიკის ეროვნული ჩემპიონატი მოიგო მაგიდის ჩოგბურთში. ფოსტერი იმ დროისთვის მხოლოდ 8 წლის იყო.

■ ■ ■

პროფესიულ რინგზე ჩატარებული 51 ბრძოლიდან მაიკ ტაისონმა 21 ბრძოლა პირველივე რაუნდში ნოკაუტით მოიგო.

## სახალისო აფორიზმები

ნერვიულები სტარტზევე კვდებიან, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონენი – ფინიშზე, ანგარიშიანები კი მწვრთნელობას იწყებენ.

■ ■ ■

გონების უვარჯიშებლად მთელი დატვირთვა კუნთებზე მოვა.

■ ■ ■

თუ შეჯიბრში გამარჯვება მთავარი არ არის, მაშინ მხოლოდ სულელებმა მიიღონ მონაწილეობა.

■ ■ ■

ზოგჯერ ოლიმპიელების ოქროს მედლები მოწინააღმდეგეთა ცუდი მომზადების შედეგია.

■ ■ ■

ყველაზე მამაკაცური სახეობა ტელევიზორში ფეხბურთის ყურებაა.

■ ■ ■

სპორტი ფიზკულტურის რეკლამაა: სპორტსმენის ჯანმრთელობის ფასად ბევრის ჯანმრთელობა უმჯობესდება.

■ ■ ■

თავდამსხმელი ბევრია, გოლის გამტანი – ცოტა.

## გინესის რეკორდების წიგნიდან

1928 წლიდან მოყოლებული, როცა ბალახის ჰოკეი ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანეს, ინდოეთის ნაკრები უცვლელად ხდებოდა ჩემპიონი 1960 წლამდე. რომში კი ინდოელებმა პაკისტანთან წააგეს ფინალი 0:1 და მერვე ოლიმპიურ ოქრომდე ლოდინი მთელი 20 წელი მოუხდათ.

■ ■ ■

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის ყველაზე მაღალი მოთამაშეა გეორგე მურეშანი "ვაშინგტონიდან". მისი სიმაღლე 231 სმ-ია

■ ■ ■

ნბა-ს ერთ მატჩში ქულათა სარეკორდო ჯამური რაოდენობა (370) 1983 წლის 13 დეკემბერს დაფიქსირდა. "დეტროიტ პისტონზმა" "დენვერ ნაგეთსს" 186:184 მოუგო. მატჩის ბედი დამატებით ტაიმში გადაწყდა, რაკი ძირითადი დრო 145:145 დასრულდა.



## ისტორია

### არშემდგარი ოლიმპიური თამაშები




როგორც ცნობილია, თუ ოლიმპიური თამაშები რაიმე მიზეზით არ ჩატარდება, მისი რიგითობა არ ირღვევა და გაუმართავ ოლიმპიადასაც ენიჭება თამაშების რიგითი ნომერი. მაგალითად, 1940 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარება იგეგმებოდა ტოკიოში 1940 წლის 21 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით. 1937 წელს იაპონიის ომი დაიწყო და სოკ-მა თამაშები ჰელსინკიში გადაიტანა და თარიღიც დაადგინა: 20 ივლისი — 4 აგვისტო, ცხადია, 1940 წელი. ამასობაში, 1939 წელს მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო და თამაშები საბოლოოდ გადაიდო. თუმცა არჩატარებულ ოლიმპიადას თავისი რიგითი ნომერი - XII შერჩა და ასეა დაფიქსირებული სპორტის მატიანეში.

ჩვენ შევძელით მოგვეპოვებინა ტოკიოს არგამართული ოლიმპიადის ემბლემა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.



## კროსვორდი

თარაზულად: 1. თბილისის "დინამოს" კალათბურთელი, რომელსაც მეტსახელად "პტიცა" შეარქვეს 5. "ინტერის" თავდამსხმელი; 9. ოლივერ კანის საფეხბურთო ამპლუა; 10. ყოფილი იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 12. იტალიელი ფორვარდი, მეტსახელად "ბიზონი"; 13. ლეგენდარული ეთიოპიელი მარათონელი; 16. სპორტსმენის გადასვლა ერთი გუნდიდან მეორეში; 19. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი 1982 წელს; 20. გერმანიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2000-2004 წლებში; 24. მოსკოვის "ლოკომოტივის" ქართველი მცველი; 25. საუკეთესო ბომბარდირი ინგლისის პრემიერლიგის ისტორიაში; 29. ფრანც ბეკენბაუერის მეტსახელი; 28. "გალათასარაის" მთავარი მწვრთნელი; 29. ბრაზილიელი ფეხბურთელი, "რეალის" ყოფილი მცველი; 30. იტალიის საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 1. ინგლისის ყველაზე ცნობილი სტადიონი; 2. პროფესიონალი მოკრივე მარჩიანოს სახელი; 3. ათენის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი ქართველი ძიუდოისტი; 4. "ვესტ ჰემის" მთავარი მწვრთნელი; 6. გამოჩენილი საბჭოთა ჰოკეისტი, მეკარე; 7. იაპონიის კუნძული, საიდანაც გავრცელდა კარატე; 8. სუმოს საჭიდაო მოედანი; 11. NBA-ის კლუბების მიერ საკუთარი რიგების ყოველწლიური შევსება ახალგაზრდა მოთამაშეებით; 14. სათხილამურო სპორტის სახეობა; 15. სპორტული ცურვის ხერხი; 17. ცნობილი იტალიელი ბიზნესმენი, ფორმულა-1-ის მენეჯერი; 18. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 21. წყალქვეშ ცურვა სპეციალური აღჭურვილობით; 22. ზურაბ ხიზანიშვილის ინგლისური გუნდი; 23. მსოფლიოს №1 ჩოგანი მამაკაცი; 26. მასობრივი რბენა დაბრკოლებების გადალახვით; 27. ბილიარდის ჯოხი.



*პასუხები იხილეთ ლელოს მომდევნო ნომერში*

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგენდა



# როჯერის 10 რეკორდი

**გენიალურმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა როჯერ ფედერერმა უდიდესი შრომა გასწია იმისთვის, რომ თავის საქმეში არნახული დიდებისთვის მიეღწია. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თავის აქტივში რამდენიმე ისეთი მიღწევა ჩაიწერა, რომელიც ურთულეს გამოცდას გაუძლებს და იქნებ, ვერავინ შეძლოს მათი გაუმჯობესება.**

**ჟურნალმა TennisWeek-მა გამოარჩია შვეიცარიელის ათი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკორდი და მათი გაუმჯობესების შანსები განიხილა.**

*1. დიდი სლემის ორ სხვადასხვა ტურნირზე ზედიზედ 5-5 გამარჯვება*

**რეკორდის შესახებ:** ფედერერი ერთ-ერთია იმ ოთხ ჩოგბურთელთაგან, რომლებმაც „დიდი სლემის" ერთი ტურნირი ზედიზედ ხუთჯერ (ან მეტჯერ) მოიგეს (**ტილდენმა** 1920-25 წლებში ექვსჯერ მოიგო ამერიკის ღია პირველობა, **ემერსონმა** 1963-67 წლებში ავსტრალიის ღია პირველობა და **ბორგმა** 1976-80 წლებში უიმბლდონი). მაგრამ შვეიცარიელი ჩოგბურთის ისტორიაში ერთადერთია, ვინც ხუთჯერ ზედიზედ იმარჯვა „დიდი სლემის" ორ სხვადასხვა ტურნირზე - უიმბლდონზე 2003-07 წლებში და ამერიკის ღია პირველობაზე 2004-08 წლებში.

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 1 პროცენტი

*2. 26 შესაძლებლიდან დიდი სლემის 15 ტიტულის მოგება*

**რეკორდის შესახებ:** შვეიცარიელმა მე-16 ცდიდან მოიგო „დიდი სლემის" პირველი ტურნირი და შემდეგ აქტიურად შეუდგა დაკარგულის ანაზღაურებას. 2003 წელს უიმბლდონის მოგების შემდეგ, როჯერი „დიდი სლემის" ჩემპიონატების ნახევარზე მეტს იგებდა. მისგან განსხვავებით, ლეგენდარულ ამერიკელ **პიტ სამპრასს** თავისი 14 ტიტულის მოსაგებად 45 მონაწილეობა დასჭირდა.

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 2 პროცენტი

*3. დიდ სლემზე ზედიზედ 18 მონაწილეობიდან 17-ჯერ ფინალში გასვლა*

**რეკორდის შესახებ:** ფედერერმა რეკორდი 2005 წლის უიმბლდონიდან 2009 წლის ამერიკის ღია პირველობამდე დაამყარა და ეს მიღწევა განსაკუთრებულია მის კარიერაში. არ არსებობს მოთამაშე, რომელიც ამგვარი შედეგით დაიკვეხნის და ალბათ, ვერც ვერავინ შეძლებს ამის გაკეთებას. ახლა ავსტრალიის ღია პირველობაზე ფედერერი შეეცდება „დიდი სლემის" 19 ტურნირიდან მეთვრამეტეს ფინალში გასვლას.

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 3 პროცენტი

*4. ზედიზედ 22-ჯერ გავიდა დიდი სლემის ტურნირების ნახევარფინალში*

**რეკორდის შესახებ:** ეს სერია 2004 წლის უიმბლდონიდან უწყვეტად მიდის. ეს შედეგი ორჯერ აღემატება წინა რეკორდსმენის, ლეგენდარული **ივან ლენდლის** მაჩვენებელს, რომელმაც ცხრაჯერ ზედიზედ ითამაშა „დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში. უკანასკნელად ფედერერმა უმაღლესი რანგის ჩემპიონატის ნახევარფინალამდე 2004 წელს ვერ მიაღწია - როლან გაროსზე მესამე წრეში წააგო ბრაზილიელ **გუსტავო კუერტენთან.**

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 3 პროცენტი

*5. ზედიზედ მოგებული 24 ფინალი*

**რეკორდის შესახებ:** 2004 და 2005 წლებში შვეიცარიელმა ATP-ის ტურში ზედიზედ 22 ტურნირის ფინალი მოიგო. დავუმატოთ ამას 2003 წლის ბოლო ორი ტურნირის ფინალში გამარჯვება და მივიღებთ გადამწყვეტ მატჩებში გამარჯვებების შთამბეჭდავ სერიას - 24 მოგება. ეს გასაოცარი შედეგია, რადგან ამ ფინალებში შვეიცარიელს რეიტინგში უშუალო კონკურენტები უპირისპირდებოდნენ.

ეს სერია 2005 წლის სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე შეწყდა. მიუხედავად იმისა, რომ როჯერი იმ მატჩში ტრავმირებული თამაშობდა, მან **დავიდ ნალბანდიანს** პირველი ორი სეტი მოუგო და მესამეში ორი ბურთი აკლდა საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ არგენტინელმა შეძლო წაგებული მატჩის გადარჩენა. როგორც დრომ აჩვენა, ამ სერიის შემდეგ ფედერერმა დაღმასვლა დაიწყო: 2006 წელს ოთხი ფინალი წააგო (ყველა **რაფაელ ნადალთან**) და იმ სეზონში „მხოლოდ" 12 ტურნირი მოიგო.

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 4 პროცენტი

*6. ერთ სეზონში დიდი სლემის ოთხივე ტურნირის ფინალში გასვლა და ამ შედეგის ზედიზედ სამჯერ ჩვენება*

**რეკორდის შესახებ:** ერთეულთა თანრიგში მხოლოდ სამმა მოთამაშემ მიაღწია ერთ სეზონში „დიდი სლემის" ოთხივე ტურნირის ფინალს: **როდ ლეივერმა,** რომელმაც ეს ორჯერ გააკეთა - 1962 (ოთხივე ტურნირი მოიგო) და 1968 წლებში და ფედერერმა, რომელმაც სამჯერ ზედიზედ ჩაიდინა ასეთი გმირობა. იმის გათვალისწინებით, რომ შვეიცარიელი ერთადერთი ჩოგბურთელია ისტორიაში, ვინც „დიდი სლემის" ოთხივე ტურნირის ფინალში სამ სხვადასხვა საფარზე ითამაშა (ჰარდი, ბალახი და თიხნარი), ძნელი წარმოსადგენია, რომ მისი რეკორდის გამეორება ოდესმე ვინმემ შეძლოს.

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 4 პროცენტი

*7. მამაკაცთა ტურში სამწლიანი ბატონობა*

**რეკორდის შესახებ:** 2004-06 წლების პერიოდში შვეიცარიელი უბრალოდ კონკურენციის გარეშე იყო და ამ წლების განმავლობაში მოგებული და წაგებული მატჩების შეფარდებამ ფანტასტიკურ ზღვარს მიაღწია - 247:15. თუ თითოეულ სეზონს ცალ-ცალკე განვიხილავთ, ასეთ ციფრებს მივიღებთ: 2004 წელი - 74:6, 2005 - 81:4 და 2006 - 92:5. ამ პერიოდში მან 34 ტიტული მოიგო, მათ შორის რვა - „დიდი სლემის" ჩემპიონატებზე, ცხრა - „მასტერსებზე" და ორი - წლის შემაჯამებელ ტურნირზე. ფედერერს 2005 წელსაც რომ მოეგო ბოლო ტურნირის ფინალი ნალბანდიანის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში გაიმეორებდა ლეგენდარული ამერიკელის **ჯონ მაკინროის** „სამუდამო" რეკორდს, რომელიც 1984 წელს არის დამყარებული - სეზონში 82 მოგება და მხოლოდ სამი მარცხი.

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 5 პროცენტი

*8. ზედიზედ 237 კვირა ლიდერობა პროფესიული ტურის რეიტინგში*

**რეკორდის შესახებ:** რეკორდი ფედერერმა 2004 წლის 2 თებერვლიდან 2008 წლის 17 აგვისტომდე დაამყარა. ეს აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელი გახლავთ, რადგან უახლოესი კონკურენტები როჯერს დიდი მანძილით ჩამორჩებიან: **ჯიმი კონორსი** ზედიზედ 160 კვირა ლიდერობდა, ივან ლენდლი - 157 კვირა, ხოლო პიტ სამპრასი მხოლოდ 102 კვირა. ფედერერი, რომელიც საერთო ჯამში პირველ ადგილზე 265 კვირის განმავლობაში იყო (2010 წლის 11 იანვრის მდგომარეობით), სამპრასის მორიგ რეკორდს უმიზნებს - ამერიკელმა სხვადასხვა პერიოდში მწვერვალზე ჯამში 286 კვირა გაძლო (ფედერერი ხუთი წელი ასრულებდა სეზონს პირველ ადგილზე. ეს ერთით ნაკლებია სამპრასის რეკორდზე, მაგრამ ამერიკელმა უკვე დაასრულა კარიერა, 28 წლის ფედერერი კი ჯერ არ აპირებს დიდი სპორტიდან წასვლას).

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 7 პროცენტი

*9. ზედიზედ 65 მატჩის მოგება ბალახის საფარზე*

**რეკორდის შესახებ:** ეს რეკორდი შეიძლებოდა 39-ე მატჩზე შეწყვეტილიყო, როცა 2006 წელს ჰალეს ტურნირის მეოთხედფინალში როჯერის მეტოქეს, ბელგიელ **ოლივიე როხუსს** სამი მატჩ-ბოლი ჰქონდა და უნიკალური შანსი ვერ გამოიყენა. მაგრამ ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს და სხვა მატჩები ფედერერმა მოიგო და ბალახზე მოგებათა სერია 65 შეხვედრამდე აიყვანა. სერია 2008 წლის უიმბლდონის ლეგენდარულ ფინალში შეწყდა, როცა შვეიცარიელმა მეხუთე სეტი - 7:9 წააგო **რაფაელ ნადალთან.** ბალახის თანამედროვე კორტები სამპრასის, **ედბერგისა** თუ **ბეკერის** მსგავს აგრესიული სტილის მოთამაშეებს აღარ აძლევს ისეთ უპირატესობას, როგორიც ძველად იყო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფედერერის მიღწევის გამეორება რთული იქნება.

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 12 პროცენტი

*10. ზედიზედ შვიდი წლის განმავლობაში სეზონში დიდი სლემის მინიმუმ ერთი ტურნირის მოგება*

**რეკორდის შესახებ:** ეს ის კატეგორიაა, რომელშიც ფედერერმა ჯერჯერობით ვერ შეძლო აბსოლუტური რეკორდის დამყარება. სამპრასმა და ბორგმა „დიდი ოთხეულის" მინიმუმ ერთი ტიტული ზედიზედ რვა წლის განმავლობაში მოიგეს. სავარაუდოდ, წელს როჯერი „დიდი სლემის" ერთ ჩემპიონატზე მაინც გაიმარჯვებს და ამით გაიმეორებს ლეგენდარული ჩოგბურთელების რეკორდს. მაგრამ შვეიცარიელი ზურგს უკან ესპანელი რაფაელ ნადალის სუნთქვას გრძნობს, რომელსაც ასეთი სერია ხუთ სეზონამდე აქვს აყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ რაფამ შარშან ვერ მოიგო თავისი საყვარელი როლან გაროსი, მას სერიის გაგრძელების შანსი ექნება ავსტრალიის ღიაზეც და უიმბლდონზეც, რომელიც ერთხელ უკვე მოგებული აქვს.

**რეკორდის გაუმჯობესების შანსი:** 25 პროცენტი.

გია **თვალაბეიშვილი**



ფორმულა 1




# მაკლარენმა ახალი ჰემილტონი იპოვა

## სამწამიანი პიტსტოპი და ჯენსონ ბატონის სახელობის ხიდი

„მაკლარენი" არ ივიწყებს ახალგაზრდა პილოტების განვითარების პროგრამას. სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი კარტინგისტი - ჰოლანდიელი **ნიკ დე ვრისი** ინგლისური საჯინიბოს მფარველობის ქვეშ გააგრძელებს კარიერას. „მაკლარენის" შეფი **მარტინ უიტმარში** არ მალავს, რომ ჰოლანდიელისგან მეორე **ლუის ჰემილტონის** გამოზრდას აპირებს.

დე ვრისი 14 წლისაა და ბოლო ორ წელიწადში თავის ასაკობრივ ჯგუფში პრაქტიკულად ყველაფერი მოიგო - გერმანიის ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი და WSK-ის მსოფლიოს საკარტინგო სერია.

რა თქმა უნდა, სწრაფ ჰოლანდიელს მაშინვე მიაქციეს ყურადღება ტოპ-გუნდების ბოსებმა. ერთი პერიოდი გავრცელდა ჭორი „ფერარის" მხრიდან ინტერესის შესახებ, მაგრამ საბოლოოდ, დე ვრისი „მაკლარენს" დარჩა.

ამასთან, არსებობს გარკვეული პარალელები ლუის ჰემილტონთან. დე ვრისი გარეგნობით ჰგავს 2008 წლის ჩემპიონს, თანაც 14 წლის ნიჭიერი პილოტის აღზრდაზე ლუისის მამა - **ენტონი ჰემილტონი** იზრუნებს. საჯინიბოს მხრიდან მზრუნველობა და მხარდაჭერა ისეთივე იქნება, როგორსაც თავის დროზე „მაკლარენი" მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონის მიმართ იჩენდა.

ენტონი ჰემილტონმა ხაზი გაუსვა ნორჩი პილოტის ნიჭს და იმედი გამოთქვა, რომ ნიკს ფორმულა 1-ში დიდი მომავალი აქვს. დრო გვიჩვენებს, გაიმეორებს თუ არა კარტინგის ვარსკვლავი ბრიტანელის ტრიუმფალურ კარიერას.

■ ■ ■

2010 წლის სეზონში პიტსტოპებზე საწვავის შევსება აკრძალული იქნება, შესაბამისად, მოიკლებს ბოქსებში ყოფნის დრო. საინტერესოა, რამდენი წამი დასჭირდება ახალ ჩემპიონატში ბოქსებში ბოლიდის მომსახურებას? ამ კითხვაზე პასუხს გასცემს „უილიამსის" მექანიკოსთა ჩატარებული ვარჯიში.

ადრე პიტლეინზე გაჩერების დრო მინიმუმ შვიდი წამი იყო. ახლა, როგორც ჩანს, ეს დრო ორჯერ შემცირდება. *„დღეს ისევ ვივარჯიშეთ პიტსტოპებზე. ბიჭებმა ოთხივე საბურავი სამ წამზე ნაკლებ დროში გამოცვალეს"*, - ამბობს „უილიამსის" პრესმდივანი **კლერ უილიამსი**.

ასე რომ, ახალ სეზონში ბოქსებში ნამდვილი ომია მოსალოდნელი. სავარაუდოდ, დაემხობა არაოფიციალური რეკორდი, რომელიც 1993 წელს ბელგიის გრან-პრიზეა დამყარებული. მაშინ „ბენეტონის" მექანიკოსთა ბრიგადა იტალიელი ვეტერანის - **რიკარდო პატრეზეს** მანქანას 4.78 წამში მოემსახურა. ამასთან, უშუალოდ საბურავების შეცვლას 3.2 წამი დასჭირდა.

■ ■ ■

ინგლისის ქალაქ ფრომში სულ მალე აშენდება ხიდი ფეხით მოსიარულეთათვის, რომელსაც მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონის **ჯენსონ ბატონის** სახელს მიანიჭებენ.

*„ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში ვაპირებდით ხიდის აშენებას, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ კარგი იდეა იქნებოდა, თუ მას ჯენსონის სახელს დავარქმევდით,* - განაცხადა ბატონის მშობლიური ფრომის მერმა **დეიმონ ჰუტომ**. - *შესაბამისი ცერემონიის შემდეგ ხიდს მემორიალური დაფაც დაამშვენებს. იმედი მაქვს, რომ ბატონის ხიდს ზაფხულამდე ავაშენებთ"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

# კიმის კურიოზი

მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელი დღის მთავარი სენსაცია ქალებს შორის მოხდა, მიმოხილვა კაცების მატჩებით დავიწყოთ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რვა გამართული მატჩიდან მხოლოდ ერთი დასრულდა სამ სეტში. **ენდი მიურეიმ** სამ პარტიაში დაამარცხა ფრანგი **ფლორან სერა**, დანარჩენ შეხვედრებში კი დაძაბული ბრძოლა ვიხილეთ.

რეიტინგის პირველი ათეულის სამ წევრს - **ხუან მარტინ დელ პოტროს, ენდი როდიკსა** და **რაფაელ ნადალს** ოთხ-ოთხი სეტის ჩატარებამ მოუწიათ მერვედფინალში გასასვლელად. ყველაზე მეტად არგენტინელ დელ პოტროს გაუჭირდა, რომელმაც გერმანელ **ფლორიან მაიერთან** ერთი სეტი ისე დათმო, რომ გეიმი არ აუღია. ასე რომ, ამ ეტაპისთვის საუკეთესო ათეულის ცხრა წევრი აგრძელებს მთავარი პრიზისთვის ბრძოლას.

ქალების ბადეში ყველაზე დიდ ინტერესს ორი ბელგიურ-რუსული დუელი იწვევდა, რომელიც საბოლოოდ 1:1 დასრულდა. წინა წრეში **ელენე დემენტიევას** მძლეველი **ჟუსტინ ანენი** კიდევ ერთ რუსს - **ალისა კლეიბანოვას** ხვდებოდა. ახალგაზრდა ჩოგბურთელი სეტ-ნახევარი დამაჯერებლად გამოიყურებოდა და თამაშის ყველა კომპონენტში სჯობდა სახელოვან მოწინააღმდეგეს.

დემენტიევასგან განსხვავებით, კლეიბანოვას ძლიერი მოწოდება აქვს. რუსი ტურნირის პირველი ოთხი დღის შემდეგ ქალებს შორის ეისების რაოდენობით ლიდერობდა. სწორედ ამ იარაღის წყალობით ალისამ პირველი სეტი 6:3 მოიგო, მეორეში კი 3:1 დაწინაურდა. ანგარიში შეიძლება 4:1-იც გამხდარიყო, მაგრამ კლეიბანოვამ 15:40-ზე ორი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და ანენმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა - 2:3. მეექვსე გეიმში კი მან მატჩში პირველი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და პირველად აიღო მეტოქის მოწოდება. სწორედ ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად ბელგიელის მხარეს გადავიდა, კლეიბანოვას მოქმედებაში კი უკვე დაღლილობა იგრძნობოდა. ანენმა ბრწყინვალე ბექჰენდით საქმე ბოლომდე მიიყვანა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტ პარტიაში ბელგიელი კორტის ერთ კუთხიდან მეორეში არბენინებდა მეტოქეს და ალისა ველარ ასწრებდა დარტყმების მოგერიებას - ჟუსტინი 3:0 დაწინაურდა. რუსმა ბოლოჯერ გაიბრძოლა და ორი გეიმი აიღო, მაგრამ ანენის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო - 6:3 და ბელგიელი მერვედფინალში გავიდა, სადაც ნიჭიერ თანამემამულე **იანინა ვიკმაიერს** შეხვდება. სხვათა შორის, ეს ანენის მე-500 გამარჯვება იყო პროფესიულ კარიერაში.

ის, რაც **კიმ კლაისტერსისა** და **ნადეჟდა პეტროვას** მატჩში მოხდა, ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარება. შეხვედრის წინ ყველა ბელგიელს ენიჭებოდა უპირატესობა. კიმი ავსტრალიის ღიას ერთ-ერთ უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა, მას ოთხიდან ოთხი შეხვედრა ჰქონდა მოგებული პეტროვასთვის და საერთოდაც, რუსს უკვე დიდი ხანია ღირებული არაფერი მოუგია და ბევრს ის ჩამოწერილიც კი ჰყავდა.

პირველი გეიმი პეტროვამ საკუთარ მოწოდებაზე მოიგო, მეორეში კლაისტერსი 40:15 დაწინაურდა და უცებ მისი თამაში ერთი ხელის მოსმით მოიშალა.

მომხდარის ახსნა შეუძლებელი იყო. კიმი თითქმის ყველა გათამაშებას უწებლიე შეცდომით ასრულებდა და სწორედ ამის გამო ზედიზედ 9 (!) გეიმი წააგო. ბელგიელმა პირველი გეიმი მხოლოდ მაშინ აიღო, როცა ანგარიში 0:6, 0:3 იყო. სენსაციის მოახლოებამ პეტროვა ოდნავ ააღელვა და მან პირველი ორი მატჩ-ბოლი ვერ გამოიყენა, მაგრამ მესამე ცდაზე დაასრულა ეს უცნაური მატჩი - 6:0, 6:1. რუსის ფანტასტიკური გამარჯვება 52 წუთში!

*„ყველაზე მეტად ჩემმა თამაშმა გამანაწყენა და არა ანგარიშმა. მთლიანად გამოთიშული ვიყავი მატჩიდან და ბურთს საერთოდ ვერ ვგრძნობდი. პეტროვა კარგად თამაშობდა, მაგრამ მეც მივეხმარე. ამდენი შეცდომა არ უნდა დამეშვა. მას განსაკუთრებული დაძაბვა არ დასჭირვებია გამარჯვების მოსაპოვებლად.*

*ასეთი რამ წელიწადში ერთხელ ხდება. თუ ეს კიდევ ერთხელ განმეორდა, გამოდის, რომ შემთხვევითობასთან აღარ გვაქვს საქმე და სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავარ. იმედია, ეს ასე არ არის"*, - ასე ახსნა თავისი წაგება კლაისტერსმა.

### 1/16 ფინალი

#### კაცები

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 27) 6:4, 6:2, 2:6, 7:5; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 4)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 0:6, 6:4, 7:5; **ენდი მიურეი (ბრიტ, 5)**-ფლორან სერა (საფ) 7:5, 6:1, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 7)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:7(4), 6:4, 6:4, 7:6(3); **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-ევგენი კოროლიოვი (ყაზ) 6:7(5), 6:3, 1:6, 6:3, 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ, 33)**-გაელ მონფილსი (საფ, 12) 6:1, 4:6, 7:6(4), 7:6(5); **მარინ ჩილიჩი (ხორ, 14)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19) 4:6, 6:4, 6:3, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 24) 6:3, 3:6, 6:3, 7:6(7).

#### ქალები

**დინარა საფინა (რუს, 2)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:1, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 3:6, 7:5, 6:4; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 11) 5:7, 6:3, 6:0; **ნადია პეტროვა (რუს, 19)**-კიმ კლაისტერსი (ბელ, 15) 6:0, 6:1; **ჟუსტინ ანენი (ბელ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს, 27) 3:6, 6:4, 6:2; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 31)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 8) 6:2, 6:3; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-სარა ერანი (იტა) 6:1, 6:7(4), 6:3; **მარია კირილენკო (რუს)**-რობერტა ვინჩი (იტა) 7:5, 7:6(4).




ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

### ბოსტონი-კოლამბუსი 2:3

1:1, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 რაიდერი-12 (უაიტფილდი-1, შატანი-2), 1:1 კ. კლარკი-6 (ტორესი-10), 2:1 პ. ბერჟერონი-12 (პეი-8, ხარა-24), 2:2 ვერმეტი-15 (რასელი-10), 2:3 უმბერგერი-18 (ჰუსელიუსი-26, სტრალმანი-21).

### ოტავა-სტ. ლუისი 3:2

1:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 რეგინი-8 (კოვალიოვი-22, ალფრედსონი-25), 2:0 მ. მიხალეკი-17 (რეგინი-10, კოვალიოვი-23), 2:1 ბრიუერი-4 (პერონი-13, ენდი მაკდონალდი-15), 2:2 ბოიესი-10 (ჯეკმენი-10, პოლაკი-9), 3:2 ფილიპსი-6 (ალფრედსონი-26, რეგინი-11).

### აილენდერსი-ფლორიდა 2:1 (ბ)

0:0, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჰორტონი-17 (უეისი-24, საიდენბერგი-18), 1:1 კომო-6 (კონი-1, ჟერვე-9).

**ბულიტები გაიტანეს:** შრემპი (აილენდერსი), მოულსონი (აილენდერსი).

### ფილადელფია-რეინჯერსი 2:0

1:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ვან რიმსდიკი-12 (პრონგერი-28, ემერი-1), 2:0 მ. რიჩარდსი-20 (ტიმონენი-22).

### ატლანტა-კაროლინა 2:5

0:2, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ე. სტაალი-11 (ი. იოკინენი-18), 0:2 სამსონოვი-8 (კარსონი-4, გლისონი-9), 0:3 ი. იოკინენი-14 (პიტკანენი-24, კულენი-21), 0:4 ე. სტაალი-12 (ი. იოკინენი-19, რეი უიტნი-20), 1:4 პევერლი-16, 2:4 კ. არმსტრონგი-8 (სალმელა-4, ე. კეინი-7), 2:5 ე. სტაალი-13 (რეი უიტნი-21, ვალინი-4).

### ტამპა ბეი-ტორონტო 3:2 (ო)

0:0, 1:1, 1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ი. უაიტი-9 (კესელი-15, გუნარსონი-5), 1:1 სტემკოსი-26 (ლეკავალიე-35, ფოსტერი-14), 1:2 სტაიანი-15 (ჰაგმანი-13, კულემინი-10), 2:2 მელოუნი-21 (ლეკავალიე-36, სტემკოსი-24), 3:2 სენტ ლუისი-13 (სტემკოსი-25, ლეკავალიე-37).

### პიტსბურგი-ვაშინგტონი 3:6

1:1, 2:2, 0:3

**გოლები:** 1:0 კროსბი-33 (ფედოტენკო-10, მალკინი-31), 1:1 ნუბლი-14 (ოვეჩკინი-36, შ. მორისონი-5), 1:2 ფერი-13 (ჩიმერა-14, შ. მორისონი-6), 2:2 ნ. ჯონსონი-1 (მალკინი-32, ფედოტენკო-11), 3:2 ლეტანგი-3 (ფედოტენკო-12, მალკინი-33), 3:3 ოვეჩკინი-31 (ბ. მორისონი-19, ნუბლი-13), 3:4 ფლიშმანი-17 (სიომინი-25, კარლსონი-1), 3:5 ბექსტრიომი-21 (ფლიშმანი-16), 3:6 ოვეჩკინი-32 (მტეკელი-5).

### მინესოტა-დეტროიტი 3:4 (ბ)

0:1, 1:0, 2:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ბერტუცი-14 (დაციუკი-26), 1:1 ირლი-4 (პნიდი-8), 1:2 იესი-7 (პელმი-7, მიჩი-2), 1:3 დ. მილერი-6 (მიჩი-3, ქლირი-11), 2:3 ჰავლატი-9 (ბროძიაკი-15, შულტცი-13), 3:3 ბრუნეტი-14 (პნიდი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** დაციუკი (დეტროიტი), ნოლანი (მინესოტა), ჟიდლიცკი (მინესოტა), ფილპულა (დეტროიტი), დ. მილერი (დეტროიტი).

### ფინიქსი-ნეშვილი 4:2

0:0, 1:2, 3:0

**გოლები:** 1:0 ლომბარდი-9 (დოუნი-18, ა. ოკუანი-14), 1:1 პორნკვისტი-20 (არნოტი-15, სალივანი-22), 1:2 ერატი-16, 2:2 აპშოლი-15 (დოუნი-19, იენდლი-18), 3:2 აპშოლი-16 (ლომბარდი-23, დოუნი-20), 4:2 აპშოლი-17 (პანჟალი-18).

### კალგარი-ჩიკაგო 1:3

0:0, 1:1, 0:2

**გოლები:** 0:1 პ. კეინი-21 (ტეუვზი-25), 1:1 ლუნდმარკი-4 (ფანოფი-12, იგინლა-23), 1:2 იგერი-5 (კოპეცკი-7, ფრეზერი-10), 1:3 კეიტი-11 (მარიან ჰოსა-13, ლედი-13).

### ვანკუვერი-დალასი 4:3

1:1, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 რეიმონდი-18 (კესლერი-30, ლუკოვიჩი-1), 1:1 ლ. ერიქსონი-21 (სკრასტინსი-7, ჯ. ნილი-18), 1:2 პეტერსენი-6 (უენდელი-10), 2:2 ბაროუზი-23, 3:2 ერპოფი-10 (დ. სედინი-30, ჰ. სედინი-50), 4:2 უელვუდი-5 (ბერნიე-9, ედლერი-23), 4:3 დელეი-2 (მოდანო-10, რობიდასი-20).

### ლოს ანჯელესი-ბაფალო 4:3 (ბ)

1:0, 1:2, 1:1

**გოლები:** 1:0 რიჩარდსონი-6 (დაუტი-28, სიმონდსი-16), 1:1 მაკარტური-13 (გოსტადი-5, ლიდმანი-9), 1:2 ვანეკი-14 (ტიმ კონოლი-33, პომინვილი-21), 2:2 ო'დონელი-2 (კოპიტარი-28, დაუტი-29), 2:3 რივე-1 (პომინვილი-22, ტიმ კონოლი-34), 3:3 რ. სმიტი-14 (სტოლი-20, დ. ბრაუნი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** კოპიტარი (ლოს ანჯელესი), სტეფორდი (ბაფალო), დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი).

### სან ხოსე-ანაჰაიმი 3:1

0:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ვლასიჩი-3 (მარლო-21), 2:0 რ. ბლეიკი-4 (ჯ. ტორნტონი-52, მარლო-22), 2:1 ბელესკი-5 (ჩიპჩურა-2, ს. ნიდერმაიერი-25), 3:1 მარლო-35 (ჯ. ტორნტონი-53).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონმა კობის მოუგო



„კლივლენდ კავალიერზმა" სეზონში მეორედ დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი „ლეიკერსი". შობაზე განცდილი სირცხვილის შემდეგ, კალიფორნიელებს პრინციპული მეტოქისთვის რევანშის აღების კარგი შანსი ჰქონდათ, რადგან „კავალერებს" **მო უილიამსი** და **ჯამარიო მუნი** აკლდათ. შეხვედრის სტარტმა სწორედ **ფილ ჯექსონის** ბიჭების უპირატესობით ჩაიარა. **კობი ბრაიანტისა** და **პაუ გასოლის** მონდომებით „ლეიკერსმა" პირველ მეოთხედში 9-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა.

თუმცა ამით სტუმრებისთვის კარგი ამბები დასრულდა. პირველი პაუზის შემდეგ **ლებრონ ჯეიმსი** საქმეს შეუდგა და მისი წყალობით თითქმის გაბათილდა ჩამორჩენა. მესამე მეოთხედის სტარტზე „ლეიკერსი" კიდევ ერთხელ გაიქცა, მაგრამ მალე სტატუს-კვო ისევ აღდგა.

ბოლო მეოთხედში ნერვიული თამაში წავიდა, თუმცა ამას „კლივლენდის" უპირატესობაზე არ უმოქმედია. მასპინძლები ყოველ წუთს უმატებდნენ ზეწოლას, რისი გამკლავებაც კალიფორნიელებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ. **რონ არტესტმა** ვერაფერი მოუხერხა ლებრონის შეტევებს და აშკარად ჩააგდო მატჩი. პაუ გასოლი კი ზედმეტად ნერვიულობდა და ამჯერად მხარში ვერ დაუდგა კობის. საფინალო სირენამდე 24 წამით ადრე, როცა ანგარიში 89:87 იყო „კლივლენდის" სასარგებლოდ, ესპანელმა საჯარიმოებიდან ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. პაუს ორმა აცილებამ პრაქტიკულად დაასამარა „ლეიკერსის" შანსები. დარჩენილ დროში მასპინძლებმა ოთხი უპასუხო ქულა ჩააგდეს და 93:87 გაიმარჯვეს.

ლებრონისა და კობის დუელი 37:31 დასრულდა. ასე რომ, ბრაიანტისთვის ამ მატჩში ერთადერთი ნუგეში ის გახდა, რომ მან კარიერაში 25000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. „ლეიკერსის" ლიდერი მე-15 კალათბურთელია NBA-ის ისტორიაში, ვინც ამ შედეგს მიაღწია.

**კლივლენდი-ლეიკერსი 93:87**

18:27, 26:19, 23:19, 26:22

კ: ჯეიმსი (37+9 პასი+5 მოხსნა), შ. ო'ნილი (13+6 მოხსნა), ჰიქსონი (11+14 მოხსნა), ვარეჟაო (11+8 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (31), პ. გასოლი (13+8 მოხსნა), ოდომი (10+10 მოხსნა).

**დენვერი-კლიპერსი 105:85**

24:24, 23:24, 34:17, 24:20

დ: ენტონი (28+10 მოხსნა), ბილაპსი (20+6 პასი), მარტინი (13+14 მოხსნა), ნენე (12), ლოუსონი (11+6 მოხსნა).

კ: სმიტი (21+6 მოხსნა), კამანი (18+5 მოხსნა).

ოლ სტარი 2010

# სასტარტოები ცნობილია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გამოაქვეყნა გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები, რომელთა მიხედვითაც მომავალი „ყველა ვარსკვლავის მატჩის" სასტარტო ხუთეულები დადგინდა.

დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი „ფილადელფიას" ვეტერანი ვარსკვლავის **ალენ აივერსონის** გარშემო. საბოლოოდ გამთამაშებელმა მოაგროვა საკმარისი ხმები იმისთვის, რომ აღმოსავლეთის სასტარტოში დაეკავებინა ადგილი. **ტრეისი მაგრეიდი** („ჰიუსტონი"), რომელსაც პრაქტიკულად არ უთამაშია ამ სეზონში, „ოლ სტარსზე" ვერ გამოვა, რადგან მას „ფინიქსის" გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა** გაუსწრო. საინტერესო დაპირისპირება ჰქონდათ **ტიმ დანკანსა** („სან ანტონიო") და **დირკ ნოვიცკის** („დალასი"). „სპურსის" ვეტერანმა ბოლო მომენტში ჩამოიტოვა უკან გერმანელი და დასავლეთი კონფერენციის სასტარტოში მძიმე ფორვარდის ადგილი დაიკავა.

საბოლოოდ, სასტარტო შემადგენლობებმა ასეთი სახე მიიღო:




| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი) |
| კევინ გარნეტი (ბოსტონი) | ტიმ დანკანი (სან ანტონიო) |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | კარმელო ენტონი (დენვერი) |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) |
| ალენ აივერსონი (ფილადელფია) | სტივ ნეში (ფინიქსი) |

უცნაური ლიგა

# კალათბურთი თეთრებისთვის

ყოფილი პრომოუტერი **დონ ლუისი**, რომელიც 90-იან წლებში რესტლინგის ორთაბრძოლების ორგანიზებით იყო დაკავებული, ამერიკის სამხრეთით თეთრკანიანი კალათბურთელების ლიგის ჩამოყალიბებას აპირებს. ეს ინფორმაცია პირველად გაზეთ „ოგასტა ქრონიკლში" დაიბეჭდა და ის მაშინვე აიტაცა ამერიკულმა სპორტულმა პრესამ. თუმცა ჟურნალისტებს ახალი ლიგის შესახებ დეტალური ცნობები ჯერ არ გააჩნიათ.

„ტურნირზე დაიშვებიან მხოლოდ ის მოთამაშეები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე არიან დაბადებული და ორივე მშობელი ევროპოიდულ რასას განეკუთვნება", - წერია სრულიად ამერიკული საკალათბურთო ალიანსის პრესრელიზში.

ქალაქ ოგასტას მერი **დეკ კოპენჰევერი** ასეთ კომენტარს აკეთებს: *„როგორც სპორტის მოყვარული, ყოველთვის მივესალმები ოგასტაში ახალი და საინტერესო სპორტული ღონისძიებების მოწყობას. მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ დავუჭერ მხარს გუნდს, რომელიც არ ქადაგებს რასების თანასწორობას. სწორედ ამის მისაღწევად ვიბრძვი ჩემს ქალაქში".*

თავად ლუისის სიტყვებით, გუნდის შემადგენლობების დადგენისას შემოღებული შეზღუდვები რასიზმით არ არის განპირობებული. ორგანიზატორებს სურთ შექმნან „ქუჩური კალათბურთის" ალტერნატივა.

*„ალბათ, არავის სურს მივიდეს საკალათბურთო მატჩზე და ინერვიულოს იმის გამო, რომ მოთამაშე მას შუა თითს უჩვენებს ან ტრიბუნაზე თავს დაესხმება, - ამბობს ლუისი. - დღეს ასეთი კულტურაა მოდაში და თავისუფალ ქვეყანაში უფლება გვაქვს სხვა, უფრო სწორი მიმართულებით ვიაროთ. ადამიანები მხარს დაუჭერენ ამ პროექტს, რადგან ისინი ამ ლიგასთან იქნებიან ასოცირებულნი. დღეს მე უმცირესობაში ვარ, მაგრამ თუ შანსს მოგვცემენ, ყველაფერი გამოგვივა... თეთრი კალათბურთი პოპულარული გახდება".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ლატვია-კორეა | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ემპოლი-ტორინო | 0:0 |
| **გერმანია** | |
| ფრაიბურგი-შტუტგარტი | 0:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-უნიონი | 1:0 |
| ფრანქფურტი-ფიურტი | 0:5 |
| მიუნხენი-ჰანზა | 3:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| სომური-რენი | 0:4 |
| **ჰოლანდია** | |
| ეინდჰოვენი-ნიიმეგენი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ვეენდამი | 1:0 |
| გრააფსხაპი-ჰელმონდი | 4:0 |
| ემენი-დორდრეხტი | 1:1 |
| ექსელსიორი-ჰაარლემი | 3:0 |
| დენ ბოში-როსენდაალი | 0:2 |
| ცვოლე-ომნივორლდი | 2:0 |
| ფორტუნა-ეინდჰოვენი II | 2:3 |
| ტელსტარი-მაასტრიხტი | 2:1 |
| ტოპ ოსი-ვოლენდამი | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ჰაკა-იუვიასკიულა | გადაიდო |
| ჰონკა-ტურკუ | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-დენიზლი | 3:1 |
| **უელსი** | |
| ებერისთვითი-კარმარტენი | 1:2 |
| სეფნი-ნიუთაუნი | 0:2 |
| უელშპული-პრესტატინი | 0:5 |
| **მინი-ფეხბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| სერბეთი-სლოვენია | 2:0 |
| პორტუგალია-ბელარუსი | 5:5 |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| გერმანია-შვედეთი | 30:29 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 24:24 |
| უნგრეთი-ჩეხეთი | 26:33 |
| პოლონეთი-სლოვენია | 30:30 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| გოტინგენი-დიუსელდორფი | 66:62 |
| სკაილაინერსი-ტრირი | 71:69 |
| **საფრანგეთი** | |
| ტულონი-შოლე | 87:86 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ამური | 4:1 |
| ლოკომოტივი-მვდ | 1:3 |
| დინამო (მ)-დინამო (რ) | 4:5 |
| სპარტაკი-დინამო (მნ) | 6:3 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-გრაცი | 2:3 |
| ვენა-ლინცი | 1:4 |
| ზალცბურგი-ზაგრები | 3:2 |
| კლაგენფიურტი-აკრონი | 0:0 |
| ოლიმპია-ვილახი | 6:3 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-კასელი | 4:2 |
| აუგსბურგი-კიოლნი | 4:1 |
| მანჰაიმი-იზერლონი | 6:2 |
| ფრანქფურტი-ნიურნბერგი | 5:5 |
| შტრაუბინგი-ვოლფსბურგი | 3:5 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ფრედრიკშავნი | 3:2 |
| როდოვრე-ნორდსილანდი | 5:3 |
| სონდერიისკი-ოდენსე | 4:1 |
| ჰერნინგი-ესბერგი | 2:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ნიტრა | 5:1 |
| მარტინი-კოშიცე | 0:3 |
| მიკულაში-ბისტრიცა | 3:3 |
| სკალიცა-ჟილინა | 4:3 |
| სლოვანი-ტრენჩინი | 6:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ჟლინი-ლიტვინოვი | 1:2 |
| ბუდეიოვიცე-პლზენი | 2:2 |
| ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 1:1 |
| ბოლესლავი-კარლოვი ვარი | 1:3 |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 5:1 |
| ბრნო-კლადნო | 3:1 |
| **შვეიცარია** | |
| ლუგანო-დავოსი | 1:4 |
| რაპერსვილი-ლანგნაუ | 10:2 |
| ცუგი-ბერნი | 3:2 |

## TV პროგრამა

### 23 იანვარი. შაბათი

**I არხი**

17:00 კალათბურთი. საქართველოს თასი. ფინალი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-რომა (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჰალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

18:30 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი (LIVE).
21:30 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი (LIVE).
23:45 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-რომა (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. იტალია (LIVE).
14:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
15:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. შონახი. გერმანია (LIVE).
17:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. შონახი. გერმანია (LIVE).
18:55 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
06:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. იურიორკის გამბოა-როუჯერს მტაგვა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
18:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჰალი (LIVE).
23:10 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. დანია-ისლანდია. ავსტრია (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბილბაო (LIVE).
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).

**EUROSPORT**

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
15:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
17:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. სპრინტი. ანტოლცი. გერმანია (LIVE).
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
00:30 პროფესიული კრივი (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
13:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. რიბინსკი. რუსეთი (LIVE).
15:15 ციგაობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. II ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
16:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. რიბინსკი. რუსეთი (LIVE).
17:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. შონახი. გერმანია (LIVE).
21:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. უკრაინა-იტალია. უნგრეთი (LIVE).
23:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. უნგრეთი-ჩეხეთი. უნგრეთი (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).

### 24 იანვარი. კვირა

**SPORT 1 (უკრაინა)**

18:00 იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა (LIVE).
20:30 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

21:35 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-პიტსბურგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

15:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ალკმაარი (LIVE).
17:55 იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა (LIVE).
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტენერიფე-ვალენსია (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბილბაო (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალაგა (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. იტალია (LIVE).
13:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
14:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. გუნდური. შონახი. გერმანია (LIVE).
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. იტალია (LIVE).
16:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
17:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა 4x5 კმ. შონახი. გერმანია (LIVE).
00:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
17:50 ჰოკეი. კჰლ-ის რეგულარული ჩემპიონატი. დინამო (მ)-ატლანტი (LIVE).
21:25 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. ავსტრია (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი (LIVE).

**EUROSPORT**

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
17:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
18:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. ანტოლცი. გერმანია (LIVE).
19:45 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. 1/4 ფინალი. ანგოლა-განა. ანგოლა (LIVE).
23:15 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. 1/4 ფინალი. კოტ დ'ივუარი-ალჟირი. ანგოლა (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
14:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. გუნდური. შონახი. გერმანია (LIVE).
15:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები/ქალები. სპრინტი. რიბინსკი. რუსეთი (LIVE).
15:30 ციგაობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. II ცდა. ლატვია (LIVE).
16:30 ბურთის ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ყაზახეთი. რუსეთი (LIVE).
19:00 ბურთის ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ფინეთი. რუსეთი (LIVE).
21:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ესპანეთი. უნგრეთი (LIVE).
23:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-რუსეთი. უნგრეთი (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).

20 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობსლეი

# ყველაზე პოპულარული უკანალი



ამ დღეებში შოტლანდიელი ბობსლეისტი **ჯილიან კუკი** ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენი გახდა. მისი აღიარება სპორტული შედეგებით არ არის განპირობებული და არც მის გარეგნობაშია საქმე.

16 იანვარს, შვეიცარიის ქალაქ სანკტ-მორიცში ბობსლეის მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი გაიმართა. სტარტის წინ 27 წლის სპორტსმენი ისეთი მონდომებით ცდილობდა აჩქარების გაკეთებას, რომ მისმა კომბინეზონმა დატვირთვას ვერ გაუძლო და უხერხულ ადგილას გაირღვა. თუმცა ჯილიანს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და მან პარტნიორ **ნიკოლ მინიჩელოსთან** ერთად მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ზუსტად ცნობილი არ არის რა გახდა ამ კურიოზის მიზეზი - კომბინეზონის ხარვეზი თუ სპორტსმენის დიდი უკანალი, მაგრამ ინტერნეტში დადებული ვიდეო რამდენიმე საათში მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.

ავტოსპორტი




# ყველაზე სწრაფი ამერიკელი

*„ყველაზე სწრაფი გოგონა ამერიკულ სპორტში. ნიჭიერი, ლამაზი, ჭკვიანი და ძლიერი - ასეთია ჩემი მახასიათებლები“*, - ასე დაახასიათა საკუთარი თავი Indycar-ის სერიის პილოტმა **მილკა დუნომ**. ეს ქალბატონი უკვე დიდი ხანია ცდილობს მომხიბვლელ **დანიკა პატრიკისთვის** „მის ავტოსპორტის“ არაოფიციალური სტატუსის ჩამორთმევას.

ლექსინგტონში გამართული რბოლის შემდეგ განრისხებული დუნო დანიკას ეცა და ტრასაზევე დაიწყო მასთან ურთიერთობის გარკვევა. „საუბრის“ დროს მილკამ ორჯერ სახეში პირსახოცი ესროლა მოწინააღმდეგეს. წარმოშობით ვენესუელელი პილოტი ამ ორი ცდით არ შემოიფარგლებოდა, პატრიკს ეს პირსახოცი შორს რომ არ მოესროლა. საბოლოოდ, ქალბატონები მათი გუნდების წარმომადგენლებმა გააშველეს.

დუნომ ავტოსპორტში კარიერა 2000 წელს დაიწყო, სახელგანთქმულ Indycar-ში დებიუტი კი 2007 წელს ჰქონდა. ის პირველი ლათინოამერიკელი ქალია, ვინც ლეგენდარულ „ინდიანაპოლის 500“-ში მიიღო მონაწილეობა. ის აგრეთვე სუსტი სქესის პირველი წარმომადგენელია, ვინც ამერიკაში მოიგო Ferrari Challenge-ის რბოლა და მეორე ადგილი დაიკავა დაიტონას 24-საათიან რბოლაში.

ჩოგბურთი

# კორტი, როგორც პოდიუმი

ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩოგბურთის მოყვარულთა ყურადღება არა მარტო მატჩების მსვლელობისკენ, არამედ ქალი ჩოგბურთელების ჩაცმულობისკენაც არის მიპყრობილი. უკვე დიდი ხანია, „დიდი სლემის“ ტურნირებზე მოედანი ერთგვარ პოდიუმად იქცა. გამონაკლისი არც მიმდინარე ავსტრალიის ღია ჩემპიონატია, სადაც მოთამაშეები ახალი კაბებით წარდგნენ მაყურებლის წინაშე.

ყველაზე მოდურად აღიარეს რუსი **მარია შარაპოვას** ჩაცმულობა, თუმცა მას არ ჩამორჩება დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკიც**, რომელსაც კაბა **სტელა მაკარტნიმ** შეუკერა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ელენა დემენტიევა



ანა ჩაკვეტაძე


ვენუს უილიამსი


სერენა უილიამსი


კაროლინ ვოზნიაცკი


ვიქტორია აზარენკა


მარია შარაპოვა



ანა ივანოვიჩი


ელენა იანკოვიჩი

